ახალი დაპირებები და ძველი პრობლემები A6

ჰააგის სასამართლოს დებულების რატიფიკაცია A7

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 15 იანვარი, 2005 წელი. №8 (868) — ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

არასამთავრობოები სამხრეთ ოსეთის პრობლემატიკაზე გადაერთნენ

შარშან, წლის მეორე ნახევარში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ "პარალიზებული" ოსური "კიდურის" დაჩქარებული კურსით მკურნალობა ძალიან საშიშია.

A2

ეკონომიკა

გზა შველას ითხოვს

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, მდინარე ძირულას გასწვრივ 100 მ-ის სიგრძეზე გზის ქვედა საყრდენი გადაბრუნდა.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში,
FM 107.4

ამინდი

	15/1	16/1
თბილისი	12	12
ქუთაისი	14	14
ბათუმი	16	16
სოხუმი	14	14
ფოთი	16	16
თელავი	12	12
ზუგდიდი	16	15
გორი	10	10
ახმეტა	12	11
ჭიათურა	11	11
გაგრა	13	12
სამტრედია	15	15

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8200
ევრო	2.3840
გირვანქა სტერლ.	3.3985
რუბლი	0.0651

აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში

წარსული, აწმყო, მომავალი

იგორ კვესელავა

წერილი პირველი

გაზეთ "24 საათში" ავტორთა ჯგუფის (პაატა ზაქარეიშვილი, კონსტანტინე კუბლაშვილი, არჩილ გეგეშიძე, ივლიანე ხაინდრავა, დავით ბაქრაძე, თინათინ ხიდაშელი, დავით დარჩიაშვილი, თომას ფლაინერი, ალექსანდრე ბლანკენაგელი) მიერ გამოქვეყნდა კონცეფცია "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ". მოგვიანებით ამავე გაზეთში დაიბეჭდა ნოდარ ნათაძის მიერ შემუშავებული "აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის კონცეფცია". აღნიშნულმა, ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავებულმა, პროექტებმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ფაქტობრივად, წარმოდგენილი ტექსტები ერთადერთია, რომლებიც საჯარო განსჯის საგანი ხდება.

ყოფილ ხელისუფლებას აფხაზურ საკითხში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული რაიმე გეგმა, მან ისლა მოახერხა, რომ ეს თემა ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სივრციდან სხვაგან გადაიტანა და პრობლემის გადაწყვეტის გზას გარე, ე.წ. "მეგობარ" სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ეძებდა. ამ "სხვისმა" მოიმედეობამ კი სადამდე მიგვიყვანა, საყოველთაოდ ცნობილია.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ორი აბორიგენი ერის თანაცხოვრება ისტორიული ფაქტია. ისინი ერთად უნდა დადგნენ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და დიდი სახელმწიფოების მიერ დაგებულ მახეში არ უნდა გაებან.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მრავალგანზომილებიანია. აფხაზური საკითხი გადაჯაჭვულია რამდენიმე სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ინტერესთან. რაც შეეხება თვით კონფლიქტს, აქ უშეცდომო მხარე არ არსებობს. ამდენად, ახლა ლაპარაკი იმაზე, ვინ ცოტა შესცოდა და ვინ მეტი, ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ორივენი - ქართველები და აფხაზები - საქართველოს - ერთი საერთო სამშობლოს მკვიდრი ერია. მათ უნდა ააშენონ ერთიანი მყარი სახელმწიფო საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში.

გაგრძელება A3 გვერდზე

საინფორმაციო ომი თუ რეალური საფრთხე

ხათუნა გაბიევი

აღმოსავლურ საზღვრებზე ტაქტიკური ბრძოლის პირველ ეტაპზე დამარცხების შემდეგ რუსეთი მოქმედების გეგმას ცვლის. სამხედრო სფეროში საერთაშორისო ტერორიზმის მფარველ ქვეყანასთან თანამშრომლობის გაღრმავებით, დასავლეთზე განაწყენებული "ჩრდილოეთის დათვი" არც ისრაელთან ურთიერთობების გამწვავებას ერიდება. რუსეთ-ისრაელის ურთიერთობებში "გამყინვარების" დაწყება თვალსაჩინო უკვე წლის დასაწყისშივე ხდება, მას შემდეგ, რაც რუსეთმა სირიისათვის სარაკეტო იარაღის მიყიდვის შესაძლებლობის განხილვა დაიწყო. რუსეთ-სირიის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გეგმების შესახებ ინფორმაცია ჯერ ისრაელის გაზეთის "ჰაარეც"-ის მიერ გავრცელდა, რასაც მერე საერთაშორისო რეზონანსიც მოჰყვა. "ჰაარეც"-ის ცნობით, მოსკოვმა და დამასკომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ჩაატარეს მოლაპარაკებათა მთელი სერია, ხოლო ხელშეკრულებას ხელი მოსკოვში სირიის პრეზიდენტის ასადის ვიზიტის დროს მოეწერება. ებრაელმა ანალიტიკოსებმა მაშინვე დაიწყეს მიზეზების გარკვევა,

გაგრძელება A5 გვერდზე

პასუხი

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს

სანდრო ქსოვრელი
"აფხაზეთი. რუ"-ს ანალიტიკოსი

როგორც რეკომენდაციების ავტორები აღნიშნავენ, ისინი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე უკვე ცხრა წელია, ინტენსიურად მუშაობენ. ცხრა წელიწადში, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო შეიცვალა. მხოლოდ აფხაზეთის გარშემო არ არის არანაირი ცვლილებები.

კიდევ უფრო გასაკვირი ისაა, რომ ეს ადამიანები საქართველოს რაღაც წინასწარ პირობებს უყენებენ, რომლებიც სიტყვასიტყვით ემთხვევა ქართული მხარისადმი სოხუმის არალეგიტიმური, მარიონეტული, პრომოსკოვური ადმინისტრაციის მოთხოვნებს.

თუ რას გვპირდებიან ისინი ამის სანაცვლოდ, აბსოლუტურად გაუგებარია. ცხრა წელიწადში მათ ვერ მოახერხეს, ეპოვნათ აფხაზეთში სერიოზული პარტნიორები.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბაგაფშზე მთავარი აფხაზი ერის გახსნილობაა

ვერიკო თევზაძე

დღის შეკითხვა:
რა ზემოქმედებას მოახდენს აფხაზეთის არჩევნების შედეგები სამშვიდობო მოლაპარაკებებზე?

ლევან ბერძენიშვილი, *პარლამენტარი:*

ამ არჩევნებს ერთადერთი შედეგი მოჰყვება: გამოიკვეთება აფხაზური მხარე, ვინც მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებს. ჯერჯერობით, სხვა ჩვენთვის სასიკეთო რაიმე შედეგზე საუბარი არ შეიძლება.

ამდენი ხნის განმავლობაში არ არსებობდა აფხაზური მხარე და მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ჩაშლილი იყო. უკვე არსებობს აფხაზი ხალხის რწმუნებით აღჭურვილი პირი, რომელთანაც ლაპარაკი შეიძლება. ეს კარგია. კარგია ისიც, რომ არძინბა წავიდა და მის ნაცვლად მოვიდა ხელისუფალი, რომელსაც ქართულ-აფხაზურ ომში მონაწილეობა, ფაქტობრივად, არ მიუღია.

გაგრძელება A2 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ბაგაფშზე მთავარი აფხაზი ერის გახსნილობაა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ასე რომ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში და მის ერთ-ერთ ნაწილში მოვიდნენ ხელმძღვანელები, რომლებიც სისხლისმღვრელ ომზე პასუხისმგებლები არ არინ. მათ ერთმანეთთთან დალაპარაკება უნდა გაუადვილდეთ.

მიუხედავად ამისა, ეს მაინც არ იქნება იოლი მოლაპარაკება. აფხაზური მხარე, ჯერჯერობით, ილუზიებით ცხოვრობს. გარკვეული ილუზიები დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა ქართულ საზოგადოებასაც. ახლა ჩვენი საზოგადოება მეტ-ნაკლებად მზადაა სალაპარაკოდ და, შესაძლოა, პირველი ნაბიჯიც გადადგას. ანუ მან შეიძლება იმ კაცს, ვისაც აფხაზები პრეზიდენტად ასახელებენ, ახალი წინადადებები შესთავაზოს. აქამდე ასეთი წინადადებების მოფიქრება თავად საქართველოსთვისაც პრობლემა იყო, რადგან ქართულ საზოგადოებაში საკითხზე სრული თანხმობა არ არსებობს. ახლა ამის მიღწევა უფრო შესაძლებელია.

რაც შეეხება აფხაზურ მხარეს, იგი ამჟამად გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ საქართველოსთან არანაირ მოლაპარაკებაზე არასოდეს წავა. მაგრამ ასე ბევრ ვინმეს ეგონა... აფხაზებს ვითარება მოქნილ მოქმედებას უკარნახებს.

კობა დავითაშვილი, *პარლამენტარი:*

არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს.

დავით უსუფაშვილი, *იურისტი:*

არჩევნების შედეგები ყველა შემთხვევაში დადებით ზემოქმედებას მოახდენს სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. აფხაზეთის ამჟამინდელი წარმომადგენელი იქნება უფრო მოლაპარაკებადი, ვიდრე იყო არძინბა და მისი ხელისუფლება. არძინბას პირობებში გაურკვევლობას იწვევდა ის, თუ ვის ელაპარაკებოდა ქართული მხარე. თავად არძინბა ვერ აკონტროლებდა სიტუაციას და ის არაფორმალური მმართველობის სტილი, რაც აფხაზეთში იყო დამკვიდრებული, მოლაპარაკებებს შეუძლებელს ხდიდა.

ასევე დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ამ არჩევნებზე თავად აფხაზი მოსახლეობის პოლიტიკურად გააქტიურება. რაც შეეხება ახალი ხელისუფლების - ბაგაფშის პოზიციას, არა მგონია, ახლო მომავალში რაიმე პრინციპული განსხვავება იყოს. თუ მან დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისადმი მიდრეკილება გამოავლინა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში სერიოზული პროგრესი გამოჩნდება. მთავარია, მოსახლეობას მიეცეს საშუალება, თავისუფლად ისაუბროს თავის გასაჭირზე, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური, განათლების პრობლემები თუ დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხები. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის ხელისუფლება იძულებული გახდება, საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე იფიქროს და მისთვის სტატუს-კვოს შენარჩუნება შეუძლებელი გახდება. დღეს აფხაზეთი არის რაღაც შავი ხვრელი მსოფლიო რუკაზე. შეუძლებელია, ეს განათლებულ და აქტიურ მოქალაქეს ხიბლავდეს. ასე რომ, აფხაზი ერის განათლებულობაზე და მის გახსნილობაზე მეტი რამ არის დამოკიდებული, ვიდრე ბაგაფშების და სხვა კონკრეტული პირების განწყობაზე.

გივი თარგამაძე, *პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის მთავარი საკითხი მოლაპარაკებებთან მიმართებაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში. მთავარია, ჩვენი პოზიცია, ჩვენი მზადყოფნა აფხაზეთის დასაბრუნებლად. საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მთავარი ნაბიჯები უნდა გადადგას.

გოგი ხუციშვილი, *კონფლიქტოლოგი:*

არჩევნების შედეგები მოლაპარაკებებზე საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს, ვინაიდან ბაგაფში, როგორც ფიგურა, განსხვავდება როგორც არძინბას, ასევე ხაჯიმბასაგან (თუ ის გახდებოდა პრეზიდენტი). ანქვაბის პრემიერ-მინისტრად დანიშნვაც დადებითი ფაქტორია. ყოველივე ეს შეიძლება წინსვლად მივიჩნიოთ და ვთქვათ: ამიერიდან აფხაზები არა რუსეთის კარნახით მიიღებენ გადაწყვეტილებას, არამედ უფრო დამოუკიდებლად იაზროვნებენ.

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲗᲜᲔᲜ

არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას ცხინვალის რეგიონსაც უთმობენ.

ᲘᲣᲠᲘ ᲚᲝᲒᲝᲠᲯᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შარშან, წლის მეორე ნახევარში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ "პარალიზებული" ოსური "კიდურის" დაჩქარებული კურსით მკურნალობა ძალიან საშიშია და მას, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. ამიტომ, შეცდომებისგან დაზღვევის მიზნით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საზოგადოებრივი "რეცეპტის" გამოყენება გადაწყვიტა და მის შედგენაში დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციებს სთხოვა. თხოვნა უპასუხოდ არ დარჩენილა.

როგორც ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი აცხადებს, კონფლიქტების თემაზე მუშაობა მისი ორგანიზაციისთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის და წლების განმავლობაში ამ სფეროში არაერთი პროგრამა განუხორციელებიათ. მისივე განმარტებით, 2004 წლის აგვისტოში შემუშავდა შიდა პროექტი, სახელწოდებით "ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზები, დინამიკა და გადაჭრის გზები - დამოუკიდებელი ანალიზი".

დარჩიაშვილის თქმით, აღნიშნულ პროექტში, თავდაპირველად, ჟურნალისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩაერთო, რომელსაც კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი უწევდა კორდინირებას. ჯგუფმა მოაგროვა მასალები, რომელიც საშუალებას იძლევა, ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებისა და ესკალაციის მიზეზებზე გარკვეული დასკვნები გაკეთდეს.

ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ხელმძღვანელის აზრით, ამ ეტაპზე აუცილებელია ჯგუფის გაფართოება და მასში ექსპერტების ჩართვა, რათა შემუშავდეს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ძირითადი მიმართულებები, უფრო მოგვიანებით კი, დაახლოებით ორ-სამ თვეში, დაიწყება მუშაობა სრულყოფილი კონცეფციის შექმნაზე.

"ეს უნდა იყოს ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც გათვლილი იქნება ნებისმიერი დეტალი. მაგალითად, თუნდაც ის, კონფლიქტის ზონაში არსებული რომელი სამხედრო შენაერთი უნდა დაიშალოს ან სხვა ნაწილს შეერწყას," - აცხადებს დარჩიაშვილი.

თავის მხრივ, სამუშაო ჯგუფის კორდინატორი პაატა ზაქარეიშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ რამდენიმე წლის წინათ ხელიდან იქნა გაშვებული ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების კარგი შესაძლებლობა.

"2000 წელს შეიძლებოდა, მომხდარიყო გარღვევა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, მაგრამ მერე ხელისუფლებაში ედუარდ კოკოითი მოვიდა და ამ პროცესში რეგრესი დაიწყო. გასული წლის მორე ნახევარში კონფლიქტის ზონაში განვითარებულმა მოვლენებმა კი ნეგატიური ფონი კიდევ უფრო გააძლიერა," - აცხადებს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, შევარდნაძის მმართველობის ეპოქაში დრო ხელოვნურად იწელებოდა და კონფლიქტი კონსერვდებოდა, დღეს კი მეორე უკიდურესობა შეიქმნა - ხელისუფლებას სურს, კონფლიქტის გადაწყვეტა მაქსიმალურად დაჩქარდეს, რაც მასზე მომუშავე ჯგუფებს ცაიტნოტში აყენებს.

როგორც პაატა ზაქარეიშვილი, ისე დავით დარჩიაშვილი ერთხმად აღნიშნავენ, რომ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტისგან განსხვავებით, ანალიტიკური მასალა ქართულ-ოსურ კონფლიქტზე თითქმის არ არსებობს; სანთლით საძებნელნი არიან ამ საკითხის (ქართულ-ოსური კონფლიქტის) ექსპერტები და სპეციალისტები.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ფონდ "ღია საზოგადოება -საქართველო"-ს ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების სრულყოფილი კონცეფციის პროექტი ხელისუფლების მაგიდაზე აუცილებლად დაიდება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝ�გᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲜ

ამერიკელი კონგრესმენები თბილისში.

ᲘᲜᲢᲔᲠᲤᲐᲡᲘ

კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებისთვის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავება უაღრესად მნიშვნელოვანია.

აღნიშნული განცხადება გიორგი ხაინდრავამ გუშინ ამერიკელ კონგრესმენებთან პარლამენტში შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, ქართულმა მხარემ ამერიკელ კონგრესმენებს მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ხაინდრავამ აღნიშნა, ამერიკელები, თავად, საკმაოდ ინფორმირებული არიან საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

"ქართული მხარისათვის კონფლიქტის ზონაში მომხდარი ნებისმიერი დეტალი მნიშვნელოვანია," - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი და დასძენს, რომ ამერიკელებს თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში 12 იანვარს დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების დროს განვითარებული პროცესების შესახებაც დაწვრილებით მიაწოდეს ინფორმაცია.

ხაინდრავას განცხადებით, ქართულმა მხარემ ამერიკელებს "რუსეთის მიერ ჩატარებული ეგზეკუციის შესახებაც" მოახსენა.

ამერიკელ კონგრესმენებს გუშინ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანიაც შეხვდა. ამერიკელები, რასაკვირველია, აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად განიხილავენ და ხაზს უსვამენ, რომ კავკასიის რეგიონის განვითარება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების გარეშე შეუძლებელია. პრესისთვის ამგვარი კომენტარი გააკეთა ალასანიამ. მისივე თქმით, ამერიკელი კონგრესმენები მზად არიან, ხელი შეუწყონ ქართველებსა და აფხაზებს პოლიტიკური დიალოგის წარმართვაში.

ამერიკელების ხელშეწყობა კი, უპირველესად, იმით გამოიხატება, რომ ისინი საერთაშორისო არენაზე საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ.

კონგრესის დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესაც შეხვდა. ბურჯანაძის განცხადებით, კონგრესმენთა დელეგაციის პოზიცია მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ევროკავშირში და ნატო-ში გასაწევრიანებლად.

საქართველოში სამდღიანი სამუშაო ვიზიტით მყოფი ამერიკის კონგრესის დელეგაცია დღეს ცხინვალის რეგიონში გაემგზავრება და კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნობა. ამის შესახებ ჟურნალისტებს დელეგაციის ხელმძღვანელმა კენეტ მაიერსმა განუცხადა.

ᲑᲐᲒᲐᲤᲨᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘ

სერგეი ბაგაფში თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში 12 იანვარს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ოფიციალურად გამოცხადდა.

როგორც ინტერ-პრესს სოხუმის ხელისუფლების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბატალ ტაბაღუამ აცნობა, არჩევნებისთვის ხმის უფლების მქონე 129 127 მოქალაქე იყო რეგისტრირებული, რომელთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა 75 719 მოქალაქემ მიიღო.

"არჩევნები შედგა და გამარჯვება ბაგაფშმა მოიპოვა," - განაცხადა დღეს სოხუმში ბატალ ტაბაღუამ, რომლის თქმით, ბაგაფშს ხმა 69 728 მოქალაქემ მისცა. ხოლო მის ოპონენტს იაკუბ ლაკუბას - 3 549 მოქალაქემ.

ბატალ ტაბაღუას განცხადებით, არჩევნებში გამარჯვებულ სერგეი ბაგაფშს არჩევნებში მონაწილეთა 92,08 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის სამსახურის სამხედრო ინსტრუქტორები ქართველ მესაზღვრე ოფიცრებს სამეთაურო მართვისა და მენეჯმენტის სასწავლო კურსს ჩაუტარებენ. სწავლებები 17-21 იანვარს აჭარაში გაიმართება. სწავლება, ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, მიმდინარე "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის" ფარგლებში ჩატარდება. ამერიკელი ინსტრუქტორები საქართველოს სანაპირო დაცვისა და სახმელეთო საზღვრის დაცვის 25 სამხედრო მოსამსახურეს ბათუმში ოთხი დღის განმავლობაში სამეთაურო მართვასა და მენეჯმენტს ასწავლიან.

ინტერ-პრესი

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲛᲣᲥᲔᲑᲡ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, სამწუხაროდ, რუსეთმა ჯერჯერობით ვერ გაიგო, რომ საქართველო მის უსაფრთხოებასა და კანონიერ ინტერესებს არ ემუქრება. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ დღეს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა.

ბურჯანაძის თქმით, საქართველო არ აპირებს, იყოს ქვეყანა, რომელიც რაიმე საფრთხეს შეუქმნის რუსეთს. "რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან მიმართებაში საკუთარ წარმოდგენებს ამუქებს. საქართველოს სტაბილურობა და ჯარის მშენებლობა რუსეთს საფრთხეს არ შეუქმნის," - დასძინა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა.

ინტერ-პრესი

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ზუგდიდი. გუშინ ზუგდიდში შს მინისტრის მოადგილემ შალვა კორძაძემ შინაგანი ჯარების ზუგდიდის ნაწილში ახალი ხელმძღვანელობა წარადგინა - დღეიდან, შინაგანი ჯარების ზუგდიდის ნაწილს პოლკოვნიკი ზაურ გერგედავა უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მიწვევით, საქართველოს სამთავრობო დელეგაცია დღეს შვიდღიანი სამუშაო ვიზიტით დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში გაემგზავრება, სადაც ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე სამშვიდობო პროცესის გამოცდილებას შეისწავლის. დელეგაციას სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 15 იანვარს ეკონომიკური ცოდნის გავრცელების საზოგადოების "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" ორგანიზებით, გაიმართება სემინარი, თემაზე "ახალი საგადასახადო კოდექსი - პირველი კომენტარები." სემინარში მონაწილეობას მიიღებენ კავკასიური კვლევის რესურსის ცენტრი - CRRC - Georgia, დამოუკიდებელი ექსპერტები და იურისტები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. წალკის რაიონის სოფელ ხარაბას მოსახლეობა რაიონის გამგებელს მიხეილ ცქიტიშვილს დაუპირისპირდა. ამის მიზეზი კი სოფლის საკრებულოს მიერ მოსწავლეებისთვის სასექტემბროდ დარიგებული 10-10 ლარის მიწის გადასახადის დასაფარად გადარიცხვა გახდა. როგორც წალკის რაიონის გამგებელმა მიხეილ ცქიტიშვილმა "მედია-ნიუსს" განუცხადა, 14 იანვარს გამგეობასთან შეკრებილი 100-მდე მოქალაქე მოითხოვდა ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას და თანხის (130 ლარის) დაბრუნებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ავიაკომპანია "კავკასიის ავიახაზებმა", შესაძლოა, ფუნქციონირება შეწყვიტოს. როგორც "ინტერ-პრესს" ავიაკომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა მარიამ კახელაშვილმა განუცხადა, კომპანიის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა დღეისათვის ავიაკომპანია არც ერთ რეისს აღარ ასრულებს. "კავკასიის ავიახაზებს" საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ მიმდინარე წლის 5 იანვარს რეისების განხორციელებაზე ლიცენზიები ჩამოართვა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ავიაკომპანიამ რეისების შესრულება ჯერ კიდევ 2004 წლის 18 ოქტომბერს შეწყვიტა. ფრენის შეჩერების მთავარ მიზეზად კომპანიის ფინანსური მენეჯერი აზერბაიჯანულ ავიაკომპანია "აზართან" შექმნილ პრობლემას ასახელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზის" ადმინისტრაციამ აქციონერთა რიგგარეშე კრება 2 თებერვლისთვის მოიწვია. რიგგარეშე კრებაზე აქციონერები კომპანიაში ათწლიანი მართვის უფლებით შესული ამხანაგობის "ახალი მენეჯმენტის" მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს მოისმენენ და სამეთვალყურეო საბჭოს ახალ შემადგენლობას აირჩევენ."ახალი მენეჯმენტი", ათწლიანი მართვის უფლებით, სპეციალურად ჩატარებული ტენდერის საფუძველზე, "თბილგაზში" 2003 წლის 1 ოქტომბერს შევიდა. "თბილგაზის" ძირითადი აქციონერი სახელმწიფოა, კერძოდ, თბილისის ქონების მართვის სამსახური. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ვალდებულებების გაყიდვას 20 იანვრიდან განაახლებს. როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, მიმდინარე წელს სახაზინო ვალდებულებების პირველი აუქციონი 20 იანვარს გაიმართება, სადაც გასაყიდად 1,3 მლნ ლარის ოდენობის 364-დღიან სახაზინო ვალდებულებებს გამოიტანენ. როგორც 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად, ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლობა აქვს, სახაზინო ვალდებულებების გაყიდვის გზით მობილიზება 20 მილიონ ლარს გაუკეთოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 100,14 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ერთი კვირის განმავლობაში (7 იანვრიდან 13 იანვრამდე) ფასების საერთო დონე 0,14 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, სურსათის საერთო ფასი - 0,39 პროცენტით, ხოლო მომსახურებაზე ფასები 0,15 პროცენტით შემცირდა. არასასურსათო საქონლის ფასები უცვლელი დარჩა. დეპარტამენტის ინფორმაციით, 8,7 პროცენტით გაძვირდა ვერცხლი, კარტოფილის ფასმა 7,7 პროცენტით მოიმატა. გასულ კვირასთან შედარებით, 4,5 პროცენტით შემცირდა ბენზინ "ნორმალის" ღირებულება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 2004 წლის ფინანსური აუდიტის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ აუდიტორული კომპანიის შესარჩევად კონკურსი გამოაცხადა. როგორც "ინტერ-პრესს" სემეკში განუცხადეს, კონკურსში მონაწილეობის მსურველმა თითოეულმა კომპანიამ საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, კომპანიის ლიცენზიის ასლი ზოგად აუდიტში, კომპანიის მთავარი სპეციალისტების ანკეტა-ბიოგრაფიები. სემეკში 2003 წელს აუდიტორული შემოწმება კომპანია "კონსაუდმა" ჩაატარა. **ინტერ-პრესი**

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. ᲡᲢᲘᲚᲘ: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

რადიო შოუ როკი და ფეხბურთი

წამყვანები - არჩილ ბენაშვილი, გაგა გოიბრონიძე ,მინდია ,არაკლი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები,სათასო თამაშები; მიმდინარე, დასრულებული და დაუსრულებელი მაგჩების შედეგები - როკი და როკვა ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას,ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე გალღაზე

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე
42 107 4
42 107 5

აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონცეფციები ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრ დაზუსტებასა და გაღრმავებას მოითხოვს, ისინი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგებას ემსახურება.

ქართული საზოგადოება შემხვედრ ნაბიჯს დგამს. აფხაზურმა საღმა აზრმა არ უნდა დაიგვიანოს. შეუძლებელია, ამ ორმა მონათესავე ხალხმა სიმართლე დაკარგოს და მუდმივ გაურკვევლობაში, შიშსა და ბუნდოვნებაში იცხოვროს.

ზოგადი შტრიხები

სეპარატიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, საუკუნეებს ითვლის და ლათინური წარმოშობის ამ ცნებას, რომელიც გამოყოფას, განცალკევებას ნიშნავს, სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ.

კომუნისტურ იდეოლოგიაში სეპარატიზმი აღიქმებოდა ბურჟუაზიული სისტემისათვის დამახასიათებელ მოვლენად, თუმცა იგი უცხო არ იყო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და მეტ-ნაკლები სიმწვავით დროდადრო იჩენდა თავს.

სეპარატიზმს ცალკეული სახელმწიფოები მოხერხებულად იყენებენ სხვადასხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩასარევად, ხოლო "დამოუკიდებლობის" მაძიებელი ეთნოსები მას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან აიგივებენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში დაწყებულმა ეროვნულ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ბიძგი მისცა ნაციონალური უმცირესობების თუ დიასპორების სწრაფვას ე.წ. თვითგამორკვევისაკენ. იმჟამად კრემლმა წინ წამოსწია "მცირე იმპერიების" თემა და სცადა, შეექმნა საბჭოეთის ახალი - ევროაზიური - პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური სივრცე, რომელშიც ყველა ავტონომიური წარმონაქმნი საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსს იძენდა.

თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში ძირითადად გამოკვეთილია ორი ძირითადი ტენდენცია:

პირველი - მსოფლიო ისწრაფვის, შეინარჩუნოს სტატუს-კვო სახელმწიფოთა არსებული სისტემის სახით, რომლებიც შედიან გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. თუმცა, დღეს შეიძლება მრავალი არგუმენტის მოტანა იმის დასამტკიცებლად, რომ არსებული საერთაშორისო სისტემა არასამართლიანია, არასრულყოფილი და არამყარიც.

მეორე - მსოფლიო შედგება არა სახელმწიფოებისაგან, არამედ ეროვნებებისაგან.

ამ თვალსაზრისზე მდგომი პოლიტიკოსები და მკვლევარები მიიჩნევენ, რომ არსებულ საერთაშორისო სისტემაში ხალხი იყოფა ორ კატეგორიად: ***ა) საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები,*** რომელთაც აქვთ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოები და ცხადია, საერთაშორისო ცხოვრების პირდაპირი მონაწილენი არიან; ***ბ) "შეორეხარისხოვანნი" -*** მოკლებულნი ასეთ შესაძლებლობებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ერთი ჯგუფი გაეროს საშუალებით ცდილობს, პერსპექტივაში დაანაწევროს მრავალეროვნული ქვეყნები და მხარს უჭერს ყველა ეთნოსის თვითგამორკვევას და მცირე ეროვნული სახელმწიფოების შექმნის იდეას. ამ მიდგომით შეიძლება 3 ათასიდან 5 ათასამდე სახელმწიფოს ფორმირება, ეთნიკური ჯგუფების საორიენტაციო რიცხოვნების მიხედვით.

სხვათა შორის, გასული საუკუნის 50-იან წლებში ასეთი იდეით გამოდიოდა ავსტრიელი პოლიტოლოგი ლ. კორი, რომელიც წინადადებას იძლეოდა, ევროპაში ათეულობით სახელმწიფო შეექმნათ ეთნიკური ჯგუფებისათვის: (ბავარია, ბურგუნდია, ვალახია, მორავია, სლოვენია, პიკარდია, ტრანსილვანია და ა.შ).

სხვადასხვა სახელმწიფოებში მცხოვრები 5 ათასი ეთნოსიდან ეროვნული მიდრეკილება ახასიათებს 2 ათასამდე ეთნიკურ ჯგუფს, თუმცა მათ შორის მხოლოდ ერთეულები დგანან სეპარატისტულ პოზიციაზე და ცდილობენ, ნებისმიერი საშუალებით შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დღეისათვის დედამიწის მოსახლეობის რიცხობრიობა იყოფა 3 კატეგორიად: - ***მსხვილი, საშუალო და მცირე.*** 5 მილიონზე მეტი კაცით წარმოდგენილია 90 ეროვნება, რაც მთელი პლანეტის მოსახლეობის 88,6 პროცენტია. მეორე კატეგორიაში შედის 136 ეროვნება, რომელთა რაოდენობა 1 დან 5 მილიონამდეა. რაც შეეხება მესამე კატეგორიას - აქ გაერთიანებულია რამდენიმე ათასი ეთნოსი, რომლებიც მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3,2 პროცენტს წარმოადგენს.

არავინ ფიქრობს, მოხდეს მცირერიცხოვანი ეროვნებებისა და ჯგუფების თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპების იგნორირება, მაგრამ მართლზომიერი იქნებოდა, გვეფიქრა იმაზეც, რომ პლანეტის 3 პროცენტი მოსახლეობის სურვილის გამოვლინების გამო ადვილი არ იქნებოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადაკეთება-გადასწორება.

არ შეიძლება სამართლიანი ვუწოდოთ წესრიგს, როდესაც უმცირესობათა ინტერესები ილახება, მაგრამ მიუღებელია, ნაციონალური უმცირესობის პრეტენზიების გამო მოსახლეობის უმრავლესობას საფრთხე დაემუქროს და თავის სამშობლოში დევნილად იქცეს.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში წარსულის, აწმყოსა და მომავლის გათვალისწინებით.

ისტორიიდან

საქართველოს გაერთიანების მოთავე ორი ერის ურთიერთობაში მუდმივი სიმშვიდის პერიოდი არ არსებობს. ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ტენდენცია ფეოდალურ წიაღში იჩენს თავს და ეს იმ დროისთვის არც არის გასაკვირი. თუმცა, უფრო გამოკვეთილად ამ ორ ისტორიულად ახლოს მყოფ ხალხს შორის უსიამოვნო მომენტები მოგვიანებით, რუსეთის 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის სახელისუფლებო გადატრიალების შემდეგ იკვეთება. აფხაზეთით ერთბაშად რამდენიმე ძალა ინტერესდება (საბჭოთა რუსეთი, თურქეთი, დენიკინი), შესაბამისად აფხაზეთში ყალიბდება რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა ორიენტაციაზე დგანან (პროაფხაზური, პროქართული, პრორუსული, პრობოლშევიკური, პროთურქული).

1918-1921 წლების დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო ქართულ-აფხაზური საკითხის მოგვარება, ეს კი განპირობებული იყო, ერთი მხრივ, აფხაზთა ერთი ჯგუფის მკვეთრი ანტიქართული განწყობილებით, მეორე მხრივ, აფხაზეთის საკითხში მთავრობის აწონილ-დაწონილი, ჩამოყალიბებული პოლიტიკის უქონლობით.

აფხაზების საკმაოდ გავლენიანი ნაწილი მხოლოდ სიტყვიერად ცნობდა ქართული მთავრობის მიერ გაცხადებულ აფხაზეთის ავტონომიის აქტის პირველ პუნქტს, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შესახებ და მას დროებით მოვლენად მიიჩნევდა. ისინი ისწრაფოდნენ, შეექმნათ ერთიანი სივრცე (გაგრისა და სოხუმის ოლქები და სამურზაყანო) და მოგვიანებით ამას მიაღწიეს კიდევაც. აფხაზი ბოლშევიკების მოსაზრებით კი აფხაზეთის განვითარებაში გადამწყვეტი როლი რუსეთს უნდა ეთამაშა.

საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებაში, პოლიტიკურ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა წარმოდგენაში, აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობდა. ისინი სრულად ვერ აცნობიერებდნენ აფხაზეთში არსებული ძლიერი ანტიქართული მოძრაობის მიზეზებს, მის არსს და დაძლევის გზებს. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ხიდი ქართველი სოციალ-დემოკრატების წყალობით ისე გაიბზარა, რომ მისი გამთელება დღემდე ვერ მოხერხდა.

აფხაზეთი კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკაში

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია-ოკუპაციის შემდეგ აფხაზეთში ახალი ძალით იჩინა თავი ქართულ-აფხაზურმა დაპირისპირებამ. აფხაზი ბოლშევიკების ინიციატივით 1921 წელს აფხაზეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, თუმცა აფხაზმა კომუნისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ორი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის არსებობა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მით უმეტეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აფხაზეთის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც აწერდნენ ხელს.

ფაქტად რჩებოდა, რომ გერმანია-საქართველოს ხელშეკრულებაში სოხუმის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში ფიქსირდებოდა. ამ საკითხში ერთიან პოზიციაზე იდგნენ ანტანტის ქვეყნები და თურქეთი. 1920 წლის ხელშეკრულებით სოხუმის ოლქს საქართველოს ტერიტორიად ცნობდა საბჭოთა რუსეთიც.

მიუხედავად ამისა, აფხაზთა ერთი ჯგუფი აფხაზეთის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. მათ მხარდმჭერები მოსკოვშიც აღმოაჩნდათ. რუსეთის სამხედრო ატაშე გენერალი სიტინი კრემლს ურჩევდა, აფხაზეთი ჩამოეცილებინათ საქართველოსთვის და ყურადღება გაემახვილებინათ სამეგრელოზეც, მისი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო.

მოსკოვში აცნობიერებდნენ, რომ აფხაზეთის გაერთიანება რუსეთის შემადგენლობაში დასავლეთში აღიქმებოდა საქართველოს ტერიტორიის მიტაცებად, ამიტომ მოიძებნა შუალედური ვარიანტი. აფხაზეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ხოლო რუსეთის ინიციატივით, საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ურთიერთშორის სამხედრო, პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ კავშირს ითვალისწინებდა და 10 წელი გაგრძელდა.

1931 წლის დასაწყისისათვის ლ. ბერიას ინიციატივით სამოკავშირეო ხელშეკრულება გაუქმდა, აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში, როგორც საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა.

აფხაზთა ერთი ნაწილი არ ურიგდებოდა აფხაზეთის ყოფნას ერთიან ქართულ სივრცეში. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა ფარული ჯგუფებიც. დიდი სამამულო ომის პერიოდში ისინი შეეცადნენ კიდევაც, დაესვათ საკითხი გამოყოფის შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაში საბჭოთა მართლმსაჯულება მკაცრი იყო.

ომის შემდგომ პერიოდში გამიზნულად, ეტაპობრივად, ყოველ 10 წელიწადში ერთხელ იწყება ანტიქართული გამოსვლები (1956-1957; 1977-1978; 1988-1989 წწ). ჩნდება სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, იდეოლოგიური და ბოლოს პოლიტიკური მოთხოვნები. ისმის მოწოდებები თვითგამორკვევისა და საქართველოდან გამოყოფის შესახებ.

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ერთ ხანს შეძლო მოვლენების დარეგულირება. რესპუბლიკის პარტიული ხელისუფლების ლიდერი ვასილ მჟავანაძე, საკმაოდ პრინციპულად იცავდა საქართველოს ინტერესებს აფხაზეთის საკითხში, რაც მისაღები არ აღმოჩნდა კრემლის პოლიტიკური ელიტისათვის. ამიტომ 1972 წელს კრემლმა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა ე. შევარდნაძის პერსონა, რომელიც საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას ჩაუყენეს სათავეში. შევარდნაძის მოსვლას წინ უსწრებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომლის მთავარი არსი იყო საქართველოს გადაქცევა მართვად რესპუბლიკად. ეროვნული მისწრაფებების შენელება, ცხოვრების ქართული წესის შეზღუდვა, არაქართველთა სასარგებლოდ ძალთა გადანაწილების მიღწევა.

მთლიანობაში ეს იყო აფხაზი და სხვა სეპარატისტული ძალების მხარდასაჭერად მომზადებული მზაკვრული გეგმა, რომლის პრაქტიკული რეალიზება დაიწყო 70-იან წლებში. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მიერ დაშვებული მძიმე შეცდომების შედეგად, აფხაზეთში ჩამოყალიბება დაიწყო სუვერენული სახელმწიფოსათვის საჭირო ყველა ძირითადმა მექანიზმმა. ანტიქართულ მოძრაობაში მონაწილეობა პრესტიჟად და კარიერისაკენ მიმავალ ზეაღმავალ გზად იქცა. შეფერხდა ქართველების ჩაბმა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ამრიგად კრემლმა, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების დახმარებით, ლეგალურად აქცია ყოველივე ის, რაც ათეულწლობით აფხაზეთში არალეგალურად მიმდინარეობდა. "აფხაზური საკითხი" გაცდა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეს და იგი კრემლის "საზრუნავი" გახდა, რაც მოგვიანებით ტრაგიკული შედეგების მომტანი აღმოჩნდა ქართველებისა და აფხაზებისთვისაც.

1989 წლის აპრილში სოფელ ლიხნში დაწყებულმა მოვლენებმა, კულმინაციას 1990 წლის აგვისტოში მიაღწია. 25 და 31 აგვისტოს ცალ-ცალკე შემდგარმა აფხაზური და ქართული მხარეების უზენაესი საბჭოს სესიებმა აფხაზეთში ორხელისუფლებიანობა დააკანონეს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, არც აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე ძალები ცხრებოდნენ. საქართველო კრემლის გავლენის სფეროდან გამოსვლას შეეცადა, შესაბამისად, "აფხაზური მოძრაობა" რუსეთის დასაყრდენ ძალად იქცა. 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზურმა მხარემ მიიღო დეკლარაცია "აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გამოხმაურება

პასუხი

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს

პირველი გვერდიდან

პირველი პირობა არის ქართული მხარის მიერ უარის თქმა ძალისმიერ გადაწყვეტაზე, რადგან "აფხაზები ქართველებს აგრესორებად აღიქვამენ". რომ არ ჩავუღრმავდეთ იმას, თუ ვინაა აგრესორი და ვინ მსხვერპლი, სრულიად ნათელია, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ უარის თქმა, სამხედრო ძალის გამოყენებით დაიცვას თავისი იურისდიქცია ამა თუ იმ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით გარე აგრესიის პირობებში, უკვე ნონსენსია.

ახლანდელ სიტუაციას მშვიდობას ძნელად თუ უწოდებ. საუბარია არა მშვიდობაზე, არამედ გაყინულ კონფლიქტზე და საუბრის საგნის ხელოვნურად შეცვლა არ ღირს. მით უმეტეს, რომ ახლანდელი ე. წ. "ზავის" პირობები მხოლოდ საქართველოს 1993 წლის დამარცხების შედეგების განმტკიცებას წარმოადგენს. როგორც საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა თქვა, "საქართველო დააჩოქეს". რა საჭიროა 10 წლის შემდეგ განვაცხადოთ, რომ მზად ვართ, კვლავაც დაჩოქილი ვიყოთ?

თუმცა პრობლემაზე, რომელიც აფხაზების მიერ ქართველების "აგრესორებად აღქმას" უკავშირდება, რა თქმა უნდა, მუშაობაა საჭირო.

გადაწყვეტილებებს ჯარების შეყვანის შესახებ იღებენ არა ხალხები საერთო შეკრებებზე, არამედ მმართველები, როგორც წესი, ფარულად. ამიტომ თეზისი იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამენ ქართველებს აფხაზები, უბრალოდ არამართებულია. ორივე მხრიდან ხელმძღვანელები კრემლის მიერ იყვნენ დასმული და დიდი პრობლემები ჰქონდათ საკუთარ ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. კონფლიქტის მომავალ მონაწილეებს სწორედ კრემლი აიარაღებდა და წრთვნიდა. აფხაზებმა ეს, რა თქმა უნდა, კარგად იციან. კონფლიქტის პირველივე წუთიდანვე რუსეთი და მხოლოდ რუსეთი აკონტროლებდა რეალურად იმას, თუ ვინ, რითი და როგორ შეეიარაღებინა, და შემდეგ განეიარაღებინა! რუსი სამხედროები გეგმავდნენ აფხაზთა სამხედრო ოპერაციებს, ახორციელებდნენ ხელმძღვანელობას; იმავდროულად, თავიანთი აგენტურის საშუალებით, ქართული ქვედანაყოფების დემორალიზებას ეწეოდნენ.

საბოლოოდ, კონფლიქტის შედეგი კრემლმა გადაწყვიტა და შემდეგ დააფიქსირა - "გაყინა". რეალურად რუსეთი პირველივე წუთიდან დღემდე ჩართულია კონფლიქტში მთავარი მონაწილისა და არბიტრის სტატუსით.

მაგრამ, სიტუაცია იცვლება და დღეს, პირველად მრავალი წლის მანძილზე, საქართველოს ხელმძღვანელობა მოსახლეობის ნდობით სარგებლობს.

ასევე - რეგიონში რეალურად ჩნდება სტაბილურობით, და არა გაყინული კონფლიქტების გზით იმპერიული გავლენის შენარჩუნებით, დაინტერესებული ძალა.

აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ ახალი ძლიერი შუამავლების ჩართვით არის შესაძლებელი, რომლებიც ქართველებისა და აფხაზების, როგორც მოწესრიგებაში სისხლხორცეულად დაინტერესებული მხარეების, ნდობით ისარგებლებენ.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ ისინი, ვინც ვითომდა აფხაზებს წარმოადგენენ, სინამდვილეში იყვნენ და არიან მხოლოდ კრემლის მარიონეტები. და მათთვის დახმარება თავიანთი ლოზუნგების რეკლამირებაში მხოლოდ დროის კარგვასა და საქმისათვის ზარალის მიყენებას ნიშნავს. მხარეს, რომელიც აფხაზთა ინტერესებს რეალურად წარმოადგენს, თავი ჯერ არ გამოუვლენია. მაგრამ ის აუცილებლად გამოჩნდება ახალი მოთამაშეების გამოჩენის კვალობაზე.

დადგა დრო, მაშინდელ მოვლენებს პოლიტიკური შეფასება მიეცეს. საჭიროა, განვაცხადოთ რუსეთის აგრესიისა და ამ ტერიტორიის ანექსიის მცდელობის შესახებ. საჭიროა, განვაცხადოთ სამხედრო დანაშაულთა გამოძიებისა და სამხედრო დამნაშავეების დასჯის შესახებ.

ამასთან ერთად, დაუშვებელია, საქართველოს იურისდიქციის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებაზე უარის თქმა. აფხაზეთის დღევანდელ მეპატრონეს - კრემლს, ყველაზე ნაკლები საფუძველი აქვს, ჩვენი და აფხაზების საერთო სამშობლოს ნაწილზე პრეტენზია ჰქონდეს.

მიმართვაში სრულიად სამართლიანად არის დასმული ნდობის საკითხი. დღეს აფხაზებმაც და ქართველებმაც იციან, კონფლიქტის დროს რა შემზარავი დანაშაულები იქნა ჩადენილი. და სანამ არ დასახელდებიან ის პირები ორივე მხრიდან, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ნდობის აღდგენა შესაძლებელია არა დეკლარაციებით, არამედ რეალური დამნაშავეების გამოცალკევებთ ჩვეულებრივი მებრძოლებისგან.

როცა ვსაუბრობთ ნდობაზე, არ უნდა დავივიწყოთ აფხაზებისა და ქართველების ნდობის საკითხი იმ ადამიანების მიმართ, ვინც მათი სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებს. ინტენსიური მუშაობის 9 წელი თავისთავად არანაირად არ ამაღლებს ნდობას, სანამ არ არის ცნობილი, ვისთან, რის შესახებ, ვისი სახელით წარმოებდა და მიმდინარეობს მოლაპარაკება.

"მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს მშენებარე არმიაზე დაკისრებულ მისიებს შორის არ არის და არ იქნება შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზ ხალხთან," - ნათქვამია მიმართვაში.

არმიაზე დაკისრებულ მისიებს შორის, არც აფხაზ, არც ქართველ და არც სხვა რომელიმე ხალხთან დაპირისპირება საერთოდ არ უნდა იყოს. ეს გასაგებია განცხადებების გარეშეც. ამავე დროს, მთავარი მისია, რომელიც ნებისმიერ არმიას ეკისრება, აგრესიის მოგერიებაა. და განცხადება იმის შესახებ, თითქოს ქართული არმია, ფაქტობრივად, არ შეეწინააღმდეგება რუსულ აგრესიას აფხაზეთში, უადგილო იქნებოდა. სიმართლე რომ ვთქვათ, თუ ჯარი აგრესიის მოგერიებასა და საქართველოს ტერიტორიის ანექსიის მცდელობების აღკვეთას არ აპირებს, გაუგებარია, რა საჭიროა ჯარი.

და კიდევ, ყბადაღებული სანქციების საკითხი. რა თქმა უნდა, ნდობის აღდგენა მხოლოდ ერთობლივი საქმიანობის პროცესში ხდება. თითოეულ ცალკე აღებულ აფხაზთან ურთიერთობის დამყარების მცდელობებს მხოლოდ უნდა მივესალმოთ. აფხაზი გლეხებისგან მანდარინისა და სხვა პროდუქციის შესყიდვისა და საერთაშორისო ბაზრებზე გატანის მცდელობის იდეასაც მხარი უნდა დავუჭიროთ, გავუხსნათ რიგით აფხაზებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, გზა თანამედროვე განათლებისკენ. გადავუხადოთ დახმარებები და პენსიები პენსიონერებსა და ომისაგან დაზარალებულ პირებს. მივიფიქროთ აფხაზეთის მცხოვრებთა მიერ ბიზნესის წარმოების სტიმულირების მექანიზმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარი დავუჭიროთ ნებისმიერ ნაბიჯს, რომელიც აფხაზთა ინტეგრირებას შეუწყობს ხელს საერთო ქართულ სახელმწიფოში, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და განვითარების ხელშეწყობით.

მაგრამ, თუ საუბარია იმაზე, რომ, მაგალითად, დღეს აფხაზეთზე გამავალი რკინიგზა ავამოქმედოთ, ეს ნიშნავს შევეგუოთ ე. წ. "აფხაზეთის საბაჟოს", ტრანზიტისთვის საბაჟო მოსაკრებლების გადახდას, რაც საბოლოოდ საკუთარი ხელით არალეგიტიმური რეჟიმის ლეგიტიმაციას და იმ ხალხის დაფინანსებას ნიშნავს, ვინც დღეს ღიად და პირდაპირ აცხადებს, რომ გალის რაიონის იქით არც ერთი ქართველი არ დაბრუნდება. სად და როდის ეგუებოდა დემოკრატია რასობრივ სეგრეგაციას და ძალადობისა და ეთნიკური წმენდების მეშვეობით მიღწეული შედეგების ლეგიტიმაციას?

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს იმისთვის არ დაუკეტია ერგნეთის კონტრაბანდული ბაზრობა, რომ ის აფხაზეთში გაეხსნა.

დაბოლოს, ქართულ საზოგადოებაში საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ექნება ყველას, ვინც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული კონფლიქტის მოწესრიგებით.

კომერციული ბანკების რაოდენობა, შესაძლოა, შემცირდეს

საქართველოში კომერციული ბანკების რაოდენობა წლის ბოლომდე, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შემცირდეს. ასეთ პროგნოზს, ექსპერტების გარდა, ეროვნულ ბანკშიც აკეთებენ. ბანკების სავარაუდო შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ამ უწყების პირველი პირის, ირაკლი მანაგაძის მიერ გასულ წელში გამოცემული ბრძანებაც მოიაზრება.

ეთერ მამულაშვილი

დღეს საქართველოს ბაზარზე 21 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, აქედან ორი უცხოური ბანკის ფილიალია - თურქული "ზირაათ ბანკი" და აზერბაიჯანული "კავკასიის განვითარების ბანკი". ჯერ კიდევ შარშან კომერციული ბანკების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 23 იყო. აჭარაში "საზღვაო ბანკის" გაუქმების შემდეგ, ამჟამად ეროვნულმა ბანკმა "საფოსტო ბანკის" ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო. ამ უკანასკნელისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის ერთ-ერთ მიზეზად, სხვა სერიოზულ დარღვევებთან ერთად, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის არქონაც სახელდება.

"საფოსტო ბანკს" საზედამხედველო კაპიტალი მნიშვნელოვნად მას შემდეგ შეუმცირდა, რაც მისმა აქციონერებმა საბიუჯეტო და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ძველი დავალიანებები გაისტუმრეს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გასულ წელს გამოცემული ბრძანების თანახმად, ყველა კომერციულ ბანკს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის რაოდენობა 1 მილიონ 400 ათასი ლარით გაეზარდათ. ნაცვალად 5 მილიონისა, ბანკის საზედამხედველო კაპიტალი, სულ მცირე, 6 მილიონ 400 ათასი უნდა იყოს, იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა მასზე შესაბამისი ლიცენზია გასცეს.

ქვეყანაში მოღვაწე ყველა კომერციულმა ბანკმა გასული წლის ბალანსები და სხვა ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი მიმდინარე წლის 15 იანვრამდე ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს.

"თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ბანკს 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზედამხედველო კაპიტალი 6 მილიონ 400 ათასზე ნაკლები ექნება, ეროვნული ბანკი მისი შემდგომი არსებობის საკითხს დასვამს," - განმარტავს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსი მურთაზ კიკორია. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში შესაძლოა კომერციულ ბანკს დამატებით სამთვიანი ვადა მიეცეს, რათა მან საზედამხედველო კაპიტალი ამ ხნის განმავლობაში შეავსოს და მინიმალურ ზღვარს ეტაპობრივად მიუახლოვდეს.

"სამი თვის შემდეგაც თუკი აღმოჩნდება, რომ ბანკმა ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაშინ ეროვნული ბანკი მას ლიცენზიას ჩამოართმევს, რის შემდეგაც ბუნებრივად დაიწყება მისი ლიკვიდაციის პროცესი," - დასძენს კიკორია.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოთ ხსენებული ბრძანება, საბანკო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, შესაძლო რისკების თავიდან აცილებას, კომერციული ბანკების კაპიტალის ამაღლებისა და მინიმალური კაპიტალის ოდენობის საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებას ისახავს მიზნად.

იმავე ბრძანების თანახმად, უახლოეს სამ წელიწადში კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ზღვარი 12 მილიონ ლარამდე იზრდება.

სხვათა შორის, ევროკავშირის სტანდარტებით, კავშირის წევრი სახელმწიფოების კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალი მინიმუმ 6 მილიონი ევრო უნდა ჰქონდეს. ამ სტანდარტთან მიახლოებას საქართველოს ეროვნული ბანკი 2008 წლისთვის გეგმავს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში მოქმედ რამდენიმე წვრილ კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის დადგენილი მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი არ აღმოაჩნდებათ, რაც ბანკებს გაერთიანება-გამსხვილებას აიძულებს. ამის პირველი პრეცედენტი საქართველოში ამ ცოტა ხნის წინათ დაფიქსირდა, როცა "საქართველოს ბანკმა" და "თბილუნივერსალბანკმა" გაერთიანების შესახებ საზოგადოებას საჯაროდ აცნობეს. ამჟამად ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს რამდენიმე თვეში დასრულდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად რამდენიმე ბანკს შორის აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ახლო მომავალში გაერთიანების შესახებ. ამ ინფორმაციას ეროვნულ ბანკშიც ადასტურებენ, თუმცა ბანკების დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ.

წლის ბოლომდე კომერციული ბანკების რაოდენობის შესაძლო შემცირება ეროვნულ ბანკში საკმაოდ რეალურად ეჩვენებათ და ამას დადებითად აფასებენ. **"ბანკების გაერთიანება-გამსხვილების ტენდენცია აშკარად შესამჩნევი გახდა დღეს საქართველოში, რაც, პრინციპში, დადებითი მომენტია,"** - ამბობს მურთაზ კიკორია.

გზა შველას ითხოვს

დიანა ჩიჩუა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, მდინარე ძირულას გასწვრივ 100 მ-ის სიგრძეზე გზის ქვედა საყრდენი გადაბრუნდა.

ძველი ახალი წლის დამდეგს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, მდინარე ძირულას გასწვრივ 100 მ-ის სიგრძეზე გზის ქვედა საყრდენი გადაბრუნდა, რის შედეგადაც გზის სავალი ნაწილი სერიოზულად დაზიანდა და შევიწროვდა. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში "24 საათს" აცნობეს, სპეციალისტების დასკვნით, 60-იან წლებში აშენებული გზის საყრდენი კედლის დაზიანების მიზეზი გრუნტის წყლების ზეგავლენა და მეწყრული მოვლენები იყო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის განცხადებით, ამჟამად დაზიანებულ მონაკვეთზე გაწმენდითი და გამამაგრებელი სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც ის ვარაუდობს, გზა თვენახევარში იქნება აღდგენილი. **"აღნიშნულ მონაკვეთზე საგზაო ნიშნებია დადგმული. მოძრაობა არ შეჩერდება, უბრალოდ, მძღოლებმა სიფრთხილე უნდა დაიცვან, სიჩქარე შეამცირონ და ერთმანეთს გზა დაუთმონ,"** - აღნიშნა დალაქიშვილმა.

ჯერჯერობით, დაუდგენელია გზის აღნიშნული მონაკვეთის აღდგენისთვის საჭირო თანხები. როგორც დეპარტამენტში განაცხადეს, გაუთვალისწინებელი ხარჯის დათვლა ახლა მიმდინარეობს და იგი ბიუჯეტიდან იქნება გამოყოფილი. **"ეს ხარჯები გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა დეპარტამენტისთვის, ამიტომ ბიუჯეტში ჩვენთვის გათვალისწინებულ თანხებში სხვა რომელიმე დაგეგმილი სამუშაოს ამოგდება მოგვიწევს,"** - განაცხადა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

ცნობისათვის, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის დაზიანებულ მონაკვეთზე ასფალტის საფარი 2003 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტით იქნა აღდგენილი.

ენერგოსისტემა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება

ურჩ გადამხდელებს დენს კვლავ მკაცრი გრაფიკებით მიაწვდიან

ნიკა მარიამიძე

გუშინ საქართველოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზარმა გადაწყვიტა, ქვეყანაში ენერგომომარაგების სადღესასწაულო რეჟიმი ძალაში 20 იანვრამდე დატოვოს. ამის საშუალებას ბაზარს ქვეყნის შიდა გენერაციისა და იმპორტის სტაბილურობა აძლევს. კერძოდ, ამჟამად ენგურჰესზე ორი აგრეგატი მუშაობს, "თბილსრესში" - ორი ენერგობლოკი, ხოლო მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტის მოცულობა, ჯერჯერობით, არ შემცირდება.

მიუხედავად ამისა, მომავალი კვირიდან "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დასავლეთ საქართველოს ურჩ გადამხდელთათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტას გეგმავს. სანქციების გამკაცრება უკვე ორშაბათიდან არის მოსალოდნელი.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ცენტრალური ფილიალი 2005 წლის 16 იანვრის შემდეგ განსაკუთრებით გაამკაცრებს არგადამხდელი მომხმარებლების მიმართ გატარებულ ღონისძიებებს. ეს იქნება ერთგვარი გაფრთხილება, რომ მათ მიმდინარე დავალიანება დროულად გადაიხადონ," - აცხადებენ ენერგოკომპანიაში.

შესაბამისად, ქალაქ ქუთაისსა და იმ რაიონებში, რომლებსაც კომპანიის დასავლეთის ცენტრალური ფილიალი ემსახურება, ორშაბათიდან გაითიშება ის ტრანსფორმატორები, რომლითაც არგადამხდელი ორგანიზაციები და მოქალაქეები იღებენ ელექტროენერგიას. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებათ იმ აბონენტებსაც, რომლებიც უარს აცხადებენ აღრიცხვის კვანძების მოწესრიგებასა და მრიცხველების გარეთ გამოტანაზე.

"კომპანიის არსებობის მანძილზე პირველად, ჩვენ დენი მეზობელი ქვეყნებიდან საკუთარი რესურსებით შემოგვაქვს, - განმარტავენ კომპანიაში, - **ამდენად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებმა დახარჯული დენის საფასური გადაიხადონ. წინაღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იმპორტის გასაგრძელებლად რესურსი არ გვექნება და იძულებული გავხდებით, დენის შემოტანა შევყვნიტოთ."**

თუმცა, როგორც ირკვევა, გადახდების საქმე უკეთ მიდის დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში. კერძოდ, ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვანისა და საჩხერის რაიონებში, რის გამოც აქ კომპანიამ დადგენილი ლიმიტი მთლიანად გაზარდა.

"სხვა რაიონებში, სადაც გადახდების მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა არ შეინიშნება, გადამხდელი აბონენტებისთვის 6-7 საათიანი გრაფიკი მანამდე შენარჩუნდება, სანამ დენის ფულის ამოღების მაჩვენებელი არ მოიმატებს," - ამბობენ კომპანიაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
აცხადებს კონკურსს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში
ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

1. გამოცდების ორგანიზატორები (2 ადგილი)
2. საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - ოპერატორი (1 ადგილი)

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, პროექტის "ილია ჭავჭავაძე" ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

გამოცდების ორგანიზატორი I

შესასრულებელი სამუშაო:
■ საგამოცდო მოსამზადებელი კრებულების, კითხვარების, სარეკლამო ბუკლეტების, წესებისა და სხვა მასალების ბეჭდვისა და დისტრიბუციის ორგანიზაცია;
■ დასავლეთ საქართველოს რაიონულ სააგენტოთა ოფისებისა და საგამოცდო ცენტრების შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვის ორგანიზაცია, პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელთა გამართულ მუშაობაზე;
■ პერსონალის შერჩევა სააგენტოებისათვისა და საგამოცდო ცენტრებისათვის, მათი ტრეინინგი;
■ საგამოცდო ტესტების დისტრიბუციის სქემის შექმნა, პროცესის ორგანიზაცია და კონტროლი ტესტების ტრანსპორტირების ყველა ეტაპზე;
■ შერჩეულ მეთვალყურეთა ტრეინინგი და მათი წინასწარი სქემის მიხედვით საგამოცდო ცენტრების მიხედვით გადანაწილების ორგანიზაცია;
■ მიმდინარე ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

გამოცდების ორგანიზატორი II

შესასრულებელი სამუშაო:
■ საგნობრივი საგამოცდო საკითხების ფართომასშტაბიანი აპრობაციების ორგანიზაცია;
■ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონულ სააგენტოთა ოფისების, საგამოცდო ცენტრებისა და ცენტრალური ოფისის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვის ორგანიზაცია, პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელთა გამართულ მუშაობაზე;
■ მორიგე სააგენტოს შექმნა და აუცილებელი ინვენტარით, ტექნიკითა და დოკუმენტაციით მისი აღჭურვა;
■ სააგენტოებსა და საგამოცდო ცენტრებში არსებული ტექნიკის დემონტაჟისა და ინვენტარის დასაწყობების ორგანიზაცია;
■ გამსწორებელთა კომისიის შერჩევის ორგანიზაციული უზრუნველყოფა. საგნობრივ გამსწორებელთა კომისიებისათვის აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა;
■ მიმდინარე ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

საკვალიფიკაციო და მოთხოვნები:
■ უმაღლესი განათლება, სასურველია ბიზნეს-ადმინისტრირებაში;
■ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება;
■ ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტის უნარი;
■ კომპიუტერთან მუშაობის უნარი;
■ კომუნიკაბელობა.

ანგარიშვალდებულება:
გამოცდების ორგანიზატორები ანგარიშვალდებულნი იქნებიან ლოჯისტიკის ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - ოპერატორი

შესასრულებელი სამუშაო:
■ საოფისე სისტემებისა და სპეც-პროგრამების საშუალებით მონაცემთა ბაზის განახლება, შემოწმება და რედაქტირება;
■ კომპიუტერებში არსებული მონაცემების შენახვა-არქივირება;
■ კომპიუტერებში არსებული მონაცემების შემოწმება ანტივირუსული პროგრამებით;
■ მონაცემთა ბაზის სწრაფად განახლება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
■ უმაღლესი განათლება;
■ კომპიუტერებთან, საბეჭდ მოწყობილობებთან და კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
■ Microsoft Offices-ის პროგრამებთან ცოდნა;
■ კომუნიკაბელობა.

ანგარიშვალდებულება:
საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - ოპერატორი ანგარიშვალდებული იქნება ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

დასაქმების ხანგრძლივობა:
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება სამი თვის საგამოცდო ვადით და წარმატებული მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ნიმუშების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 95-25-88; 96-80-78.
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ხათუნა მხეიძე**

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2005 წლის 24 იანვარი.

მოკლედ

სოსო ცისკარიშვილი: "მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზება დაუშვებელია"

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო ცისკარიშვილი საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზების წინააღმდეგია.

როგორც "მედია-ნიუსთან" ინტერვიუში მან განაცხადა, მაგისტრალური გაზსადენი გეოსტრატეგიულ ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურაა და მისი პრივატიზება დაუშვებელია. ამასთან, შესაძლებელია, ევრობანკიდან ამ გაზსადენის რეაბილიტაციისათვის შეღავათიანი კრედიტი გამოიყოს.

"თუ ამ გაზსადენს ქვეყნისათვის, თავის ტკივილის გარდა, არაფრის მოტანა შეუძლია, მაშინ იქნებ ვინმემ ისიც ახსნას, ევროკავშირი რატომ აფინანსებს წლების განმავლობაში პროექტებს ამ გაზსადენის განვითარებაზე? ვერ დაითვალეს ევროპელმა ექსპერტებმა, რომ გაზსადენი, თურმე, თავიდანაა მოსაშორებელი? მაგრამ პრივატიზება ანუ გასხვისება, უპირველეს ყოვლისა, სუსტი მეურნის დამახასიათებელი თვისებაა. სამწუხაროდ, იმის ნიშნები, რომ ხელისუფლებას კომპეტენცია არ ჰყოფნის, ნამდვილად არსებობს. ეს არა ჩემი, არამედ ევროპელი ექსპერტების აზრია. ასეთი არაკომპეტენტურობის ფონზე, რასაკვირველია, ყველაფერის გაყიდვა შეიძლება," - აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა.

რაც შეეხება მაგისტრალური გაზსადენის რუსული კომპანიებისთვის შესაძლო მიყიდვას, ექსპერტის თქმით, ეს რუსეთთან საქართველოს ტერიტორიული ინტეგრირების ტოლფასი იქნება. **მედია-ნიუსი**

ს/ს "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციის ფარგლებში, კომპანიის გაკოტრების პროცესი დაიწყო

ს/ს "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციის ფარგლებში, კომპანიის გაკოტრების პროცესი დაიწყო. ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ "ჭიათურმანგანუმის" მიმართ 2002 წელს დაწყებული რეაბილიტაციის საქმე შეწყვიტა და კომპანიის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება გახსნა. გაკოტრების საქმის მმართველად საადვოკატო ბიუროს "მიგრიაული და პარტნიორების" ადვოკატი როინ მიგრიაული დაინიშნა. როგორც "ინტერ-პრესს" ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ განუცხადა, კომპანიის გაკოტრების საქმის გახსნა პრივატიზაციის პროცესის გეგმის ნაწილია, რადგან საქართველოს მთავრობას "ჭიათურმანგანუმის" აქტივების გაყიდვა აქვს გადაწყვეტილი. **"ეს კი მხოლოდ გაკოტრების პროცესის გახსნის საშუალებით არის შესაძლებელი,"** - განმარტა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

"აქტივების გაყიდვა იმას ნიშნავს, რომ მყიდველის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხებით, პირველ რიგში, კომპანიის კრედიტორების გასტუმრება მოხდება, ჭიათურმანგანუმს კი 80 მილიონ ლარამდე კრედიტორული დავალიანება გააჩნია, საიდანაც 53 მილიონი ფინანსთა სამინისტროსია," - განაცხადა თურნავამ.

შეგახსენებთ, რომ "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქციათა პაკეტით ოთხი კომპანიაა დაინტერესებული. მათ შორისაა: უკრაინული "ინტერპაიპი", ავსტრიული "DCM-ფერო", ჩეხური "მორავია ჯორჯია" და რუსული "ევრაზია ჰოლდინგი". **ინტერ-პრესი**

ლეგიტიმურობა და არჩევნები

რალფ დარენდორფი
პროექტი "სინდიკატი"

თუნდაც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ვერ იქნება ლეგიტიმურობის გარანტია.

მაშ ასე, უკრაინაში უკვე კანონიერი ხელისუფლებაა. ასეა ეს თუ არა? ვიქტორ იუშენკოს ამომრჩეველთა 52 პროცენტმა მისცა ხმა. მისმა მოწინააღმდეგემ 44 პროცენტი დააგროვა. დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ საარჩევნო წესების დარღვევას ადგილი ჰქონდა, თუმცა ეს დარღვევები უმნიშვნელო იყო.

თუმცა, კითხვები კიდევ რჩება. დამარცხებული კანდიდატი ვიქტორ იანუკოვიჩი შედეგებს ასაჩივრებს. ქვეყანა გაიყო. დაიწყებენ თუ არა დონეცკელი მეშახტეები მომდევნო რევოლუციას, ამჯერად წითელს ფორთოხლისფერის (რომელიც თავის მხრივ იუშენკოს მომხრეთა ორგანიზებული იყო პირველადი არჩევნების წინააღმდეგ მისი აშკარად უკანონო შედეგის გამო) წინააღმდეგ? დაიწყება თუ არა აღმოსავლეთ უკრაინაში მოძრაობა გამოყოფისათვის?

ლეგიტიმურობა ფაქიზი, ამასთანავე, ძალიან რთული რამეა და სტაბილური დემოკრატიული პოლიტიკის უდავოდ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. იყო თუ არა პირველი ვადით ჯორჯ ბუში უმცროსი ამერიკის შეერთებული შტატების ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი, მან ხომ თანამდებობა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ ფლორიდაში ხმების გადათვლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუშმა ხმების გაცილებით ნაკლები რაოდენობა მოაგროვა ეროვნული მასშტაბით? ან არის თუ არა ლეგიტიმურად არჩეული ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელმაც ოფიციალური მონაცემებით ამომრჩეველთა ხმების 90 პროცენტი მიიღო? ჩაითვლება თუ არა ერაყში დაგეგმილი არჩევნები ლეგიტიმურად ქვეყანაში და მის ფარგლებს მიღმა?

ძალზედ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მხოლოდ არჩევნები არ წარმოადგენს ლეგიტიმურობის გარანტიას, თუნდაც იგი იყოს სამართლიანი და თავისუფალი. ამერიკელებს ამის გაგება უჭირთ ისევე, როგორც ანგლო-საქსური სამყაროს "ბედნიერი" დემოკრატიული სახელმწიფოების სხვა წარმომადგენლებს. მათთვის ლეგიტიმურობა უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ კენჭისყრა და ხმების დათვლა უცხაზზთან "ისკანდერ"-ის განლაგებით სარაკეტო დაფარვის ზონაში აღმოჩნდება ისრაელის მთელი ტერიტორია, დიმონში ატომური ცენტრის ჩათვლით. "ისკანდერ"-ის გარდა, საუბარი დამასკოსათვის მოსკოვის მიერ სრულყოფილ ჰაერსაწინააღმდეგო-სარაკეტო კომპლექსის "იგლა-სა-18"-ის მიყიდვაზეც იყო. ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს სირიისა და ლიბანის მოსაზღვრე რაიონებზე ისრაელის ავიაციის მუშაობა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესების შესახებ მასმედიის მიერ აგორებული სკანდალის ფონზე, სირიისათვის ზემოაღნიშნული სარაკეტო კომპლექსის მიყიდვის შესახებ გეგმები რუსეთმა უარყო. "არავითარი მოლაპარაკება სარაკეტო კომპლექსის მიყიდვის შესახებ არ მიმდინარეობს," - განაცხადა ვაშინგტონში ვიზიტისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მისი თქმით, მთელი ეს აჟიოტაჟი, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის რუსეთში დაგეგმილი ვიზიტით უნდა იყოს გამოწვეული. სკანდალის უსაფუძვლობას ხაზს უსვამს სტრატეგიისა და ტექნოლოგიის ანალიზის ცენტრის დირექტორი რუსლან პუხოვიც, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე კომენტარი "ნიუსრუ"-სთვის გააკეთა. მისი თქმით, ანალოგიური სკანდალის აგორების მცდელობა მხოლოდ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან დაკავშირებით ადრეც ყოფილა, თუმცა, მაშინ საკითხი სწრაფად ამოიწურა ვაშინგტონიდან მოსკოვში ერთი ზარის მეშვეობით. "რუსეთზე ზეწოლის განხორციელების პრეცედენტებს თუ გავითვალისწინებთ, ჩემთვის რთული დასაჯერებელია ამ ისტორიის ჭეშმარიტება. ჩემი აზრით, ეს ან ისრაელის მხრიდან ინფორმაციის გაჟონვაა, ან რუსეთ-ისრაელის ურთიერთობებში წმინდა პოლიტიკური ხასიათის რომელიმე პრობლემაზე ასიმეტრიული პასუხი, რომელსაც სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობის საკითხთან არაფერი აქვს საერთო. რაკეტების თემა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იქნა ამოტივტივებული, რომ 3 თემა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მძაფრ რეაქციას იწვევს, იარაღი, ნარკოტიკები და პროსტიტუციაა," - განაცხადა პუხოვმა.

რუსეთ-ისრაელის ურთიერთობების კრიზისში ჩაერია აშშ-ც, რომელმაც ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში რუსეთი მის წინააღმდეგ "პოტენციური სანქციების" დაწესებით გააფრთხილა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის განცხადებით, თეთრი სახლი ინფორმირებულია სირიისათვის იარაღის მიყიდვის გეგმების შესახებ. "აშშ-ს პოზიცია ცნობილია: ჩვენ სირიისათვის, ტერორიზმის სპონსორი ქვეყნისათვის, ნებისმიერი იარაღის მიყიდვის წინააღმდეგი ვართ. მიგვაჩნია, რომ ასეთი გარიგებები არსებული გამოწვევების ფონზე არადაეკვატურია და რუსები კარგად იცნობენ ჩვენს პოზიციას," - აღნიშნა ბაუჩერმა. სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ში ლავროვის ვიზიტის დროს ამერიკელ მაღალჩინოსნებთან შეხვედრისას სირიისათვის იარაღის მიყიდვის თემა არ განხილულა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო "ესოშიეითიდ პრესი" აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის განცხადებაზე დაყრდნობით. კერძოდ, პაუელი-ივანოვის შეხვედრაზე განიხილეს იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის სირიაშიც. "ევრონიუს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰაერსაწინააღმდეგო-სარაკეტო კომპლექსზე გაძლიერებულ კონტროლზე ისაუბრეს სერგეი ივანოვმა და ჯორჯ ბუშმაც შეხვედრაზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსმა მაღალჩინოსანმა ვერ შეიკავა თავი და ირიბად მიუთითა კიდეც, რომ რუსეთს რეალურად რომ ნდომოდა "ისკანდერ-ე"-ს თითქმის ორი მესამედი მისცა. დაეჭვდა ვინმე შედეგის ლეგიტიმურობაში? არავინ, არც დიდ ბრიტანეთში და არც ამ ქვეყნის პარტნიორებში.

არც ისე ბევრია ქვეყანა, სადაც ასეთი შედეგი რეალობა იქნებოდა. მათგან უმეტესობაში, სულ მცირე, კოალიციური მთავრობის შექმნას მოითხოვდნენ, რათა ხელისუფლებაში აზრთა არსებული სხვადასხვაობა ასახულიყო.

არჩევნების ლეგიტიმურობა განსაკუთრებით პრობლემატურია ე.წ. ენდემური უმცირესობების მქონე ქვეყნებში. მაგალითად, კანადაში სარისკო საქმე იქნებოდა კვებეკის განსაკუთრებული ინტერესების უყურადღებოდ დატოვება. უკრაინაში უნდა აღიარონ ქვეყნის დასავლეთისა და აღმოსავლეთის განსხვავებული ინტერესები, თუ მათ ლეგიტიმურობის დამყარება სურთ. ერაყში ყოვლად ლეგალური (კანონის ფარგლებში ჩატარებული - რედ.) არჩევნების პირობებში ტექნიკური უმრავლესობა უაზრობა იქნება, თუ მკაფიოდ არ აღიარებენ სუნიტი მუსლიმებისა და ქურთების პოზიციას. სწორედ ამიტომ ღელავს ოკუპაციური მთავრობა არჩევნებთან დაკავშირებით, რომელშიც თუ სუნიტებმა მასობრივად მონაწილეობა არ მიიღეს, შიიტების უმრავლესობა გაიზრდება. ამგვარად, ლეგიტიმურობა უფრო მეტია, ვიდრე ლეგალურობა (კანონიერება). ლეგიტიმურობა იმას ემყარება, რისიც ადამიანებს სჯერათ. სულ მცირე, არ უნდა იყოს ძალისმიერი მეთოდების მომხრე ოპოზიცია, გამოცალკევების საფრთხის ჩათვლით.

დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში, ხალხი თავის თავზე ძალზედ ბევრს იღებს, როდესაც დემოკრატიის ექსპორტზეა (პირველ რიგში, არჩევნები იგულისხმება) საუბარი. კერძოდ, ჩვენ ვუშვებთ არსებითად ერთგვაროვან ელექტორატს, რათა ამომრჩეველთა დაბალმა აქტიურობამაც კი არ აზარალოს განსაკუთრებული ეთნიკური ან კულტურული ჯგუფები. ჩვენ აგრეთვე ვუშვებთ წესების ავტომატურ მიღებას, რასაც შეერთებულ შტატებშიც კი დიდი დრო მოანდომეს.

ლეგიტიმურობის გარეშე ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ვერ იქნება სტაბილურობა, ხოლო არჩევნების გარეშე - ანუ ძალაუფლის დანიშვნაზე ხალხის თანხმობის მკაფიო გამოხატვის გარეშე - არანაირი ლეგიტიმურობა არ იქნება. თუმცა მაშინ, როდესაც თავისუფალი არჩევნები ლეგიტიმურობის აუცილებელი პირობაა, მხოლოდ არჩევნები არ კმარა მის (ლეგიტიმურობის) უზრუნველსაყოფად. ქვეყნის პოლიტიკურ დაწესებულებებში ყველა მოწინააღმდეგე ჯგუფისთვის ადგილი კონსტიტუციურმა ზომებმა უნდა უზრუნველყონ. ამასთან ერთად აუცილებელია კანონის უზენაესობის დამყარება, რომელსაც დამოუკიდებელი და ღირსეული სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს.

ჩვენ ეს უნდა გვახსოვდეს, როდესაც ერაყში დემოკრატიის აშენების განუხორციელებელ მიზანს ვისახავთ, მერე რომ არ გაგვიკვირდეს, თუ კი დაგეგმილი არჩევნებით კანონიერი ხელისუფლების შექმნა ვერ მოხერხდება.

რალფ დარენდორფი მრავალი ცნობილი წიგნის ავტორი და გერმანიის ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელია ევროკომისიაში. ამჟამად, იგი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრია. სხვადასხვა დროს იგი იყო ლონდონის ეკონომიკის სკოლის რექტორი და ოქსფორდში წმინდა ენტონის კოლეჯის დირექტორი.

ინფორმაციო ომი თუ რეალური საფრთხე

პირველი გვერდიდან

თუ რას შეიძლებოდა გამოეწვია რუსეთ-ისრაელის პოზიციების გაუცხოება. დასახელდა რამდენიმე ვერსიაც, ერთ-ერთი მათგანი იყო ჯერ კიდევ გასული წლის საანგარიშო პრესკონფერენციაზე პუტინის მიერ "შემთხვევით" ნათქვამი ფრაზა უკრაინაში "ანტირუსული სიონისტური ძალების" მოქმედების შესახებ, მით უფრო, რომ ამას მოჰყვა ისრაელში რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილის დაგეგმილი ვიზიტის გადადება. გაზეთის "იერუსალიმ პოსტ"-ის თანახმად, ვლადიმირ პუტინი ვერ ფარავს გაღიზიანებას იმ ფაქტის გამო, რომ უკრინაში "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს ისრაელმა ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ვიქტორ იუშენკოს. ანალიტიკოსთა ნაწილი კი შეუდგა იმის მტკიცებას, თითქოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესება მორიგმა საჯაშუშო სკანდალმა გამოიწვია. ნაწილი კი ყველაფრის უკან "იუკოს"-ის საქმეს ხედავს. მათი თქმით, "იუკოს"-ის საქმესთან დაკავშირებული, ისრაელში მცხოვრები "მენატეპ გრუპ"-ის აქციონერი ლეონიდ ნევზლინი ამ კრიზისთან მჭიდრო კავშირშია. თუმცა, ყველაზე რეალურ მიზეზად მაინც რუსეთის არაბულ სახელმწიფოებთან მეგობრობა მიიჩნევა. ისრაელი, თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს არაბულ სახელმწიფოებთან და ირანთან რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას. აღნიშნულ სახელმწიფოებთან გაფორმებული ყოველი ხელშეკრულება განსაკუთრებული სიფრთხილით შეისწავლება ისრაელის მხრიდან - რამდენად საშიშია ესა თუ ის კონტრაქტი ისრაელის უსაფრთხოებისათვის. ამ ფონზე კი სარაკეტო კომპლექსის "ისკანდერ-ე"-ს სირიის ხელში აღმოჩენა საგანგაშო სიგნალი აღმოჩნდა ისრაელისათვის, რადგან გოლანის მაღლობების რაიონში სადემარკაციო

ვიქტორ იუშენკოს ამომრჩეველთა 52 პროცენტმა მისცა ხმა

პრეზიდენტი, რომელიც კრიზისებს ქმნის

აშშ-ს ზოგიერთი პრეზიდენტი ისტორიაში იმის წყალობით შევიდა, რომ კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალის პოვნა შეძლო. ლინკოლნმა თავიდან აიცილა შეერთებული შტატების - როგორც ერთიანი სახელმწიფოს - დაშლა, რუზველტმა ამერიკელი ხალხი "დიდი დეპრესიიდან" გამოიყვანა. ჯორჯ ბუშისთვის კრიზისად 2001 წლის 11 სექტემბერი იქცა, რის შემდეგაც მან თალიბების რეჟიმი დაამხო ავღანეთში და ამით, რა თქმა უნდა, ისიც ისტორიაში შევა. თუმცა, პრეზიდენტის პოსტზე ბუშის მოღვაწეობის შესახებ საუბრისას ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ბუში ხალხის მეხსიერებაში კრიზისიდან გამოსავლის პოვნის უნარით კი არ დარჩება, არამედ, პირიქით, კრიზისული სიტუაციების შექმნის უნარით.

ბუშის პრეზიდენტობა ხელოვნურად შექმნილი კრიზისების ატმოსფეროში მიმდინარეობს. საკუთარი მიზნების მისაღწევად - ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა და სოცუზრუნველყოფის ამერიკული სისტემის რეფორმირება - ბუში პრობლემებს ქმნის იქ, სადაც ადრე არ არსებობდა. ამიტომაც ერაყი უცებ "განრისხდა მასობრივი განადგურების იარაღით" და "საფრთხეს წარმოადგენდა" ამერიკელებისთვის. ამჟამად, პრეზიდენტმა ამერიკელების დაშინების მეორე კამპანია წამოიწყო, რათა დაარწმუნოს თანამოქალაქეები, რომ სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემამ საკუთარი დისკრედიტაცია მოახდინა და ერთადერთი გამოსავალი ამ ვითარებიდან - სოციალური შეღავათების (დახმარებების) შემცირებაა. სინამდვილეში, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამერიკის სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემა არავითარ კრიზისს არ განიცდის. მას მხოლოდ შემოსავლების წყაროს გაზრდა სჭირდება. თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით, სოციალური დახმარების სისტემა მწვავე კრიზისშია, რადგან პირველი მის წინააღმდეგ პრეზიდენტი გამოვიდა. მას შესაძლოა, აშშ-ს კონგრესის უმრავლესობამ დაუჭიროს მხარი და შედეგად კონგრესი გააუქმებს სისტემას, რომელიც თვითონვე მიიღო 1935 წელს. არადა ამერიკელებს გაცილებით რეალური კრიზისული სიტუაციები აქვთ სრულიად სხვა დარგებში. მაგალითად, სასამართლო ორგანოებში მოსამართლეები არ ჰყოფნით, ხოლო ექიმები სასამართლოში მათ წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს ვეღარ აუდიან, სადაც მატერიალურ კომპენსაციებს სთხოვენ ცუდი მკურნალობის (რა თქმა უნდა, პაციენტების აზრით) გამო.

ბუში, სხვა დანარჩენი ამერიკელი პრეზიდენტებისგან განსვავებით, გაცილებით მეტ ძალისხმევას ანდომებს პროპაგანდის ინსტრუმენტების გამოყენებას. მასთან ასოცირდება ტელეარხი "ფოქს ნიუსი" და მემარჯვენე განხრის რადიოსადგურები. ფაქტების დამახინჯება და მონაგონი მთავრობის დეპარტამენტებისათვის მნიშვნელოვან საქმიანობად იქცა, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ ფართო საზოგადოებამდე მასმედიის საშუალებით თავიანთი "მესიჯების" მიტანას. გასაკვირი არ არის, რომ ამერიკის განათლების დეპარტამენტმა 241 ათასი დოლარი გადაუხადა კომენტატორ არმსტრონგ უილიამსს, რათა მას ტელევიზიის საშუალებით ხელი შეეწყო ჩამორჩენილი სკოლის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების პროგრამისათვის. ბუშის ადმინისტრაციაში ნებისმიერი სამთავრობო დეპარტამენტი ყველა ღონეს ხმარობს მასმედიაში პრეზიდენტის პოლიტიკის დასანერგად.

ამერიკას ბევრი პრეზიდენტი ჰყავდა, რომელიც მასმედიას "მეგობრებად" და "მტრებად" ჰყოფდა და ამაში ყველაზე მეტად რიჩარდ ნიქსონი აქტიურობდა. თუმცა, არც ერთ მათგანს არ გაუვრცელებია იმდენი დეზინფორმაცია, როგორც ეს ბუშმა გააკეთა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ის არ ფიქრობს იმ დამანგრეველ ზეგავლენაზე, რომელსაც დეზინფორმაცია ახდენს დემოკრატიაზე და ამ "მაჩვენებლითაც" ბუში ისტორიაში შევა.

ვაშინგტონ პოსტი

ორი სიტყვით

დიდი ბრიტანეთი. სამეფო ტახტის მემკვიდრემ - პრინცმა ჩარლზმა თავის 20 წლის ვაჟს ჰარის ყოფილი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის - ოსვენციმის მონახულება უბრძანა. როგორც ბრიტანული გაზეთი "სანი" იუწყება, ეს განკარგულება პრინცმა ამ დღეებში დიდ ბრიტანეთში აგორებული სკანდალის შემდეგ გასცა. გასულ კვირადღეს ჰარი კოსტიუმირებულ მეგობრულ საღამოზე ფაშისტური უნიფორმით და სახელოზე გაკეთებული წითელ-შავი სვასტიკით გამოჩნდა. გაზეთის მონაცემებით, პრინცი ჩარლზი თავისი უმცროსი ვაჟის ამ საქციელმა გააშმაგა. უელსელი პრინცის აზრით, ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სამუზეუმო კომპლექსის დათვალიერება ჰარის საშუალებას მისცემს, მეტი შეიტყოს ფაშისტური რეჟიმის სისასტიკეზე და გააცნობიეროს თავისი ქმედება. ჰარისთან ერთად, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკს 22 წლის პრინცი უილიამიც მოინახულებს. ის არა მარტო იმავე კოსტიუმირებულ საღამოზე იყო, არამედ უმცროს ძმას მაღაზიაში ნაცისტური უნიფორმის შერჩევისას ახლდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ახლო აღმოსავლეთი. ისრაელის ექვსი მოქალაქე დაიღუპა და ათზე მეტი დაშავდა ღაზას სექტორში საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე განხორციელებული ტერაქტის შედეგად. სააგენტო "როიტერის" ცნობით, პალესტინელმა კამიკაძე-ტერორისტმა 130 კილოგრამიანი ბომბი ააფეთქა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა სამმა დაჯგუფებამ - "არაფატის ბრიგადებმა", "პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტმა" და "ჰამასის" საბრძოლო ფრთამ - "იზედინ ალ-ქასემის ბრიგადებმა" - აიღო. სავარაუდოდ, ტერაქტები პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო მოლაპარაკებების მოსალოდნელი განახლების წინააღმდეგ არის მიმართული.

ეს შემთხვევა, პალესტინის ავტონომიის მეთაურად მაჰმუდ აბასის არჩევის შემდეგ, ტერორისტების მიერ ისრაელის მოქალაქეებზე განხორციელებული პირველი სერიოზული თავდასხმაა. საპასუხოდ, გუშინ ისრაელმა გაურკვეველი ვადით დაკეტა საკონტროლო-გამშვები პუნქტები ღაზას სექტორის საზღვარზე. რითაც, ფაქტობრივად, 1,3 მლნ პალესტინელი გარე სამყაროსგან მოწყვიტა. **24 საათი**

■ ■ ■

იაპონია. ტოკიო მზადაა, მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის ნავთობსადენის მშენებლობაში. ამის შესახებ, პარასკევს რუსეთის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ვიქტორ ხრისტენკომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ნობუტაკი მატიმუროსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ხრისტენკოს თქმით, იაპონიის მხარემ ნავთობსადენის "აღმოსავლეთ ციმბირი-წყნარი ოკეანე" დაფინანსებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. თუმცა, მინისტრს აღნიშნულ პროექტში იაპონური ინვესტიციების ზუსტი მოცულობის დასახელება უჭირს. **რია-ნოვოსტი**

ახალი დაპირებები და ძველი პრობლემები

2005 წელს თბილისის ხუთსავე რაიონში, სამის ნაცვლად, ოთხი უფასო სასადილო იფუნქციონირებს. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება ერთი ადამიანის კვებისთვის განკუთვნილი თანხა. რაიონების ახალი ხელმძღვანელები გვპირდებიან, რომ ამჯერად სასადილოების საქმიანობა გამჭვირვალე იქნება. თუმცა, რჩება საკანონმდებლო ლაფსუსები, რომელიც ქალაქის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ შარშანდელი ბიუჯეტის მიღებამდე უნდა გამოესწორებინა.

ნანა ქადაგიშვილი

წინა წლებში, სწორედ ამ საკანონმდებლო ლაფსუსებისა და განუკითხაობის წყალობით, ჩინოვნიკები უფასო სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხებით უმწეოებზე უკეთ სარგებლობდნენ. მაგალითისათვის, ერთი რაიონი ავიღოთ - ისანი-სამგორის. გასულ წელს ამ რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობამ (გიორგი არევაძის გამგებლობის პერიოდში) სასადილოებში არსებული მდგომარეობის შესასწავლად ინსპექტორთა კომისია შექმნა. შარშანდელ ბიუჯეტში რაიონში არსებული სამი სასადილოსთვის გამოყოფილი 144 ათასი ლარი 1 020 ადამიანის კვებაზე იყო გათვლილი. შემოწმებამ აჩვენა, რომ, 1 020 ადამიანის ნაცვლად, იქ დღეში 720 მოქალაქეზე მეტი არ სადილობდა. სიები მკვდარი სულებით იყო შევსებული. ერთი ადამიანის კვებაზე, 35 თეთრის ნაცვლად, საშუალოდ, 17 თეთრი იხარჯებოდა, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში კი, მაგალითად, დღესასწაულებზე სადილის ღირებულება 24 თეთრამდე ადიოდა.

არასაკმარისი რაოდენობით მზადდებოდა სადილებიც. ერთი ადამიანი, კუთვნილი 350 გრამი პურის მაგივრად, 60 გრამს იღებდა, თანაც სამ საათამდე თუ არ მიასწრებდა, შეიძლება ესეც აღარ შეხვედროდა. სასადილო დარბაზებში დარღვეული იყო საკვების შენახვა-მომზადების ჰიგიენური ნორმები. სანიტარიული მდგომარეობის მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ბოჭორმის ქ. №23-ში მდებარე სასადილოშია. "თელასის" შენობის ეზოში მდებარე ერთ მომცრო ოთახში სასადილო დარბაზისა და პროდუქტის საწყობის მოვალეობას ერთდროულად ასრულებს. ოთახში სამი-ოთხი მაგიდა დგას. სასადილოს, გასული წლის ჩათვლით, რამდენიმე წლის განმავლობაში გადაუხდელობის გამო გათიშული ჰქონდა ელექტროენერგია. ელექტროენერგიის დავალიანება (ხუთი ათასი ლარის ოდენობით) ისანი-სამგორის რაიონში, 109-ე სკოლის შენობაში განთავსებულ სასადილოსაც აღმოაჩნდა. არადა, სასადილოებს კომუნალური ხარჯების დასაფარად თანხა ბიუჯეტიდან ერიცხებოდათ.

სასადილოებს განსაკუთრებით მძიმე დაღი ფონდმა "ვიქტორიამ" დაასვა. იგი უფასო სასადილოების პროგრამას ოთხი წლის განმავლობაში ახორციელებდა. სხვათა შორის, "ვიქტორიას" აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა სხვა ორგანიზაციებს არ მიაღებინეს. **"სასადილოს ხელმძღვანელი მანქანას მანქანაზე იცვლიდა. ცალკე მზარეულებიც სარგებლობდნენ და რაც რჩებოდა, ჩვენ გვაჭმევდნენ. სასადილოში არც ისე ბევრი ადამიანი დადის, რომ ადამიანურად ვერ გამოკვებონ"**, - ფონდ "ვიქტორიას" ხელმძღვანელის ვიკა მიქავას მისამართით ნაქვამი ეს სიტყვები ბოჭორმის ქუჩაზე მდებარე სასადილოს ერთ-ერთ მუდმივ კლიენტს ეკუთვნის.

უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება ერთი უმწეო ადამიანის კვებისთვის განკუთვნილი თანხა.

იური ლოგოდინის ფოტო

ისანი-სამგორის რაიონის წინა ხელმძღვანელობამ მდგომარეობა, გარკვეულწილად, გამოასწორა. უფასო სასადილოების პროგრამის განხორციელებაზე შარშან გამოცხადებულ ტენდერში, "ვიქტორიას" ნაცვლად, ფირმა "ბრედმა" გაიმარჯვა. მის მიმართ სერიოზული პრეტენზია ჯერ არ გამოთქმულა. სიახლეებს რაიონის ახალი ხელმძღვანელობაც გვპირდება. ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ პროგრამის განხორციელებაზე ახალი ტენდერი გამოცხადდება; ბოჭორმის ქუჩაზე მდებარე სასადილო მისამართს შეიცვლის; ტენდერის შემდეგ კი სასადილოებით მოსარგებლე მოქალაქეთა ხელახალი აღრიცხვა ჩატარდება.

"მართლია, წინა ხელმძღვანელობამ ბევრი რამე უკეთესობისკენ შეცვალა, მაგრამ უფასო სასადილოებით მაინც ბევრი ისეთი სარგებლობს, ვისაც ეს სხვაზე ნაკლებ სჭირდება. ზოგი სასადილოში კვირაში ერთი-ორჯერ თუ მიდის, ზოგი მხოლოდ პურს იღებს, ერთმა მოქალაქემ მითხრა, მაგ სასადილოში როგორ ვისადილებო, არადა, სიაში წერია. ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ სასადილოებით ის ადამიანები ისარგებლებენ, ვისაც ეს მართლაც სჭირდება. ოღონდ რეგისტრაცია ისე ჩატარდება, რომ სასადილოები ფუნქციონირებას არ შეწყვეტენ", - აცხადებს ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე ლაშა გეწაძე.

თანხების არამიზნობრივად ხაჯვის გარდა, პრობლემას თანხების არათანაბარი განაწილებაც ქმნიდა. შარშან ვაკე-საბურთალოს რაიონში არსებულ სასადილოებში ერთი ადამიანის კვებაზე 99 თეთრი იყო გათვალიწინებული, ისანი-სამგორიში კი - 65 თეთრი. გამგეობების ხელმძღვანელთა პროტესტის შემდეგ საკრებულომ მერიის საფინანსო სამსახურს სასადილოებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების ხელახალი გაანგარიშება და განაწილება დაავალა და მათ გასული წლის სექტემბრამდე მისცა ვადა. **"სექტემბრამდე შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტს შევიმუშავებთ, კვების ნორმაც დადგინდება და თანხები სტიქიურად აღარ განაწილდება"**, - აცხადებდა საფინანსო სამსახურის უფროსი ამირან ძებისაშვილი. თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი დოკუმენტი დღესაც არ არსებობს და სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხები კვლავ არათანაბრად არის განაწილებული. ისანი-სამგორის რაიონში 2005 წლის ბიუჯეტიდან ერთი ადამიანის გამოსაკვებად 70 თეთრის გამოყოფას ვარაუდობენ, ვაკე-საბურთალოს რაიონში კი - ლარის. თანხების თანაბარ განაწილებაზე საუბარი კვლავაც გრძელდება.

სასკოლო ინოვაცია

მე და ჩემი გარემო

დალი კუპრავა

თავისუფალ ვალდორფის სკოლას საგანმანათლებლო პროცესში ბევრი რამ ისეთი აქვს, რაც, როგორც სწავლებას, ასევე, სწავლას ააქტიურებს, საინტერესოსა და ეფექტურს ხდის. მათ შორის ერთ-ერთია საზაფხულო პრაქტიკა, როცა მეცხრე კლასის ბოლოს მოსწავლეები საქართველოს რომელიმე რეგიონში მიდიან, იქ ცხოვრობენ და საქმიანობენ. საერთოდ კი, პრაქტიკული საქმიანობა ამ სკოლის საპროგრამო "საგანია" - მიწაზე მუშაობა, ხელსაქმე, ხელობა, გობელენი, თიხა, ხე, ლითონი... ამ სკოლაში კარგ მუსიკალურ განათლებასაც იღებენ და სხვადასხვა საკრავზე დაკვრას სწავლობენ; ჰყავთ სკოლის ორკესტრი.

მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ შარშანდელი ზაფხული 17-მა მოსწავლემ ბედიანში გაატარა; ცხოვრობდნენ სოფლის ყოველდღიური ცხოვრებით: ძროხას წველიდნენ, მიწას ამუშავებდნენ და თესავდნენ. "ისეთი რაღაცები ვისწავლეთ, რაზეც ადრე წარმოდგენაც არ გვქონდა. ვურთიერთობდით თანატოლებთან, ახალი ადამიანები გავიცანით. მათ ისეთი რამეები იცოდნენ, რაც ჩვენ არ ვიცოდით", - ამბობს მეათე კლასის მოსწავლე ანა მიგინეიშვილი.

ბედიანში მათი მასპინძლები ბავშვთა სახლის მოსწავლეები იყვნენ.

"მეექვსე წელია, ძეგვის ბავშვთა სახლიდან ნაწილი ბედიანში გადმოვედით. ამერიკელ ქართველთა ასოციაციის დახმარებით, ადგილობრივებისგან შევიძინეთ სახლები. ბედიანის დედათა მონასტერი დაგვეხმარა. ჩვენ იქ ვცხოვრობთ, როგორც ახალი ადგილობრივი თემი, ახალი თემი. ეს რეგიონი მძიმეა ეთნიკურად და, წარმოიდგინეთ, უცებ 40 ადამიანის ჩასვლა და მოსახლეობაში გარევა. იქ ბავშვური მხიარული გარემო შევიდა. მერე განათლების სამინისტროს დახმარებით, ქართული საშუალო სკოლა გაიხსნა. ვცხოვრობთ კოტეჯებში. ბედიანის მთელი მოსახლეობისთვის ვახორციელებთ სათემო განათლების პროგრამებს. ბედიანში ცხოვრებამ აჩვენა, რომ ჩვენ მკვიდრები გავხდით და საჭირო იყო ჩვენივე გარემოს გაცოცხლება, ამიტომ ურთიერთობებიც გვჭირდება და ვეძებდით. ვალდორფის სკოლამ ხელი შეგვიწყო. საზაფხულო ბანაკი მათთვის იყო პრაქტიკა, საბოლოო ჯამში კი, ბედიანის და ვალდორფის ბავშვების ურთიერთობის, საქმიანობის გაზიარების, საერთო ქმედებების დამკვიდრების გზა", - ამბობს ბედიანის სათემო განათლების ცენტრის თანამშრომელი.

ნოემბერში ვალდორფის სკოლამ კონფერენცია მოაწყო თემაზე "მე და ჩემი გარემო". კონფერენციაზე ბედიანის 12 მოსწავლე ჩამოვიდა. ისინი ვალდორფელ თანატოლებთან ცხოვრობდნენ. თორმეტივე ბედიანელი კონფერენციაზე თავისი თემით იყო ჩამოსული.

თავისუფალი ვალდორფის სკოლის მოწაფეები.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ჩემი თემა მდინარე ხრამზეა. გამოვიკვლიე, ინფორმაცია წიგნებიდან მოვიძიე. მე თვითონაც დავამატე. ეს არის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ეკოლოგია, გამოყენება და გარემო. საინტერესოა სახელის დამკვიდრების ისტორია. ადრე ერქვა ქცია, მერე ტოპონიმისტებმა სახელი შეუცვალეს", - ამბობს ბედიანელი ელიზბარ შინდაგორიძე, რომელიც ბედიანში დედასთან და და-ძმასთან ერთად ცხოვრობს. "მე მჭირდება ბედიანის გარემო, მაგრამ მჭირდება ახალი ადამიანები და ურთიერთობები. წელს უმაღლესში ვაბარებ. ვიცი, რომ მისაღები გამოცდების ახალი სისტემაა, მაგრამ ეს მხოლოდ უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ადრე იყო".

ვანო კონჩაკოვის თემა სამშვილდეზეა , შუა საუკუნეების ისტორიულ ქალაქზე, რომელზეც სავაჭრო გზა გადიოდა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პუნქტი იყო. "ბედიანში ხუთი წელია ვცხოვრობ. სამეურნეო სამუშაოები არც ისე დამღლელია, დილით 7 საათზე ვდგებით, ტრაპეზის შემდეგ მივდივარ სკოლაში, მერე ვბრუნდები, სამეურნეო საქმიანობა დამღლელი სულაც არ არის და გაკვეთილების მომზადებაში ხელს არ მიშლის. კომპიუტერზე მუშაობასაც ვსწავლობ. კარგია, რომ თბილისში მოგვიწვიეს", - ამბობს ვანო.

ელენე ბერუაშვილი ბედიანის საშუალო სკოლის მეათეკლასელია: "ძეგვში დედამ მიგვიყვანა ოთხი შვილი. მერე ბედიანში წავედით. დედა და ბებია თბილისში ცხოვრობენ. ეს დღეები თბილისში მეგობრებთან ერთად ვცხოვრობ. დღეს ბედიანში დავბრუნდებით. შეიძლება დედა და ბებია ვერც ვნახო. ჩემი თემა ტყის მნიშვნელობაზეა ადგილობრივებისთვის - წყალი, ნიადაგი, ჰაერი. ჩვენთან ტყე არ იჩეხება. ჩვენთან შუქიც მუდმივადაა. იცით, პრობლემები არ გვაქვს. კონფერენციაც და ვალდორფელების პრაქტიკაც ჩვენთვის ცოდნის გაფართოების და ახალი ურთიერთობების საშუალებაა. სამების ტაძარიც ვნახეთ; ჩვენ ხომ 1996-97 წლებში ძეგვიდან წაგვიყვანეს ტაძრის საძირკვლის ჩაყრაზე".

" ძალიან კარგად აღზრდილი ადამიანები არიან. ასე შრომასა და სწავლაში ცხოვრებენ. ძალიან დიდი სიკეთეა ამათი მეგობრობა, - ამბობს ვალდორფის სკოლის დირექტორი ლევან ხელაია, - პრაქტიკის ამ სახით ჩატარება - ბედიანის სკოლასთან მოსწავლეების დამეგობრება ჩვენი პედაგოგის ქეთი რცხილაძის აზრია. აი, ეს არის ვალდორფის სკოლა - არა დირექტორი, არამედ მასწავლებელი, მოსწავლე და ყველა, ვისაც კარგი იდეა მოუვა და განახორციელებს".

ფოსტა

"თეთრი შავია" ან "იეზუიტიზმი ფერწერის შეფასებაში"

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემსა და ეროვნული გალარეის დირექტორს შორის შედგა საკმაოდ უსიამოვნო სატელეფონო საუბარი. მან მითხრა, რომ ეროვნულ გალერეას მომცემდნენ 2005 წლის ივლისში, რაზედაც, უკვე 3-4 წელია, დაწერილი მაქვს განცხადება. როდესაც ვუთხარი, - ივლისში სიცხეა, ხალხი არაა-მეთქი, - მან მიპასუხა: თუ არ გინდა, 12 აკადემიადამთავრებული მყავს რიგშიო. "აკადემიადამთავრებული" - ეს სიტყვა ყურში უხეშად მომხვდა. სიტყვები "აკადემიის დამთავრებაზე" ბევრჯერ მომისმენია, არა მარტო გალერეის დირექტორისაგან და გენერალური დირექტორისაგან, საგამოფენო კომისიის სხვა წევრებისაგან, მხატვართა კავშირის გამგეობის ზოგიერთი წევრისგან, ფერწერის სექციის თავმჯდომარისგან. მაგრამ, მთავარი ხომ ხარისხია? თუ მთავარი დიპლომია!?

მაგალითად, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ ქურდიანი თვლის, რომ "ჩემი ფერწერა საუკეთესოა საქართველოში". საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშეს მეუღლე და დიუმას ცენტრის დირექტორი მიიჩნევდა, რომ ჩემი ფერწერა "მაღალი კლასისაა". ხოლო ცნობილი მხატვარი და მოქანდაკე ვახტანგ ქოქიაშვილი - კაცი, რომელმაც მოიგო რუსთაველის სახელობის კონკურსზე პირველი ორი ტური, მიიჩნევს, რომ "სპონტანური (პოეტური) ფერწერის აპოლოგეტი ვარ".

მართალია, არ დამიმთავრებია აკადემია, მაგრამ ისეთი მეგობარი მყავდა, ირაკლი ფარჯიანის სახით, რომელთან ერთადაც ვიყავი სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე და რომელიც ორივე ჩვენგანის შესაძლებლობებს თანაბრად მიიჩნევდა. ძალიან ნიჭიერი ხარო, - მეუბნებოდა. ამიტომ, აღარ დამჭირვებია აკადემიაში ჩაბარება. ამასთან, 1980-იან წლებში მე არც ვფიქრობდი, რომ ოდესმე ფერწერას დავუბრუნდებოდი, თან მიხარადა ფარჯიანის წარმატებები, ხოლო 1990 წელს ვიცავდი ხარისხს ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატობისთვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რამდენიმე წელი დავკარგე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, ხოლო 1994 წლის 2 ოქტომბერს კოდორის ხეობაში მივიღე გამჭოლი ჭრილობა მუცლის არეში, ოპერაციების შემდგომ დავუბრუნდი ფერწერას. დავიჭერი მაშინ, როდესაც კოდორის ხეობა, ფაქტობრივად, იკარგებოდა.

მაგრამ, ახლა რა ვქნა? შეურაცხყოფილი ვარ მისი სიტყვებით და ხელიც მეშლება. ძალიან მინდოდა, ჩვენს საზოგადოებას ერთხელ მაინც ენახა მთლიანად ჩემი გამოფენა. იქნებ ერთი ფლიგელი მაინც მომცენ. მზად ვარ, გამოვფინო ჩემი ნამუშევრები როგორც საქართველოს, ასევე, მე-20 და 21-ე საუკუნის მსოფლიოს ნებისმიერი მხატვრის გვერდით.

აქ ჩვენ უთუოდ სულიერ დარღვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სამწუხაროდ ილახება ჩემი ოჯახის (მყავს 6 შვილი, ავადმყოფი მეუღლე, რომელმაც თავი შეაკლა აფხაზეთს) ინტერესები, და ეკონომიურადაც მიფუჭდება საქმე.

დაბოლოს, ეს ხომ იეზუიტიზმია ფერწერის შეფასებაში!

როგორც დირექტორი, ასევე, სხვებიც ვერ გამოსულან ძველი, შეიძლება ითქვას, დრომოჭმული იდეებიდან.

ულრმესი პატივისცემით
ირაკლი ავალიშვილი

თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის თანამდებობის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:
თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- შემომავალი და გამავალი წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმა;
- თარგმნილი დოკუმენტების კორექტირება;
- ნებისმიერი სხვა დახმარების აღმოჩენა პროექტით დაწესებული ვადების შესრულების მიზნით;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- პრიორიტეტების დაგეგმვის და ორგანიზების შესანიშნავი უნარი გამომდინარე იქიდან, რომ სათარგმნი მასალები შეიძლება სხვადასხვა ტიპის კლიენტებისგან შემოვიდეს;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2005 წლის 17 იანვარი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ხელისუფლებას ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების რატიფიკაციისკენ მოუწოდებენ

აფხაზეთის საკითხებში ექსპერტი პაატა დავითაია საქართველოს პრეზიდენტსა და ხელისუფლებას მოუწოდებს, სასწრაფოდ დასვან ჰააგის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების რატიფიკაციის საკითხი.

მედია-ნიუსი

პაატა დავითაია ხელისუფლებას ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების რატიფიკაციისკენ მოუწოდებს.

დავითაიას განცხადებით, ეს სასამართლო სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილ ქონებრივ დავებს განიხილავს, მის დებულებაზე მიერთება კი საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, აფხაზეთში რუსებისა და სხვა უცხოელების მიერ უკანონოდ პრივატიზებული ქონების დაბრუნებაზე სასამართლო პროცესები დაიწყოს.

"ჰააგის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს დებულებას რუსეთი უკვე მიერთებულია. მის პრესტიჟულობასა და გავლენაზე ისიც კი მეტყველებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 11 სექტემბრის ტერაქტისას მსოფლიო სავაჭრო შენობების, ეგრეთ წოდებული "ტყუპების" დანგრევით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად საუდის არაბეთს სწორედ ამ სასამართლოში უჩივლა, რადგან თვითმფრინავებს, რომლებიც "ტყუპებს" შეეჯახნენ, საუდის არაბეთის მოქალაქეები მართავდნენ," - აღნიშნავს ექსპერტი.

მისივე აზრით, ის ფაქტი, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი არ გასცა აფხაზეთში რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერის სერგეი ბაბურინისა და სხვა დეპუტატების ჩასვლასთან დაკავშირებით ქართული მხარის საპროტესტო განცხადებას, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფომ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უნდა მიმართოს.

"აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდისა და რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აუცილებელია, რათა რუსეთის დანაშაულებრივი როლი აშკარად გამოიკვეთოს და საერთაშორისო დონეზე იყოს აღიარებული," - აცხადებს პაატა დავითაია.

ჰააგის სასამართლოში დავითაიას მიერ კერძო სარჩელის შეტანის შემდეგ ანალიტიკურმა ჯგუფმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაცია უკვე გასცა, მაგრამ როგორც იგი აცხადებს, პროცესის დაჩქარებისა და მეტი გარანტიების შექმნისთვის აუცილებელია, სარჩელის ავტორი ქვეყნის ხელისუფლება იყოს და არა კერძო პირი.

მედია-ნიუსი

"ქართველთა გატაცება-დატყვევების ფაქტი სასწრაფოდ გამოსაძიებელია"

რამდენიმე დღის წინ ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურიდან და გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებიდან გატაცებული ქართველების შესახებ გუშინ მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა. ზოგიერთი წყაროს მტკიცებით, აფხაზი სეპარატისტების მძევლობაში, დე ფაქტო ხელისუფლების შს სამინისტროს იზოლატორში კვლავ ორი ქართველი რჩება, რომლებსაც უკვე წაუყენეს იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდება. ზოგიერთი ინფორმაციის მიხედვით კი, აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებების მიერ გატაცებული ყველა ქართველი უკვე გათავისუფლებულია.

ქართული მხარე გატაცების ფაქტის სასწრაფოდ გამოძიებას ჭუბურხინჯის ხვალინდელ რიგგარეშე შეხვედრაზე კატეგორიულად მოითხოვს. ჩვენი ინფორმაციით, რიგგარეშე ოთხმხრივი შეხვედრის დღეს გამართვის ინიციატორი რუსული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობაა. შეგახსენებთ, რომ ხუთშაბათს სწორედ რუსი სამშვიდობოების გენერლობამ განაცხადა უარი ქართველთა გატაცების ფაქტის განხილვაზე. დღევანდელ რიგგარეშე შეხვედრაზე დასწრების სურვილი აფხაზებმაც გამოთქვეს, რომლებიც გუშინწინ ჭუბურხინჯში არ გამოცხადებულან. "განმუხურსა და გალის ქვედა ზონის სოფლებიდან ქართველების გატაცების ფაქტის სასწრაფოდ გამოძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გამტაცებლები სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები არიან," - აცხადებს ქართული მხარე.

დღეიდან, მდინარე ენგურის გასწვრივ მდებარე ქართულ სოფლებში, პოლიციის ქვედანაყოფების ნაცვლად, შინაგანი ჯარის ზუგდიდის ქვედანაყოფი განლაგდება. გუშინ ზუგდიდში ჩასულმა შს მინისტრის მოადგილემ შალვა კორძაძემ შინაგანი ჯარების ზუგდიდის ნაწილში ახალი ხელმძღვანელობა წარადგინა. შინაგანი ჯარების ზუგდიდის ნაწილს პოლკოვნიკი ზაურ გერგედავა უხელმძღვანელებს. შინაგანი ჯარის ქვედანაყოფის სამხედროები განმუხურში, ორსანტიაში, კოკში და სხვა ქართულ სოფლებში განლაგდებიან. სამხედროებს სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და, აგრეთვე, აფხაზეთიდან კონტრაბანდის აღკვეთა დაევალათ.

24 საათი

ომბუდსმენის მონიტორინგის საბჭო ამუშავდა

პოლიციის საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერების, წინასწარი დაკავების საკნებში ცემა-წამებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტების გამოვლენის მიზნით, ცოტა ხნის წინ სახალხო დამცველის ოფისში შექმნილმა მონიტორინგის საბჭომ მუშაობა დაიწყო.

მონიტორინგის საბჭოს წევრებმა თბილისის პოლიციის განყოფილებების პირველი რევიზია რამდენიმე დღის წინ დაიწყეს და ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილება შეამოწმეს. შემოწმებისას განყოფილების წინასწარი დაკავების საკანში დაკავებულები არ იმყოფებოდნენ და საბჭოს წევრებმა ვერც კანონდარღვევის ფაქტები დააფიქსირეს. მონიტორინგს დაესწრო მე-5 განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი დავით კახელიშვილი და პოლიციის სხვა თანამშრომლები. ჩატარებული შემოწმების თაობაზე მონიტორინგის საბჭოს წევრებმა შეადგინეს ოქმი, რომელსაც გაეცნო და დაეთანხმა დავით კახელიშვილიც.

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის საბჭოს წევრებმა შუაღამით მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაც შეამოწმეს. როგორც გაირკვა, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაში წინასწარი დაკავების საკნები არ არის. შენობის დათვალიერებისას საბჭოს წევრებს რამდენიმე ოთახი დაკეტილი დაუხვდათ, მათი გასაღები კი სამმართველოში არ აღმოჩნდა. მონიტორინგის საბჭოს წევრების მოთხოვნის საფუძველზე, საბოლოოდ, გასაღებები მოიძიეს და გახსნეს ოთახები, სადაც საეჭვო არაფერი აღმოჩნდა. დაკავების ჟურნალის შემოწმებისას მონიტორინგის ჯგუფს ეჭვი შეეპარა ქურდობის გამო დაკავებულ არასრულწლოვანთა დაკავებისა და გადაყვანის ვადებთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტება სთხოვეს სამმართველოს უფროსს თამაზ ვასაძეს. ამ მოთხოვნამ ვასაძე გააღიზიანა. მას შემდეგ, რაც მონიტორინგის საბჭოს წევრებმა თამაზ ვასაძეს განუმარტეს, რომ "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის" მე-18 მუხლის ბ პუნქტის თანახმად, "შემოწმების ჩატარებისას საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს მოსთხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე, თანამდებობის და იურიდიულ პირთაგან შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა," პრობლემა ამოიწურა და ვასაძის მიერ ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ დაკავების ჟურნალში შეცდომა არ იყო. ჩატარებული მონიტორინგის შესახებ შედგა ოქმი, რომელსაც გაეცნო და დაეთანხმა მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი.

მონიტორინგის ჯგუფები ყალიბდება რეგიონებშიც, სადაც თბილისის პოლიციის სამმართველოების მსგავსად, წინასწარი დაკავების საკნებს ყოველდღიურად მოინახულებენ ჯგუფის წევრები. მონიტორინგის ჯგუფები ყურადღებას გაამახვილებენ პოლიციელთა მხრიდან კანონდარღვევების - წამების, ღირსების შემლახველი მოპყრობის, უკანონო დაკავების, არასანქცირებული ჩხრეკის, "ნარკოტიკების ჩადების," საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას "ცრუ მოწმეების" გამოყენებასა და სხვა კანონდარღვევის ფაქტებზე.

24 საათი

მევლუდ ჭიჭიაშვილი განაჩენის მოლოდინშია

სახელმწიფო ბრალმდებელმა მართლმსაჯულებას მევლუდ ჭიჭიაშვილისთვის 24-წლიანი პატიმრობის მისჯა მოსთხოვა, განსასჯელის ადვოკატი კი მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაზე საუბრობს და მის გათავისუფლებას ითხოვს. ადვოკატმა მაკა ჩეჩელაშვილმა გუშინ უზენაეს სასამართლოში, სხვადასხვა მძიმე დანაშაულში ბრალდებულის სასამართლო პროცესზე, კანონით გათვალისწინებული ბოლო სიტყვა თქვა.

"სასამართლო პროცესებზე დაკითხულ მოწმეთა და დაზარალებულთა უმრავლესობამ ჭიჭიაშვილი წარდგენილ ბრალდებებში არ ამხილა. მართალია, მოწმეები წინასწარი გამოძიების დროს ჭიჭიაშვილის ბრალეულობას ადასტურებდნენ, მაგრამ სასამართლოზე მათ განმარტეს, რომ თავის დროზე ისინი ეჭვმიტანილის ამოცნობაში შეცდნენ," - აცხადებს ადვოკატი და ამ არგუმენტიდან გამომდინარე, მისი დაცვის ქვეშ უდანაშაულოდ ცნობისა და მისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საკითხს სვამს.

ყველაფერი კი საბოლოოდ შოთა ჭიჭიაშვილის 15-ეპიზოდიანი და 24-ტომიანი საქმის განმხილველ მოსამართლეზე - იური ტაბუცაძეზეა დამოკიდებული, რომელიც უმძიმეს დანაშაულებებში ბრალდებულს განაჩენს რამდენიმე დღეში გამოუტანს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თოიძის ქუჩაზე დაიკავეს თბილისში მოქმედი, ავტომანქანის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 30 წლის ავთანდილ შუღლიაშვილი, 27 წლის რობერტ სარქისოვი, მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოში მცხოვრები, 31 წლის ამირან კვანჭიანი და ამბროლაურში მცხოვრები, 34 წლის ვეფხია ლომთათიძე, რომლებმაც დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწიეს , ხოლო ავთანდილ შუღლიაშვილმა პოლიციელების მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რა დროსაც პოლიციის სამსახურებრივი ავტომანქანა დაზიანდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი, 24 წლის თამაზ მელაძე, რომელიც 2004 წლის 19 აპრილს სხვა პირებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა გლდანის მე-5 მიკრორაიონში მდებარე ინტერნეტ-კაფეს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცა 9 კომპიუტერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილებისა და პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ყაჩაღური დაჯგუფების წევრები, 22 წლის ლევან წერეთელი და 24 წლის ირაკლი გურჩიანი, რომლებმაც 2004 წლის 30 დეკემბერს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს 21 წლის ლევან ახალკაცი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა რესტორან "იბერიაში" დააკავეს ქუთაისში მცხოვრები, 24 წლის თოდეოზ შენგელია, 21 წლის ალექსანდრე კანკავა, 25 წლის ბესიკ კაკალია, ლენტეხის რაიონის სოფელ ლექსურაში მცხოვრები, 31 წლის ემზარ ლიპარტელიანი, 18 წლის ზურაბ ჩალაძე და დაბა ლენტეხში მცხოვრები, 18 წლის მიხეილ ხაბულიანი, რომლებმაც ურთიერთშელაპარაკებისას, რესტორნის დარბაზში ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ასევე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს რესტორნის დაცვის თანამშრომელს, 32 წლის თენგიზ ბეღელაძეს. ჩხუბის შედეგად კი განადგურდა რესტორნის კუთვნილი ინვენტარი. ასევე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და წინააღმდეგობა გაუწიეს გამოძახებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველი ადვოკატები ახალი ასოციაციის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, გუდაურში კონფერენცია იმართება, რომელსაც 80-ზე მეტი ადვოკატი, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტის წევრები ესწრებიან. ღონისძიების მონაწილეები შეიმუშავებენ კონცეფციას ასოციაციის მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, ისინი" ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის" დებულებებთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს განიხილავენ. ღონისძიების სპონსორები არიან: აშშ-ს იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო და ორგანიზაცია "World Learning". **ინტერ-პრესი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაძ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ხლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

კაპიტალის ბაზრის განვითარება პრიორიტეტული ეკონომიკური ამოცანაა

წერილში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს შვეიცარიის გაერთიანებული ბანკის, მისი დირექტორების, თანამშრომლების ან მასთან ასოცირებული ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას, ამ წერილის ავტორის მხოლოდ პირად შეხედულებებს ემყარება და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რაიმე საინვესტიციო რჩევას ზოგადად ან რომელიმე კონკრეტული პროდუქტის ან მეთოდიკის მიმართ.

გაგრძელება - ნაწილი მესამე

ლევან სურგულაძე
დირექტორი, ფინანსური რისკის კონტროლი
UBS Investment Bank
(შვეიცარიის გაერთიანებული ბანკი)

საერთაშორისო რეიტინგი

ეფექტური საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მრავალგვარი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ინფორმაცია წილობრივი თუ საკრედიტო ფასიანი ქაღალდის ირგვლივ. ეს, აგრეთვე, მოიცავს გამომშვები კომპანიის კაპიტალ სტრუქტურის, საკრედიტო ხარისხის, კორპორატიული მართვის ეფექტურობის და სხვა არსებით ინფორმაციას. საერთაშორისო ინვესტიციის შემთხვევში კი, დამატებით განიხილება ანალოგიური ტიპის ინფორმაცია მოცემული ქვეყნის შესახებ.

განვითარებულ დასავლურ ბაზრებზე მოქმედებენ რეიტინგის სააგენტოები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიული და მიმდინარე მონაცემთა ბაზები, სადაც შეგროვებულია ყველა ზემოაღნიშნული ტიპის ინფორმაცია. სტატისტიკური და სხვა სპეციალური მეთოდების გამოყენებით ეს ინფორმაცია მუშავდება და ყველა კომპანიის და ქვეყნისათვის დგინდება სტანდარტიზებული საკრედიტო რეიტინგის ფაქტორი. იგი ასახავს მოცემული კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, მენეჯმენტის ეფექტურობას, რისკის პროფაილს და სხვა, ხოლო სუვერენული ქვეყნის შემთხვევაში, დამატებით პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მდგომარეობას. რეიტინგი არის ის კრიტიკული მაჩვენებელი, რომელსაც პორტფოლიო ინვესტორი მოიძევს პოტენციური ინვესტიციის მიზანშეწონილობის შეფასებისას. კომპანიის ან ქვეყნის რეიტინგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათთვის კრედიტებზე ფასის დადგენისას, რამეთუ, რეიტინგის მაჩვენებელი საკმაოდ ობიექტურად ასახავს მოცემული კომპანიისა თუ ქვეყნის საკრედიტო ხარისხს და, შესაბამისად, დეფოლტის რისკს.

ამჟამად, მსოფლიო ბაზრებზე S&P, Moody's და Fitch (ნიუ იორკი) საერთაშორისო რეიტინგის სააგენტოები დომინირებენ. ცხრილში მოყვანილია 34 ქვეყნის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგები Moody's სააგენტოს 2004 წლის იანვრის მონაცემებით. კლებადი მიმდევრობით რეიტინგის მაჩვენებლები ასე გამოიყურება: საინვესტიციო ხარისხი Aaa, Aa1, Aa2, Aa3, A1, A2, A3, Baa1, Baa2, Baa3, სპეკულატიური ხარისხი Ba1, Ba2, Ba3, B1,B2,B3, Caa1, Caa2, Caa3, Ca, C.

აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნების საპატიო საინვესტიციო რეიტინგები. სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რუსეთმა ახლახან მიაღწია ყველაზე დაბალ საინვესტიციო რეიტინგს. თუმცა, ხშირად საუბრობენ რეიტინგის ისევ დაწევაზე, საბაზრო დემოკრატიის არასაკმარისი პროგრესის და სხვა შიდა პოლიტიკური პროცესების გამო. ყაზახეთს, ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობა აქვს.

საქართველოსთვის არც ერთ სააგენტოს საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელი ჯერ არ დაუდგენია. ეს, პრაქტიკულად, გამორიცხავს საქართველოში უცხოური პორტფოლიო ინვესტიციების განხორციელებას. ამ პრობლემის მოგვარება ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულია. სახელმწიფოს წახალისებით და მხარდაჭერით უნდა შეიქმნას ლოკალური რეიტინგის სააგენტო, რომელიც მოიძევს, ერთიან მონაცემთა ბაზაში შეაგროვებს და სპეციალური მეთოდების საშუალებით დაამუშავებს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული კომპანიების, ბანკების და მუნიციპალიტეტების შესახებ. პარალელურად, უნდა დამყარდეს კავშირი ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სააგენტოებთან და დაიწყოს მუშაობა საქართველოსათვის საკრედიტო რეიტინგის დადგენაზე.

სავაჭრო მოდელი საფონდო ბირჟაზე

ბირჟაზე სავაჭრო პროცესის ოპტიმიზაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო მოდელის შერჩევას. საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოიყენება ელექტრონული აუქციონი, სადაც განთავსდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის განაცხადები, შესაბამისი ფასების მითითებით. ელექტრონული სისტემა ავტომატურად აფიქსირებს გარიგებას, როდესაც სისტემაში აღმოჩნდება ყიდვის და გაყიდვის განაცხადები, რომელთა ფასებიც ემთხვევა. მსოფლიო ბაზრებზე აუქციონთან ერთად დილერის მოდელიც გამოიყენება. დილერი ბაზრის მონაწილეთა ერთ-ერთი ტიპია, რომელიც, სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით, ყოველთვის ცდილობს, ფინანსური რისკის მიმართ ნეიტრალური დარჩეს. მათ ევალებათ მუდმივად ჰქონდეთ გაცხადებული საყიდი და გასაყიდი ფასები და შესაბამისი რაოდენობები. ამ ფასად დილერი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისად იყიდოს ან გაყიდოს ის რაოდენობა, რომელზედაც ვალდებულება აიღო. დილერის ინსტიტუტი მოცემული აქციისათვის ფასის უწყვეტად ფორმირების გარანტიას იძლევა და ზრდის ლიკვიდურობას. აუქციონის მოდელი დასავლურ და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზეცაა გავრცელებული და გამოიყენება არალიკვიდური აქციებისათვის, რომელთათვისაც დილერთა არასაკმარისი რაოდენობაა რეგისტრირებული. მაგალითად, ესტონეთში, თუ მოცემული აქციისათვის მინიმუმ ორი დილერი არ დარეგისტრირდა, მაშინ ამ აქციების მიმართ აუქციონის მოდელი გამოიყენება. გავრცელებულია აზრი, რომ ეს მოდელი ხელს უწყობს ფასების უფრო ობიექტურ ფორმირებას. დილერის ინსტიტუტი კი გაცილებით უფრო დიდ ლიკვიდურობას განაპირობებს. 1997 წელს, როცა ტალინის საფონდო ბირჟაზე დილერის, ხოლო ვილნიუსსა და რიგაში აუქციონის ტიპის მოდელები გამოიყენებოდა, წლიური ბრუნვა ამ ბირჟებზე იყო, ტალინში - $1.6 მილიარდი, ვილნიუსში - $0.4 მილიარდი, რიგაში - $0.07 მილიარდი.

საფონდო ბირჟაზე ლისტინგის პირობები და სავაჭრო აქტივობა

კომპანიების ფასიანი ქაღალდების საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაშვების ორდონიანი სისტემა და მოთხოვნილებები შეიძლება შემდგომ სრულყოფას საჭიროებდეს. ამჟამად ბირჟის ლისტინგზე (ზედა დონე) მხოლოდ ერთი კომპანიაა წარმოდგენილი. ამ პრივილეგირებულ სტატუსს ღებულობენ კომპანიები, რომლებიც გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ და საბუღალტრო აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ბირჟაზე რეგისტრირებული დანარჩენი 296 კომპანია ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და მხოლოდ სავაჭროდ რეგისტრირებულის სტატუსი აქვს (ქვედა დონე). ბირჟის გამოქვეყნებული წესდების მიხედვით, სავაჭროდ დარეგისტრირება, პრაქტიკულად, ნებისმიერ კომპანიას შეუძლია, რადგანაც შესაბამის მოთხოვნებს ისინი თითქმის ავტომატურად აკმაყოფილებენ. დიფერენცირების ასეთი სისტემა, პრინციპით "ან ყველაფერი ან არაფერი", არ უნდა იყოს ყველაზე ეფექტური. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს უფრო დიფერენცირებული, სამდონიანი სისტემა, რომელიც გამოიყენება ტალინის საფონდო ბირჟაზე - *მთავარი ლისტინგი, I-ლისტინგი* და *თავისუფალი ბაზარი*. ცალკეა ბონდების (საკრედიტო ფასიანი ქაღალდი) ლისტინგი. კომპანიებისადმი მოთხოვნები პროგრესულად იზრდება, შესაბამისად, თავისუფალი ბაზრიდან მთავარ ლისტინგამდე. მაგალითად, მინიმალური საბაზრო კაპიტალიზაცია I-ლისტინგზე 30-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მთავარ ლისტინგზე. I-ლისტინგზე არ არის კომპანიის მომგებიანობის მოთხოვნა. ამჟამად, ტალინის საფონდო ბირჟის მთავარ და I ლისტინგებზე 7-7 კომპანიაა თითოეულზე. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ კომპანიების რიცხვის გაზრდა ლისტინგზე მოთხოვნილებების შერბილების ხარჯზე არ ამართლებს. ეს ჩანს საქართველოს საფონდო ბირჟის, პრაღის საფონდო ბირჟის და სხვათა მაგალითებიდან. მართლაც, მიუხედავად 300-მდე სავაჭროდ რეგისტრირებული კომპანიიდან, მხოლოდ რამდენიმეა შედარებით ლიკვიდური. ასევე პრაღაში, 1999 წლის მონაცემებით, 1000 რეგისტრირებული კომპანიიდან, მხოლოდ 30 განიხილებოდა როგორც აქტიური. ანალოგიური ეფექტი შეინიშნება ლიტვაშიც. რაც შეეხება, ტალინს, იქ თოთხმეტივე კომპანიის აქციები საკმაოდ ხშირად ცვლიან ხელს. ამასთან, როგორც ცხრილიდან ჩანს, მთავარ ლისტინგზე განთავსებული კომპანიების აქციები თითქმის 10-ჯერ უფრო ხშირად იყიდება, ვიდრე I-ლისტინგის კომპანიების აქციები, რომლებიც თავის მხრივ, თითქმის 1.5 - 2-ჯერ უფრო ხშირად იყიდება, ვიდრე თავისუფალ ბაზარზე რეგისტრირებული კომპანიების აქციები. ამრიგად, რაც უფრო ახლოსაა კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის, გამჭვირვალობის და კორპორატიული მართვის პრაქტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან, მით უფრო ეფექტურად შეიძლება ამ კომპანიების აქციების რეალური ღირებულების შეფასება, ნაკლებია შიდა ინფორმაციით მანიპულირების ალბათობა და, შესაბამისად, მით უფრო საინტერესოა ამ კომპანიის ფასიანი ქაღალდები ბაზრის მონაწილეთათვის.

ალბათ, მიზანშეწონილია საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული 296 კომპანიიდან გადაირჩეს რამდენიმე კომპანია, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან ბირჟაზე ლისტინგის მოთხოვნებთან და შეიქმნას ქვე-ლისტინგი. დანარჩენი რეგისტრირებული კომპანიები კი უნდა გაიცხრილონ. დაბალი სტანდარტების კომპანიის აქციების სავაჭრო აქტივობა ისედაც ნულის ტოლია. ასეთი კომპანიების ბირჟასთან ასოცირებულობა ვნებს მის იმიჯს ინვესტორის თვალში და ზიანს აყენებს მთელს ინდუსტრიას. საფონდო ბირჟის მთავარი პრიორიტეტი, მისი საერთაშორისო ცნობა, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებით შეიძლება განხორციელდეს. ასეთი ცვლილებები საფონდო ბირჟაზე ხელს შეუწყობს სავაჭრო აქტივობის ზრდას.

უცხოური ფასიანი ქაღალდები საქართველოს ბაზარზე

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამოცოცხლების ერთ-ერთი ეფექტური გზაა საშუამავლო ინსტიტუტების მიერ ადგილობრივი ინვესტორისათვის უცხოური ფასიანი ქაღალდების შეთავაზება. ამით ერთდროულად რამდენიმე "კურდღლის მოკვლა" შეიძლება მოხერხდეს. ადგილობრივი პოტენციური ინვესტორისათვის დასავლეთის ბაზრებზე კონტროლის მაღალი სტანდარტები, გამჭვირვალობა და საიმედოობა შეიძლება გადამწყვეტი გახდეს მისი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობისათვის. შესაძლებელი გახდება საინვესტიციო პორტფოლიოების ეფექტური დივერსიფიკაცია, რომლებიც გაცილებით ნაკლები ფინანსური რისკის მატარებლები იქნებიან, ვიდრე მხოლოდ ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებით შექმნილი პორტფოლიო. ინვესტორი, რომელიც ერიდებოდა ადგილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას რისკის მიუღებლად დიდი კონცენტრაციის გამო, ახლა შედარებით ადვილად გადაწყვეტს *შეიძინოს ქართული ფასიანი ქაღალდები უცხოურ ფასიან ქაღალდებთან ერთად*. ეს გაზრდის საქონელბრუნვას ადგლობრივ ბაზარზე, ინფრასტრუქტურას გაეზრდება დაფინანსება მომსახურების საფასურიდან, დაგროვდება ინფორმაცია, მოიმატებს ექსპერტიზა და სხვ. რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს ადგილობრივი ბაზრის რეანიმაციას. ესტონეთში საშუამავლო ინსტიტუტები 1993 წლიდან არსებობენ (საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა 1996 წელს დაიწყო). დასაწყისში ეს ინსტიტუტები სწორედ უცხოურ ფასიან ქაღალდებზე სპეციალიზირდებოდნენ.

უცხოელი ინვესტორები საქართველოს კაპიტალის ბაზარზე

როგორც აღვნიშნეთ, გამართული ფასიანი ქაღალდების ბაზრის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვანი უცხოური პორტფოლიო ინვესტიციების იმედი ვიქონიოთ. ტალინის საფონდო ბირჟაზე 1998 წლის მაისისათვის (ბირჟის გახსნიდან 2 წლის შემდეგ) ესტონურ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების 54.9 პროცენტი ადგილობრივი, ხოლო 45.1 პროცენტი უცხოური კაპიტალი იყო. მათ შორის, 13.4 პროცენტი - ფინური, 6.8 პროცენტი - ბრიტანული, 7.7 პროცენტი - შვედური, 6.7 პროცენტი - ამერიკული, 1.6 პროცენტი - ლატვიური, 0.1 პროცენტი - რუსული.

საქართველოს ფასიან ქაღალდებში ინვესტირებულ უცხოურ კაპიტალზე მონაცემები ვერ მოვიპოვეთ, თუმცა, დიდი ალბათობით, ამ კაპიტალის სიდიდე უმნიშვნელოა ან საერთოდ ნულია. ამის ძირითადი მიზეზები, განსაკუთრებით - ახლო წარსულამდე, გახლდათ მაკრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური არასტაბილურობა და შესაბამისი "ქვეყნის რისკი," აგრეთვე, ბაზრის სიმცირე, არალიკვიდურობა და ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება. უცხოელი ინსტიტუციური ინვესტორის შემოსვლა ადგილობრივ ბაზარზე, ჩვეულებრივ, ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორის საშუალებით ან მასთან პარტნიორობით ხდება. ამ შემთხვევაში, გამოიყენება ადგილობრივი პროფესიული ბაზა, რომელიც ინვესტიციასთან დაკავშირებული სამუშაოების გარკვეულ ნაწილს შეასრულებს. საქართველოში ასეთი ინფრასტრუქტურა ჯერ, პრაქტიკულად, არ არის. გარდა ამისა, უცხოელი ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია ყველა ის ფაქტორები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, განსაკუთრებით კი, ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის შეფასება საერთაშორისო რეიტინგის სააგენტოების მიერ.

უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა ქვეყნის კაპიტალის ბაზარზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუმცა გარკვეული პრობლემებიც ახლავს. პირველი, ეს არის მოკლევადიანი სპეკულატიური კაპიტალის შემოსვლა, რამაც შეიძლება ბაზრის დესტაბილიზაცია და საბაზრო რისკის მეორეობა გამოიწვიოს. მეორე, არასასურველია კაპიტალის ბაზრის მონოპოლიზაცია უცხო ქვეყნის (განსაკუთრებით, არასტაბილური ეკონომიკით) მიერ. სხვათა შორის, ეს ეხება როგორც პორტფოლიო, ისე პირდაპირ ინვესტიციებს, რაზეც ამჟამად ფართო დისკუსია მიმდინარეობს. ამას მარტივი ახსნა აქვს რისკის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. უცხო ქვეყანასთან ამგვარი კორელაციის შედეგად ამ ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს შიდა ბაზარზე. დივერსიფიკაციას ალტერნატივა არ აქვს, თუნდაც ამის მისაღწევად საკანონმდებლო მარეგულირებელი ბერკეტების გამოყენება დარჩეს საჭირო. მესამე, არასასურველია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაციის უდიდესი ნაწილი უცხოურ (თუნდაც, დივერსიფიცირებულ) კაპიტალზე მოდიოდეს. *ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია შეიქმნას ადგილობრივი გრძელვადიანი კაპიტალის* ბაზა. მართლაც, ცხადია, რომ ნებისმიერი ინვესტიციის ეკონომიკური რაციონალი ინვესტირებული თანხის მოგებით ამოღებაა (და წაღება, უცხოური ინვესტიციის შემთხვევაში). მაგალითად, უმეტეს სამხრეთ-ამერიკული ქვეყნების ეკონომიკაში, დიდი ხანია, უმძლავრესი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული. მიუხედავად ამისა, თითქმის ვერც ერთი მათგანის ეკონომიკა ჯერ ვერ ასცდა "განვითარებადის" ("emerging markets") სტატუსს. ამის გათვალისწინებაც სასარგებლო იქნება უცხოური საინვესტიციო პოლიტიკის გამომუშავებისას.

სამთავრობო ფასიანი ქაღალდები

ცნობილია, რომ განვითარებული სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის კაპიტალის ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი სახაზინო ვალდებულებებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები იყო. ცხადია, მოკლევადიანი 20-50 პროცენტი წლიური საპროცენტო განაკვეთის არსებობის შემთხვევაში, მოთხოვნა სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებზე, განსაკუთრებით - საკრედიტო ბაზარზე, არ იქნება. ბოლო თვეებში საპროცენტო განაკვეთებმა დაახლოებით 12-16 პროცენტამდე დაიწია. მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებთან ერთად, უნდა არსებობდნენ საშუალო და გრძელვადიანი ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების შემდგომ შემცირებას და სტაბილიზაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაღალი საპროცენტო განაკვეთები მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებზე არავითარ შანსს არ უტოვებს მცირე და საშუალო ბიზნესებს არსებულ საკრედიტო ბაზარზე. საპროცენტო განაკვეთების საგრძნობი კლება ხელს შეუწყობს საკრედიტო ბაზრის განვითარებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ესტონეთში.

საინვესტიციო ფონდები

მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციისათვის განსაკუთრებით ეფექტურია კოლექტიური საინვესტიციო მექანიზმები - საინვესტიციო ფონდები. საჭიროა ასეთი მექანიზმების შესახებ მოქნილი და ეფექტური კანონმდებლობის შემუშავება. საინვესტიციო ფონდების განვითარება დიდ სტიმულს მისცემს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. დასავლური ბაზრების მაგალითებიდან ჩანს, რომ სწორედ საინვესტიციო ფონდები არიან ის საშუამავლო ინსტიტუტები, რომლებიც ფართო მასების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობას უზრუნველყოფენ. საინვესტიციო ფონდების, როგორც ინსტიტუციური ინვესტორების წილზე ვაჭრობის მოცულობის უდიდესი ნაწილი მოდის და ისინი არიან ლიკვიდურობის განმსაზღვრელები. ადგილობრივ ბაზარზე არსებული მნირი არჩევანისა და დაბალი ლიკვიდურობის პირობებში, საინვესტიციო ფონდები ლოკალურ ბაზრებზეც უნდა მონაწილეობდნენ. საინვესტიციო ფონდებს შეუძლიათ, ერთის მხრივ, ეფექტური პრივატიზაციის პროცესს შეუწყონ ხელი, მეორეს მხრივ კი, ინვესტორს ფინანსური რისკის დივერსიფიკაციის საშუალება მისცენ. საგულისხმოა, რომ ესტონეთში მეორადი ბაზრის მკვეთრი გამოცოცხლება დროში ემთხვევა 15 საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბებას და კომერციული ბანკების გააქტიურებას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, როგორც საკუთარ ანგარიშზე ვაჭრობის, აგრეთვე, საბროკერო მომსახურების სფეროებში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტიმულირება სახელმწიფოს მიერ

სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტიმულირებისათვის ეფექტური ბერკეტები გააჩნია. ამ ბერკეტების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის ჩამოყალიბების ეტაპზე. მათ შორის, წამახალისებელი საგადასახადო პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მაგალითად, ესტონეთში დივიდენდები არ იბეგრება, ხოლო კაპიტალმოგებაზე გადასახადი იგივეა, რაც ჩვეულებრივ შემოსავალზე. წამახალისებელი პოლიტიკა შეიძლება ფასიანი ქაღალდის გამომშვები კომპანიის მიმართაც განხორციელდეს. მაგალითად, გამომშვებულ კორპორატიულ საკრედიტო ობლიგაციაზე გადახდილი საპროცენტო განაკვეთი შეიძლება ბიზნეს ხარჯთან გაიგივდეს და გამოაკლდეს დასაბეგრ თანხას.

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის საინვესტიციო შესაძლებლობები ერთობ მწირია და ძირითადი რესურსები საზოგადოების მცირე ნაწილის ხელშია მობილიზებული, რაც ერთეულთა ხელში ბიზნესების წილობრივი კონცენტრაციის საშიშროებას ქმნის. ამიტომ, საშუალო ინვესტორების მიმართ შეიძლება წამახალისებელი საგადასახადო პოლიტიკა განხორციელდეს, როგორც ეს ამერიკაშია.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი მსხვილი საპრივატიზაციო საწარმოების კაპიტალის ბაზარზე გაყიდვის გზით უნდა წარიმართოს და არ უნდა იყოს ფოკუსირებული მხოლოდ "სტრატეგიული" ინვესტორის ძებნაზე. ამ გზას რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს: მოხდება საწარმოების უფრო ეფექტური დაფინანსება; ობიექტურ საპრივატიზაციო ფასებს თვითონ ბაზარი დაადგენს; სახელმწიფოს - საწარმოების ახლანდელ მფლობელს - დარჩება მნიშვნელოვანი ბერკეტები საწარმოების ბაზარზე გაწერის მისთვის ხელსაყრელი სტრუქტურა შეარჩიოს; ავტომატურად მოიხსნება სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების პრივატიზაციასთან დაკავშირებული რისკები; დივერსიფიცირებულ ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალს საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ობიექტების პრივატიზაციაში, და სხვ. მეორეს მხრივ, მოხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტიმულირება - გაიზრდება ბაზარზე საქონელბრუნვა და კაპიტალიზაცია. ინფრასტრუქტურას გაეზრდება დაფინანსება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაგალითად, ესტონეთში, 1995/96 წლებში, პირველად ბაზარზე გამოტანილი კომპანიების 68 პროცენტი განპირობებული იყო სახელმწიფო საპრივატიზაციო პროგრამით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პრივატიზაციის პროცესში დასავლური საინვესტიციო ბანკი უნდა მონაწილეობდეს, რამეთუ მსხვილი საპრივატიზაციო ობიექტების შეფასების და პირველად ბაზარზე გაწერის სამუშაოს ყველაზე ეფექტურად სწორედ სპეციალიზირებული საინვესტიციო ბანკები ასრულებენ.

რეგიონული და გლობალური ინტეგრაცია

საქართველოს კაპიტალის ბაზარი უნდა ვითარდებოდეს რეგიონული და საერთაშორისო გლობალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით. შეიძლება მოზაზეწონილიც იყოს მომავალში კავკასიის ფასიანი ქაღალდების ბირჟის ჩამოყალიბებაც. ეს გააფართოებდა არჩევანს ბაზარზე, გაზრდიდა მის ლიკვიდურობას და ხელს შეუწყობდა უცხოური პორტფოლიო ინვესტიციების მოზიდვას. ბოლო პერიოდში, დასავლურ ბაზრებზე საფონდო ბირჟების რეგიონული ინტეგრაციის ტენდენცია შეინიშნება.

საქართველოს კაპიტალის ბაზრის ინტეგრაცია გლობალური კაპიტალის ბაზრებთან, ალბათ, ერთადერთი გზაა კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ბაზრის განვითარებისათვის.

ნიუ იორკი
ივლისი, 2004

ქვეყანა	რეიტინგი	ქვეყანა	რეიტინგი
ავსტრია	Aaa	კოლუმბია	Baa2
არგენტინა	B3	ლატვია	A2
აშშ	Aaa	ლიტვა	A3
ბახრეინი	Baa1	მოლდოვა	Caa1
ბელგია	Aa1	პაკისტანი	B2
ბრაზილია	B2	პოლონეთი	A2
ბულგარეთი	Ba2	რუმინეთი	Ba3
გერმანია	Aaa	რუსეთი	Baa3
ეკვადორი	Caa1	საბერძნეთი	A1
ესტონეთი	A1	საფრანგეთი	Aaa
ვენესუელა	Caa1	სლოვაკია	A3
თურქეთი	B3	სლოვენია	Aa3
თურქმენეთი	B2	უკრაინა	B1
ინგლისი	Aaa	უნგრეთი	A1
ისრაელი	A2	ყაზახეთი	Baa1
იტალია	Aa2	ჩეხეთი	A1
კანადა	Aaa	ხორვატია	Baa1

ტალინის საფონდო ბირჟაზე წილობრივ ფასიან ქაღალდებზე წლიური გარიგებების რიცხვი 2004 წლის 1 ივნისისათვის

წელი	მთავარი ლისტინგი	I - ლისტინგი	თავისუფალი ბაზარი	სულ
2004	9425	1063	141	10629
2003	21735	2348	710	24793
2002	20579	2257	1182	24018
2001	27421	2611	1881	31913
2000	32057	3879	3025	38961
1999	39408	3355	3498	46261
სულ	150625	15513	10437	176575

ისევ ვარდები

B2

მეცამეტე და უკანასკნელი?

B4

"ჩოხა ფართი"

B6

სოფიკო ჭიაურელი ახლო ხედით

დალი ფანჯიკიძე

ფიქრის გორაზე, ერთ პატარა, მყუდრო თეატრს მრავლისმთქმელი სახელი "ვერიკო" ჰქვია. სახლი, რომელშიც ეს თეატრი ბინადრობს, მიხეილ ჭიაურელს მეუღლისთვის საკუთარი ხელით აუშენებია, თეატრის დამაარსებელი კი კოტე მახარაძე გახლავთ. აქ "პირველად იყო სიტყვა", ანუ კოტე მახარაძის უნიკალური მონოსპექტაკლები ილიაზე, აკაკიზე, ბაგრატიონებზე, სტალინზე და ეს იყო განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტისა და უბადლო მთხრობელის მიერ განცდილი ისტორია თუ ცალკეული დიდი პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფურცლები. მერე და მერე გაჩნდა იდეა, რომ პატარა სცენაზე, რომელსაც მაყურებლისგან სულ მცირე მანძილი აშორებს, სპექტაკლის დადგმაც შეიძლებოდა.

საოცარია ამ თეატრის გარემო: დარბაზში მემორიალური ავეჯი და ნივთებია, კედლები ნახატებითა და ფოტოებითაა სავსე, აქ ტრიალებს ის ხელშეუხებელი რამ, რასაც აურას ეძახიან, ყველაფერი ერთად კი ქმნის იმ სამყაროს, რომელსაც დღეს სოფიკოს სამყარო ჰქვია, თუმცა, სოფიკო ყველა ნიჭიერ ადამიანს სთავაზობს ასპარეზს.

როგორც ვთქვი, აქ სოფიკოს სამყაროა და მე, ერთი ჩვეულებრივი მაყურებელი, გავბედავ და ვიტყვი, რომ ამ თეატრში დაიწყო მისი შემოქმედების ახალი ეტაპი, თუმცა, სოფიკო ჭიაურელს თეატრსა და კინოში დიდი გზა აქვს გავლილი. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ტელევიზიით ზედიზედ მოგვეცა საშუალება, გვენახა სოფიკოს კინოროლები, ერთმანეთზე უკეთესი, ერთმანეთზე საინტერესო. ნებისმიერი დიდი მსახიობისთვის მარტო ერთი შედევრი - ფუფალაც იკმარებდა, მაგრამ მის ანალიზს არ შევუდგებით, ამჯერად მხოლოდ "ვერიკოში" განსახიერებული როლები გვაინტერესებს.

ჩვენს თაობას სცენაზე არაერთი დიდი მსახიობი უნახავს და დღემდე ცოცხლად აქვს შემორჩენილი ის განცდა, რასაც მათთან შეხვედრა იწვევდა. მაყურებელსა და მსახიობს შორის იბმება უხილავი ძაფები, მსახიობი შენს თვალწინ ცოცხლობს თავისი გმირის ცხოვრებით, იტანჯება, ხარობს, იცინის, ტირის, კვდება და შენც იმ გამოგონილი ცხოვრების თანამონაწილე ხდები. თანამონაწილეობის განცდას კი ვერანაირი რეცენზია, ვერანაირი მონათხრობი, თვით საუკეთესო ჩანაწერიც კი ვერ შეგიქმნის. მე ოთხი წელი ვიყავი მიწვეული თეატრალურ უნივერსიტეტში სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ და ხშირად მიკითხავს დიპლომანტებისთვის, რატომ ირჩევდნენ თემად იმ მსახიობების შემოქმედებას, რომლებიც სცენაზე არ უნახავთ. ჩემი აზრით, მათ დღევანდელი თეატრალური პროცესი უნდა ასახონ, დაინტერესდნენ დიდი მსახიობების შემოქმედებით, არ გამოტოვონ მათი არც ერთი სპექტაკლი, ესაუბრონ მათ, აღწერონ როლზე მუშაობის მთელი გზა - განაწილებიდან სცენაზე წარმოდგენამდე.

დღეს ერთ-ერთ ასეთ მსახიობად სოფიკო ჭიაურელი მიმაჩნია და მიკვირს, რომ მასზე სერიოზული გამოკვლევა ჯერ არ დაწერილა. ბუნებრივია, მე ვერ შევძლებ შევავსო ეს ხარვეზი, მხოლოდ შევეცდები, ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ სოფიკოს შემოქმედების იმ ეტაპზე, რასაც თეატრ "ვერიკოში" მისი მოღვაწეობა ჰქვია.

ჩემი აზრით, ამ პატარა თეატრის სპეციფიკამ, ანუ იმ რეალობამ, რომ მაყურებელთა დარბაზი და სცენა ასე ახლოა ერთმანეთთან, მოითხოვა სრულიად განსხვავებული სტილისტიკა - თამაში ახლო ხედით. აქ მაყურებელს ვერაფერს გამოაპარებ: ყოველი ჟესტი, ცრემლი და სიცილი, სახის გამომეტყველება, ხმა, მზერა "ნატურალურად" აღიქმება. სოფიკოს სამსახიობო არსენალი ყველაფერ ამას თამამად სწვდება. აქვე უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ - სოფიკო არ ცდილობს გაახალგაზრდავდეს, იგი თავისი ასაკის ქალებს თამაშობს, მას ასაკის არ ეშინია, უყვარს ის ქალები, სევდიანად, მხიარულად, თვითირონიით, ტრაგედიისა და კომედიის ზღვარზე მოგვითხრობს მათი ცხოვრების ამბავს, რაც სცენაზე ყველაზე ძნელი განსახორციელებელია.

■ ■ ■

დღემდე ამ სცენაზე სოფიკომ ოთხ სპექტაკლში ითამაშა: "დედა-დედოფალი", "მარტოობის ბინადარი", "სიყვარულის სულთათანა" და "იადონას თეატრი". აქედან ორი მონოსპექტაკლია, ორში კი თითო პარტნიორი ჰყავს. "დედა-დედოფალში" (რეჟ. თ. კოშკაძე) დედა-შვილის თითქოს სიძულვილით და ჯიბრით გამსჭვალულ ურთიერთობას საოცარი დრამატიზმით განასახიერებენ სოფიკო და მურმან ჯინორია და ნელ-ნელა მიემართებიან იმ ფინალამდე, რომელიც დაგვანახებს, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითი ყოფილა. დედა-შვილს შენიღბული სიყვარულით ჰყვარებია ერთმანეთი, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შესძლებიათ და ბოლოს შემაძრწუნებელი დასასრულის მოწმენი ვხდებით: უდრეკი დედა-დედოფალი გულში იკრავს შვილის უსულო სხეულს და თვითონაც კვდება. სიკვდილის სცენა ძალიან ძლიერია, სოფიკოს ჩვენს თვალწინ თითქოს სისხლისგან ეწრიტება სახე და ქანდაკებასავით ქვავდება.

"დედა-დედოფალს" მოჰყვა მონოსპექტაკლი "მარტოობის ბინადარი" (რეჟ. ნანა მჭედლიძე), მაგრამ გარკვეული მოსაზრებით ქრონოლოგიას დავარღვევ და მას მერე მივუბრუნდები, ოღონდ აქვე ვიტყვი, რომ ოთხივე სპექტაკლს აერთიანებს ქალის მარტოობის პრობლემა, იგი ოთხივეგან სხვადასხვა რაკურსითაა წარმოდგენილი, მას სხვადასხვა მიზეზი უდევს საფუძვლად, მაგრამ სულიერების თვალსაზრისით ეს პრობლემა უნივერსალურია, ზოგადსაკაცობრიოა, მას ეროვნება არა აქვს.

ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს გაბრიელ გარსია მარკესის პიესის მიხედვით შექმნილი მონოსპექტაკლი (რეჟისორი თემურ ჩხეიძე, კომპოზიტორი გია ყანჩელი), რომელსაც, ჩემი აზრით, სოფიკოს ბოლოდროინდელ შემოქმედებაში უპირველესი ადგილი უკავია. მოგეხსენებათ, მარკესი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ენამჭევრი მწერალია. მის ტექსტში შერწყმულია კვაზისერიოზული ტონი, მოულოდნელი გადასვლები ტრაგიკულიდან კომიკურზე, სიმკაცრე და სინაზე, თვითირონია. ერთი სიტყვით, მარკესის ტექსტს, უპირველეს ყოვლისა, კარგად გაცნობიერება და მერე კარგად დასწავლა სჭირდება. სოფიკო სრულყოფილად ფლობს ტექსტს (მთარგმნელი თეა გვასალია), აღარაფერს ვამბობ მის უზადო სასცენო მეტყველებაზე, რაც, სამწუხაროდ, დღეს იშვიათობაა, ისმის ყოველი სიტყვა, ჩურჩულით თუ ხმამაღლა ნათქვამი, ტრაგიზმით შეფერილი თუ იუმორით შეზავებული. ამ გრადაციებს, რაც ასე უხვადაა მარკესის პიესაში, სოფიკო გადმოგვცემს ხმის საოცარი მოდულაციით, ჟესტ-მიმიკით, თვალებში აკიაფებული ცრემლითა და ღიმილით.

"სიყვარულის სულთათანა" აღსარებაა მშვენიერი ქალისა, რომელმაც მარტოობაში განვლო მთელი ცხოვრება თავის სათაყვანებელ ადამიანთან და ვერცხლის ქორწილის წინ გადაწყვიტა, დაეცვა ქალური ღირსება, მიეტოვებინა ქმარი, რომელმაც ამ ხნის მანძილზე გაუთავებელი დიდ-პატარა ღალატით ჯოჯოხეთად უქცია ცხოვრება. ესაა ტრაგედია ქალისა, რომელიც ცდილობს ამაღლდეს საეჭვო წარმოშობის არისტოკრატიული ოჯახის დონემდე, თითქოს იუმორითაც ეკიდება თავის გავლილ ცხოვრებას, თითქოს თავის მუსუს მეუღლეზე ძლიერიც არის როგორც პიროვნება, რამდენჯერმე სამაგიეროს გადახდაც უცდია, მაგრამ საბოლოოდ ხვდება, რომ ვერაფერს უხერხებს იმ სიყვარულს, რამაც დღემდე ქმრის გვერდით გააძლებინა და თვალცრემლიანი მაინც ქმრის სურათს ეფერება. აქ სოფიკოს გმირის ტრაგიზმი კულმინაციას აღწევს: ჩვენს წინ ზის მხრებჩამოყრილი, სახედაღარული, ტანჯული ქალი და მეტყველ თვალებში ცრემლი უკიაფებს. ეს სახე კარგა ხანს გიდგას თვალწინ, გაძრწუნებს თავისი უნუგეშობით და უმწეობით და ნელ-ნელა სიბნელეში იკარგება. სცენაზე რჩება ქმრის გამოსახულება სკამზე შემოცმული პერანგითა და ჰალსტუხით და იქვე მიფენილი გაზეთით. მთელი პიესა და სპექტაკლი ხომ არშემდგარი დიალოგია - პარტნიორი მთელი ცხოვრება დუმდა და სახეზე გაზეთი ჰქონდა აფარებული.

■ ■ ■

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საგანგებოდ დავარღვიე ქრონოლოგია, რადგან მინდოდა ხაზგასმით მეთქვა, რომ სოფიკოს რიგით მეორე ნამუშევარი "მარტოობის ბინადარი" და ახლახან გამართული პრემიერა "იადონას თეატრი" მსახიობისა და დრამატურგის თანამშრომლობის მშვენიერი მაგალითია. ორივე პიესის ავტორი გახლავთ რეზო კლდიაშვილი. ისინი 12 წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა დრამატურგმა სოფიკოსთვის დაწერა პიესა "საპოვნელა", რომელიც უცვლელი წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. იქვე დაიდგა "იადონას თეატრიც", სადაც სოფიკოს გივი ბერიკაშვილი უწევდა პარტნიორობას.

რეზო კლდიაშვილი საინტერესო დრამატურგია. მას აქვს დრამატურგისთვის აუცილებელი ყველა თვისება: საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ყოფითი მოვლენების დანახვის უნარი, სათქმელის დროზე თქმის ალღო, მდიდარი ლექსიკა და იუმორის გრძნობა, რომელიც ძირითადად ქუთაისითაა ნასაზრდოები. რეზო კლდიაშვილი არ ცდილობს, შეიჭრას მისთვის უცნობ ყოფით თუ ენობრივ სამყაროში. მან იცის, რაზე წეროს, იცნობს თავის პერსონაჟებს და მათ ბუნებრივ სამოქმედო ასპარეზს უქმნის. ეს უკანასკნელი პირობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: თუ ტექსტი არაბუნებრივი და ყალბია, მას ვერც ერთი მსახიობი დამაჯერებლად ვერ ითამაშებს.

დავუბრუნდეთ მონოსპექტაკლს "მარტოობის ბინადარი", რომელშიც ქალის მარტოობის პრობლემას ჩვენი დღევანდელი ყოფის რამდენიმე შტრიხი შეერწყა, რამაც კიდევ უფრო მეტი დრამატიზმით დატვირთა ეს სპექტაკლი.

მაინც ვინ არის მარტოობის ბინადარი? ესაა ეკა, ხანდაზმული თბილისელი მანდილოსანი. მას ტრადიციული შავი ტანსაცმელი აცვია, ყელზე ჯვარი ჰკიდია და ყისნაღით ნაქსოვი თეთრი საყელო უკეთია, ხოლო თავზე... მოტოციკლისტის ჩაფხუტი ახურავს. ჩემი აზრით, ასეთი აღჭურვილობით ხანდაზმული ქალის პირველი გამოჩენა ყველაზე უფრო სარისკო ეპიზოდია ამ სპექტაკლში. აქ მსახიობი ბეწვის ხიდზე გადის. საკმარისია იოტისოდენა სიყალბე, რომ მაყურებელს გაეცინოს და მერე სპექტაკლს აღარაფერი ეშველება. სოფიკოს ნატანჯი, დაქანცული სახე, მძიმე მიხრა-მოხრა პირველივე წამებში თანაგრძნობას იწვევს. ხმის ტონალობაც ზუსტადაა დაჭერილი. პირველივე ფრაზას: "არა, მაინც რა მოულოდნელად აღმოვჩნდი უმართავი ბრბოს შუაგულში?!" თან ახლავს ნაღველიც და გაოცებაც. შემდეგ ვიგებთ, რომ მომიტინგეებში შემთხვევით გარეული ეკა ავტობუსით ქალაქგარეთ გაუყვანიათ და სხვებთან ერთად შუაგულ ტყეში მიუტოვებიათ. ეკა ამ წუთებში ბედნიერია, რომ სახლამდე მოაღწია. ჩაფხუტის სიმძიმეს კარგა ხნის მერე გრძნობს, აღარც ახსოვს, ჩაფხუტი როდის დაახურეს და ერთ მოხუცთან ერთად მოტოციკლით როგორ მოიყვანეს სახლამდე.

ზემოთ ახლო ხედი ვახსენე. სოფიკო ჭიაურელს ახლო ხედის არ ეშინია. მეტყველ თვალებში ცრემლი უბრწყინავს, მაშინაც კი, როცა ღიმილით იგონებს წარსულს. ლაპარაკობს ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, გვიყვება თავისი ცხოვრების ისტორიას, შეულამაზებლად, აქა-იქ გამკრთალი იუმორით, აქა-იქ გამკრთალი სიხარულით, მთლიანად კი მისი ცხოვრება ტრაგიკულია. სოფიკო ჭიაურელი განსაკუთრებით ძლიერია იმ ეპიზოდში, როცა უდანაშაულოდ დაპატიმრებულ ქმართან გამოსამშვიდობებლად ნავთლუღის სადგურში რელსებზე "გადარბის", მიწას ენარცხება და გონს მოდის თეთრ პალატაში, სადაც მისი უკანასკნელი იმედი, შვილის მოლოდინი გაცამტვერდება.

დრამატურგიულად, რეჟისორულად და შესრულების თვალსაზრისით უზადოა მშრალი ხიდიდან შინ მობრუნებული ეკას სცენა. მას საყვარელი ადამიანის ნაჩუქარი ფინჯანი წაუღია გასაყიდად, მაგრამ ვეღარ გაუმეტებია, ახლა კი გატეხილი შერჩენია ხელში და თითქოს განცდის უნარიც დაუკარგავს. გატეხილი ფინჯანი მორიგი მარცხია მის ცხოვრებაში, მაგრამ არსებობაც ხომ უნდა. და აი, გასაყიდად შეიძლება გამოდგეს ვიოლინო, ათი წელი რომ აღარ აუღია ხელში. ვიოლინოს გასაყიდად გატანის სცენა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უძლიერესია ამ სპექტაკლში. თბილისელი ინტელიგენტი მანდილოსნისთვის თავის გადარჩენის ეს გზაც დახშულია. მას დახლთან არავინ მიუშვებს. ამ სცენას ახმოვანებს ბაზრის ხმაური, ერთმანეთში არეული ქართულ-მეგრული ყაყანი და ესაა ჩვენი ტრაგედია, რომელიც გაცილებით უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე თავისი ტრაფარეტული სიყალბით გამაღიზიანებელი პლაკატები: გახსოვდეთ აფხაზეთი! აფხაზეთი ჩვენი ტკივილია!

ეს სცენა გაძრწუნებს თავისი ყოველდღიურობით, ეკას უმწეო, დამფრთხალი სახით, თვალებში აღბეჭდილი ერთადერთი სურვილით - გაექცეს ქალის სახედაკარგულ უბედურ დედაკაცებს. შინ დაბრუნებულ ეკას თავისი არშობილი შვილის ხმა უხმობს, ისიც სახეგაცისკროვნებული მიჰყვება ამ ხმას და სიბნელეში ქრება.

■ ■ ■

"იადონას თეატრიც" მარტო დარჩენილი ასაკოვანი ქალის ბედზეა დაწერილი, მაგრამ იგი ამ პრობლემის გროტესკულად წარმოდგენის ცდაა (რეჟ. გ. თოდაძე, კომპოზიტორი ბ. კვერნაძე). აქ პიროვნული დრამა ცრემლნარევ სიცილს იწვევს, არც ფინალია ტრაგიკული, მაგრამ მსახიობს მაინც ბეწვის ხიდზე უწევს გავლა: აქ უეჭველად არსებობს გაიაფების საფრთხე და ამ საფრთხის თავიდან აცილება, ალბათ, უფრო ძნელია, ვიდრე მკაფიოდ გამოხატული დრამატიზმის გადმოცემა.

სოფიკო ჯერ ჩვენს თვალწინ ქმნის თეატრსა და თავის ვანიჩკაზე უზომოდ შეყვარებული ქალის პორტრეტს: მხრებაწურული, მკერდზე სასოებით მიკრული რედიკულით, დამფრთხალი მზერით, უხერხულობის გამომხატველი პროვინციული ჟესტ-მიმიკითა და მიხრა-მოხრით ჯერ მაყურებლის თანაგრძნობას მოიპოვებს და მერე მკვეთრ ფერებსა და გროტესკს აღარ ერიდება. ამ სპექტაკლში სოფიკოს პარტნიორობას უწევს მიხეილ ჯოჯუა, კინომსახიობისა და სარდაფის თეატრის მსახიობი, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, რომელსაც რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე ორჯერ ერგო მაღალი ჯილდო - ოქროს ნიღაბი. ეფექტურია მისი პირველი გამოჩენა, ჯარმოხდილი მეზღვაური მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს.

იადონას და ვანიჩკას ტკბილმწარე სიყვარულის ისტორია მოყვარულთა თეატრის სცენების ფონზე ვითარდება. ამ სცენებიდან ზომიერი იუმორითა და პაროდიულობით გამოირჩევა "რომეო და ჯულიეტას" და "ოტელოს" სცენები. "ოტელოში" ჩართული მავრიტანული ცეკვის პაროდია და ქუთაისური იუმორით შეზავებული ფინალური სცენა გულიან სიცილს იწვევს.

დაბოლოს, არ შეიძლება აღტაცების გარეშე ვილაპარაკოთ სენსანსის მომაკვდავი გედის სოფიკოსეულ "ინტერპრეტაციაზე". საერთოდ, სოფიკოს პლასტიკა ცალკე საკვლევი თემაა. იგი მჟღავნდება მის ნებისმიერ როლში, უმაღლეს ხარისხშია აყვანილი მის კინტოურში, იადონას მომაკვდავი გედის ფარფატმა კი სიცილი უნდა გამოიწვიოს და იწვევს კიდეც გულიან სიცილს, მაგრამ ეს სცენა მხოლოდ სიცილის მომგვრელი არაა. გროტესკთან შერწყმული ცეკვის ხელოვნება, ხელების გასაოცარი პლასტიკა, უმაღლესი ოსტატობით შესრულებული "ფრთების" რხევა გამაოგნებელია, ამ ფონზე ხელის უკანასკნელი გროტესკული გაფართხალება კი კვლავ სიცილს იწვევს და წარმოდგენაც ხალისიანად მთავრდება.

■ ■ ■

აქ მთავრდება ჩემი ნაამბობიც, რომელიც მაყურებლის შთაბეჭდილებას ეფუძნება და, ბუნებრივია, პროფესიული ანალიზის პრეტენზია ვერ ექნება.

აფიშა

თეატრები

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
პეტრე ჩაიკოვსკი
"მაკნატუნა"
ბალეტი ორ მოქმედებად
დამდგმელი დირიჟორი: ჯანსუღ კახიძე
დამდგმელი ქორეოგრაფი: იური გრიგოროვიჩი
დამდგმელი მხატვარი: სოლომონ ვირსალაძე
პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი: იური გეგეშიძე
დირიჟორი: გიორგი ჟორდანია
ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი: ნინო ანანიაშვილი
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
დევიდ გერი
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
რევაზ გაბრიაძე
"ჩვენი პატარა ქალაქი"
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
რეჟისორი: ზაზა მიქაშავიძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე.
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
"მეფე ლირი თავშესაფარში"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
კახა ბაკურაძე
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი
Nirvana
(Unplugged in New-York)
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

რუსთაველი
"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 17:00; 19:10 სთ.

"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

ამირანი
"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 18:00 სთ.

"საღამო ჟამს"
დას: 20:00; 22:00 სთ.

ცირკი
საშობაო-საახალწლო წარმოდგენა.
მოსკოვის საცირკო კოლექტივის ახალი პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

გამოფენები

TMS
თემო აბუთიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

ჰობი
საშობაო გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
ლერი ჭანტურიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

ვერა ქიქოძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)
II დარბაზი

კლუბები
"ბერლინი"
(ელბაქიძის 14)
"შედოუქეთი წარმოადგენს: "
Cache vs Crazy
დას: 22:00 სთ.
ფასი: 10 ლარი

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

თამაში "ნაბდის" წესებით

ჟურნალისტები სტილიზებული ფოლკლორის თეატრის სცენაზე

ვერა ნეფარიძე

მათი რაოდენობა, ვინც გუშინ ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არ გაემგზავრა, არც ისე ბევრი იყო; თუმცა, საკმარისი იმისათვის, რომ ასეთი ღირსშესანიშნავი თარიღი დედაქალაქშიც ეზეიმათ. ისე მოხდა, რომ ქართული თეატრის დღე თბილისში ოთხი თვის დაარსებულ სტილიზებული ფოლკლორის თეატრში გაიხსენეს, მერე რა, რომ გუშინდელი შეკრების მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა...

"ნაბდის" სცენაზე რადიოჟურნალისტები არიან.

ვახო ბესელიას ფოტოები

მუსიკალური პაუზა სტილიზებული ფოლკლორის თეატრში

მაშინ, როდესაც ავთანდილ ვარსიმაშვილი თანამოაზრეებთან ერთად გორში "ქართული თეატრის გილდიას" უყრიდა საფუძველს, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს - "ქართული თეატრის მეცენატის" პრემიას ანიჭებდნენ, ხოლო გორის თეატრს, მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, "ოქროს აფიშით" აჯილდოებდნენ, თეატრალები და ჟურნალისტები შესაშური სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. თუმცა, აქვე კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, ამ შემთხვევაში თეატრალებს მხოლოდ სტილიზებული ფოლკლორის თეატრის - "ნაბადი" დასი და ხელმძღვანელობა წარმოადგენს.

მაინც რა იყო გუშინდელი თავყრილობის მიზეზი და მიზანი? შეკითხვა სავსებით ლოგიკურია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ მასპინძელთა ხელგაშლილობას. მიზეზი მარტივია და ითქვა კიდეც შეხვედრის სანახაობრივი ნაწილის დასაწყისში: "ნაბადმა" დიდი თანადგომა იგრძნო მასმედიის მხრიდან, რამაც, ალბათ, ამ თეატრის წარმატებულ მოღვაწეობაზე დადებითი ზეგავლენა იქონია. ეს უკანასკნელი კი, რასაკვირველია, ჩვენს ეპოქაში, როდესაც ყველაფერს PR განსაზღვრავს, სულაც არ არის გასაკვირი.

როგორც ცნობილია, სტილიზებული ფოლკლორის თეატრი "ნაბადი" 18 სექტემბერს დაარსდა; დაბინავდა რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც კინოთეატრი "სპარტაკი" იყო; ხალხური სიმღერისა და ცეკვის შინაარსთან მიახლოებული სანახაობა; ქორეოგრაფიული და მუსიკალური ხერხებით გადმოცემული ხალხის ხასიათი, მითოლოგია, წარსული, - ასეთად წარმოგვიდგინეს მაშინ ახლად დაარსებული თეატრის მიმართულება; თეატრმა იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ მის რეპერტუარში არსებულ ჯერჯერობით ერთადერთ სანახაობაზე დასწრება 68 ლარი ღირდა. თუ გავითვალისწინებთ თეატრის სივრცეს, ფასსა და ამ ერთადერთი დადგმის ფორმას თუ შინაარსს, თავიდანვე ცხადი გახდებოდა, თუ რაზე იყო გათვლილი ამგვარი ჩანაფიქრი. სხვათა შორის, ჯერჯერობით სპექტაკლს მაყურებელი (სხვათა შორის, უცხოელებთან ერთად, ჩვენი "პოლიტიკური ელიტის" წარმომადგენლებიც აქტიურობენ) მრავლად ჰყავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი თეატრის იდეა დროული იყო და რაც უნდა ბევრი მოქილიკე გამოუჩნდეს "ნაბადს", ფაქტია, ის გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. მთავარია, ამ ფუნქციების აღრევა არ მოხდეს. მიღწეულით, როგორც ჩანს, თეატრის ხელმძღვანელობაც კმაყოფილია. ამიტომაც გუშინდელი ღონისძიება რაღაცნაირად გაწეული შრომის შეჯამებას ჰგავდა, როდესაც "ნაბადის" მესვეურებმა წარმატებული დასაწყისი ჟურნალისტების წრეში პომპეზურად აღნიშნეს; მიზეზად კი ძველით ახალი წელიცა და თეატრის საერთაშორისო დღეც ერთნაირად წარმატებულად გასაღდა.

"დღეს სცენას თქვენ გითმობთ", - "ნაბადის" სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ტურაბელიძის ადრესატი ჟურნალისტები იყვნენ. მაგრამ "ნაბადის" სცენა დასაწყისში მათთვის იყო "ხელმისაწვდომი", ვინც მასპინძელთა მიერ შედგენილ ნომინაციებში მოხვდებოდა და მერე მასპინძლებისვე შეთავაზებული თამაშის წესებით გამარჯვებას მოიპოვებდა.

ნომინაციები კი ამგვარი იყო: ყველაზე უხვსიტყვიანი სტატიის ავტორი (პრესის ჟურნალისტებისთვის), "ფოტოინტრიგა" (ფოტოგრაფებისთვის), "FM ნაბადის ხმა" (რადიოების წარმომადგენელთათვის) და "ყველაზე სხარტი TV" (ტელეჟურნალისტებისთვის). ნომინანტები ერთმანეთს სიმღერაში, ცეკვაში, ლექსიკური მარაგის ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. ნომინანტების გამოვლენის შემდეგ ჯერი მოდის ჩვენებაზე მიდგა; სტუმრებს ქეთი ჭაბუკიანისა და ანი ბაბილაშვილის თექისგან დამზადებული სამოსი გვაჩვენეს. იყო მუსიკალური პაუზებიც; საშუალება იმ ჟურნალისტებსაც მისცეს, ვისაც ხმამაღლა თეატრისადმი საკუთარი გრძნობების გამოხატვა მოუნდათ.

დაბოლოს, ყველას ერთად სცენაზე ეპატიჟებოდნენ. ის, ვინც მიპატიჟებას გარკვეული მიზეზებით ვერ იღებდა, გვერდითა ოთახში თავს ფურშეტით იქცევდა.

ისევ ვარდები

უილიამ კელი თავის ფერწერულ ტილოს გადასცემს ქართული ხელოვნების ნაციონალურ ცენტრს

ირაკლი კაკაბაძე

უილიამ კელი დღევანდელი დღის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და აღიარებული ვიზუალური ხელოვანია. ქალაქ გერნიკას მუნიციპალიტეტმა უილიამ კელის შეუკვეთა გერნიკას დაბომბვის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონიალის მხატვრული გაფორმება. მის მიერ გაკეთებულმა ინსტალაციამ თვით პიკასოს ნამუშევრის შემდეგ უდიდესი აღიარება დაიმსახურა მსოფლიო ხელოვნებისა და ჰუმანიზმის წრეებში.



უილიამ კელი

მისი ნამუშევრები ინახება გაერთიანებული ერების კოლექციაში (ჟენევა, შვეიცარია), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (მელბურნი, ავსტრალია), განათლების გაერთიანებულ ინსტიტუტში (ნიუ იორკი), დურბანის ხელოვნების გალერეაში (სამხრეთ აფრიკა), ავსტრალიის ნაციონალურ გალერეაში (კანბერა) და მთელი ქვეყნის ფარგლებში, დაახლოებით 50 სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტში და მუზეუმში.

1999 წელს უილიამ კელიმ შექმნა ფერწერული ტილო "ჰიმნი", რომელშიაც ვარდითა და იარაღით შეიარაღებული ადამიანები უპირისპირდებიან ერთმანეთს და ეს დაპირისპირება საბოლოო ჯამში სიყვარულად გადაიქცევა. ეს ნამუშევარი შევიდა "ჰუმანისტური ხელოვნების არქივის" კოლექციაში, სადაც ბევრი ცნობილი ავტორია შესული. ფერწერულმა ნამუშევარმა, ფაქტობრივად, იწინასწარმეტყველა ვარდების რევოლუცია. 2004 წლის მაისში კელიმ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი თავის ამ ნამუშევარს საქართველოს უსახსოვრებდა. 2005 წლის 27 იანვარს შედგება ამ ნამუშევრის გადაცემა საქართველოს ხელოვნების ნაციონალური ცენტრისათვის და საქართველოს პრეზიდენტისათვის.

უილიამ კელი - მხატვარი, ჰუმანისტი, მეუღლე და მამა.

დაბადებული - ბუფალოში (ნიუ იორკი).

ხელოვნების პირველი შემსწავლელი კურსი გაირა Albright-knox ხელოვნების გალერეაში.

სწავლობდა ხელოვნების უნივერსიტეტში (ფილადელფია, ა.შშ) და ნაციონალური გალერეის სკოლაში (მელბურნი, ავსტრალია).

იყო სამხრეთ პარკის ჯგუფის წევრი, ვიქტორიის ხელოვნების კოლეჯის დეკანი.

მუშაობდა მოხეტიალე ცირკთან ერთად.

ლექტორად იწვევდნენ იელისა და სხვა მრავალ უნივერსიტეტებში.

იგი ავსტრალიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის საპატიო წევრად აღიარეს.

მის პუბლიკაციებში შეგხვდებათ წიგნები ანარქიზმზეც.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრისგან მიღებული აქვს ძალადობის პრევენციის ჯილდო.

მას "ხალხის სინდისის ხმა" შეარქვეს.

მას აქვს სტუდიები: მელბურნი (ავსტრალია) და ბეთლეჰემი (პენსილვანიის შტატი, აშშ).

ამჟამად ცხოვრობს მელბურნში, ავსტრალია.

სანამ იქნებოდა „ბითლზი"

"ბი ბი სი"-ს საერთაშორისო სამსახურის ბოლო მუსიკალურ პროგრამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გადაცემის სტუმარი დრამერი ქოლინ ჰენტონი იხსენებდა სკოლის პერიოდს, როცა ის მოყვარული მუსიკოსების ჯგუფში ჯონ ლენონთან ერთად უკრავდა. სწორედ ჰენტონმა მოჰფინა ნათელი გუშინ ერთ საგულისხმო დეტალს. გაირკვა, რომ ლენონმა სულ ორი გაკვეთილის შემდეგ კინაღამ გიტარის სწავლა გადაიფიქრა, რადგან სწავლის პროცესი ძალიან რთულად მოეჩვენა. ამბობდა, ალბათ, მთელი ცხოვრება დამჭირდება, გიტარაზე დაკვრა წესიერად რომ შევძლოო. გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ შეცვალა, რაც თვითშემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელს ლონი დონეგანს მოუსმინა. მან ხომ იმ პერიოდში მსმენელებს იოლად დაუმტკიცა, რომ ინსტრუმენტზე დაკვრა ყველას შეეძლო, ვინც მოინდომებდა.

"ჩვენი ჯგუფიდან დიდი მუსიკალური კარიერის გაკეთების იმედი არავის ჰქონდა. არც ერთმანეთის ნიჭიერებას ვამჩნევდით და არც ის გვეგონა, რომ რაიმეთი განვსხვავდებოდით სხვა სასკოლო ჯგუფებისგან".

"თუმცა, ერთხელ გიტარისტმა ერიკ გრიფიტსმა და ჯონ ლენონმა სერიოზულად გადაწყვიტეს, გიტარაზე დაკვრა სრულყოფილად ესწავლათ. სულ ორ გაკვეთილზე იარეს და თავი დაანებეს, - ამას მთელი ცხოვრება დასჭირდებაო. მაგრამ მერე სცენაზე ლონი დონეგანი გამოჩნდა და თქვა - "ერთადერთი, რაც გჭირდებათ, არის სამი სიმი და რაღაც მელოდია, რომ ამ სიმებზე ჩამოჰკრათ". ამ ფრაზაში იმდენად იოლად იყო დახატული სწავლის პროცესი, რომ მეორე დღეს ყველა მის ჯგუფს შეუერთდა. ბავშვები მიხვდნენ, რომ სულაც არ იყო საჭირო რაღაც გრანდიოზული ტალანტის გამოვლენა. და რომ თუ სიმებზე თითს ჩამოჰკრავდი, ყველაფერი კარგად იქნებოდა".

"ქუარიმენი" ლენონმა გრიფიტსებთან და პიტ შოტონთან ერთად ლივერპულში, ქუარი ბენქის სკოლაში 1957 წერლს ჩამოაყალიბა. ჯგუფს პოლ მაკარტნიც შეუერთდა მას შემდეგ, რაც ბიჭებს საეკლესიო კონცერტზე მოუსმინა. მერე მას ჯორჯ ჰარისონიც მიჰყვა.

იმ ისტორიულ შეხვედრას ლენონსა და მაკარტნის შორის, ბასისტი ლენ გერი ასე იხსენებს: "ყველას ჩვენ-ჩვენი ვერსია გვაქვს. მე პირადად მახსოვს, რომ პოლმა ლითლ რიჩარდს მიბაძა შესრულებაში და მე ჯონს ვუთხარი, - "კაი ტიპი ჩანს, მოდი, ავიყვანოთ". ბანჯოზე დამკვრელი როდ დევისი კი ამტკიცებს, რომ მაკარტნი ჯგუფში იმიტომ მიიღეს, რომ ის კარგად უკრავდა გიტარაზე. "მე ბანჯოზე ვიყავი მიმაგრებული, მაგრამ ჯონი და ერიკი გიტარაზე ბანჯოს ჰარმონიით უკრავდნენ. როცა პოლი გამოჩნდა, მან ბიჭებს გიტარაზე სწორად დაკვრა ასწავლა. ამან ჩვენი ჟღერადობა საოცრად გააუმჯობესა".

მაგრამ დევისმა ისიც აღიარა, რომ თავისი ვერსია აქვს მაკარტნისაც. ის ამბობს, რომ მან ჯგუფში ადგილი მას შემდეგ მოიპოვა, რაც სიმღერა Twenty Flight Rock შეასრულა. დევისმა დასძინა: "მე კი ეგ საერთოდ არ მახსოვს. შეიძლება იქ სულაც არ ვიყავი, ან ტუალეტში მომინდა, ან რაღაც სხვა მიზეზი მქონდა. არადა, რა დასანანია, უდიდესი მომენტი როკ-ენ-როლის ისტორიაში და მე მას რაღაც სულელური მიზეზის გამო ვერ დავესწარი".

მას შემდეგ რაც "ქუარიმენში" მაკარტნი და ჰარისონი მივიდნენ, დანარჩენი დამფუძნებელი წევრები ნელ-ნელა ჩამოშორდნენ ბიჭებს. მათ კი ჯერ სახელი "ჯონი და მუნდოგსად" გადაიკეთეს, შემდეგ - "ბითლზად".

თუმცა, ახლა ჰანტონი, გრიფიტსი, ბანჯოზე დამკვრელი როდ დევისი და ბასისტი ლენ გერი პირველ ერთობლივ სტუდიურ ალბომს უშვებენ. კრებული Songs We Remember შეიცავს იმ მელოდიებს, რომელთაც "ქუარიმენი" ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე უკრავდა. ალბომი ბრიტანეთში გაყიდვაში ორშაბათიდან ჩაეშვება.

ამ დღეს "ბითლზის" მუსიკის კოლექციონერები დიდი ამბით ელიან. "ქუარიმენი" ხომ პირვანდელი სახით ერთად მათ დიდი ინტერვალის შემდეგ უკანასკნელად 1997 წელს იხილეს, კონცერტს მაშინ ტურნე და ცოცხალი ჩანაწერებით სავსე ალბომიც მოჰყვა.

Songs We Remember კი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის "ქუარიმენის" პირველი სტუდიური ჩანაწერია; თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით სინგლს, რომელიც 1950-იანი წლების ბოლოს გამოვიდა. მასში შედიოდა ბადი ჰოლის That'll Be The Day "ქუარიმენის" ვერსიით და ლენონისა და მაკარტნის დაწერილი სიმღერა In Spite Of All The Danger. ეს ჩანაწერები დღემდე არსებობს. ახლახან ისინი "ბითლზის" ანთოლოგიაშიც კი შეიტანეს.

ასე რომ, ორშაბათს კიდევ ერთხელ გაცოცხლდება "ბითლზის" ისტორია და "ქუარიმენი" მსმენელის წინაშე პირვანდელი სახითა და სტუდიური ჩანაწერით პირველად წარდგება.

სამუდამო განსასვენებლის მისამართი იცვლება

ბობ მარლის მეუღლე დიდ აქციას გეგმავს. ის აპირებს, მარლის გვამი იამაიკიდან თავის ჭეშმარიტ "სულიერ განსასვენებელში" - ეთიოპიაში გადაასვენოს.

ზუსტ დღეს არ ასახელებენ, მაგრამ ცნობილია, რომ ეთიოპიაში თებერვლიდან დაიწყება მარლის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთთვიანი ღონისძიებები და გადასვენებაც ზუსტად ამ პერიოდისთვის იგეგმება. ქვეყნის ეკლესია და მთავრობა ინიციატივას მხარს უჭერს, - აცხადებს რიტა მარლი და დასძენს: "იდეის განსახორციელებლად ძალებს არ დავიშურებ. ეს თავად ბობის პირადი მისიის ნაწილი იქნება". მისივე ცნობით, კუბოს შაშემენეში, ადის აბებადან 250 კმ.-ზე მდებარე ქალაქის სასაფლაოზე დაასვენებენ. იქ უამრავი რასტაფარიანელი ცხოვრობს მას შემდეგ, რაც ეთიოპიის უკანასკნელმა იმპერატორმა ჰაილი სელასიმ ისინი შეიფარა. მაშინ ათობით ათასმა იამაიკელმა მეფე ჰაილი ცოცხალ ღმერთად აღიარა და რასტაფარიანელთა რელიგიური მოძრაობის ლიდერად გამოაცხადა. მათი რწმენით, რასტაფარიანელები შეზრდილები არიან ბუნებასთან, გრძელ თმას მრავალ წვრილ ნაწნავად იკრავენ და მარიხუანას ისე ეწევიან, როგორც რელიგიური რიტუალის ნაწილს.

"მარლი ამ რწმენის ერთგული წარმომადგენელი იყო. მთელი მისი ცხოვრება აფრიკასთანაა დაკავშირებული და არა იამაიკასთან. როგორ შეიძლება კუნძული არჩიო, როცა მთელი კონტინენტი გაქვს? მას აქვს უფლება, იქ განისვენოს, სადაც უნდოდა. ეს მისი მისია იყო. ეთიოპია მისი სულიერი განსასვენებელია", - აცხადებს რიტა, კუბაში დაბადებული მომღერალი, რომელიც 1966 წელს გაჰყვა მარლის ცოლად.

რიტას დამსახურებაა ისიც, რომ ეთიოპიაში მარლის დაბადების დღეს კონცერტებითა და სხვა გასართობი ღონისძიებებით აღნიშნავენ. მოგებული თანხით კი ეთიოპიის ღარიბ ოჯახებს დაეხმარებიან.

ათეულები

ნლის გესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	რეიტინგი
ალენ კარი	"ბოლო სიგარეტი - მარტივი გზა"	"რუსთაველი-2 პრესტიჟი"	170
გორა მანველიძე	"შვლები"	"ნაბა "თბილისელები"	90
ლაშა ბუღაძე	"მუსიამე სარიოული"	"არეტე"	80.8
ო. გოლიაძე	"ქართველ მწერალთა პოეტიკაფიები"	"ლიტერა"	77.6
ირაკლი წერეთელი	"არზოტის საბეგი"		64
მადონა	"ინგლისის ეარდები"	"არეტე"	62.4
აკა მორჩილაძე	"მოგზაურობა ყარაბაღში"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	58.8
ქაბუა ამირეჯიბი	"ეროვნი პრინციპალე"	"ბაკი"	55.2
პაველ კოელიო	"ალქიმიკოსი"	"ნეტერი"	50
ჯოან როულინგი	"ჰარი პოტერი და სიიდუმლო ოთახი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	49.6

2004 ნლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმი	რეჟისორი	მსახიობი	კინოსტუდია	ნლის შემოსავალი $
"ჰარეი-2"	[illegible]	[illegible]	"სონი პიქჩერსი"	441,226,247.00
"კატაოობა-2"	[illegible]	[illegible]	"სონი"	373,585,825.00
"ლონდონ ეგზამენი"	[illegible]	[illegible]	"ნიუ ლინი"	370,274,604.00
"ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე"	[illegible]	[illegible]	"ვარნერ ბრადერსი"	249,541,069.00
The Incredibles	[illegible]	[illegible]	"ბუენა ვისტა"	242,435,976.00
"ლეგენდა ზეციერ ბრძოლა"	[illegible]	[illegible]	"ფოქსი"	186,740,799.00
"ბიოწინ ეზოსანი"	[illegible]	[illegible]	"ფოქსი"	176,236,042.00
"ეგზაბის ზღაპარი"	[illegible]	[illegible]	"ფარამაუნტი"	159,748,155.00
"ბეტ ოთხეული"	[illegible]	[illegible]	"ფოქსი"	144,795,350.00
"ეროვნული განძი"	[illegible]	[illegible]	"ბუენა ვისტა"	141,064,753.00

2004 ნლის ყველაზე პოპულარული ჩანაწერები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

სათაური	შემსრულებელი	ნლის ჩამწერი სტუდია
YEAH!	[illegible]	"ლი ფეის/ზომბა"
BURN	[illegible]	"ლი ფეის/ზომბა"
IF I AIN'T GOT YOU	[illegible]	"ჯეი/არისტა"
THIS LOVE	"ბარეტ ჯ"	"ოქტოენი"
THE WAY YOU MOVE	"[illegible]" და [illegible]	"ლი ფეის/ზომბა"
THE REASON	"ჰეზასიასტ"	"[illegible]"
I DON'T WANNA KNOW	[illegible]	"ჰეგ ბოი"
HEY YA!	"[illegible]"	"ლი ფეის/ზომბა"
GOODIES	[illegible]	"[illegible]"
LEAN BACK	"[illegible]"	"[illegible]"

ინფორმაცია

ვან გაალი "ალკმაარში"?

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა განაცხადა, რომ მზად არის, მომავალი წლიდან სათავეში ჩაუდგეს ჰოლანდიის "ალკმაარს". "როიტერი" გვამცნობს, რომ კონტრაქტი სამ წელიწადზეა გათვლილი. "ჩემი გადაწყვეტილება, "ალკმაარს" ჩავუდგე სათავეში, სამმა კრიტერიუმმა განაპირობა: კლუბს აქვს სტაბილური საორგანიზაციო სტრუქტურა. მწამს, რომ შემიძლია ჩემი საქმე ხარისხიანად შევასრულო და ამ საქმეში კლუბის ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერა მაქვს. დაბოლოს, კლუბის ამბიციები სავსებით შეესაბამება ჩემსას", - განაცხადა ვან გაალმა.

"რეალმა" პორტილიო დაიბრუნა

ფორვარდი ხავიერ პორტილიო, რომელიც იჯარის წესით ფლორენციის "ფიორენტინაში" თამაშობდა, მადრიდის "რეალში" დაბრუნდა. ამის შესახებ უეფას ოფიციალური საიტი იუწყება. 22 წლის ფეხბურთელი იტალიურ კლუბში იჯარით ზაფხულში გაანათხოვრეს, რადგან "სამეფო კლუბმა" ინგლისელი მაიკლ ოუენი შეიძინა. თუმცა, ამ დღეებში ფერნანდო მორიენტესი "ლივერპულმა" შეიძინა და მადრიდელებმაც გადაწყვიტეს, ახალგაზრდა ფორვარდი გუნდში დაებრუნებინათ. "რეალი" იმასაც ფიქრობდა, რომ ძირითად გუნდში სარეზერვოდან რობერტო სალგადო გადაეყვანა, მაგრამ ბოლო მომენტში კლუბის ხელმძღვანელობის არჩევანი პორტილიოზე შეჩერდა.

გრავესენმა "რეალთან" კონტრაქტი გააფორმა

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისის "ევერტონისა" და დანიის ნაკრების ნახევარმცველ ტომას გრავესენს "სამეფო კლუბთან" კონტრაქტისთვის უნდა მოეწერა ხელი. ფეხბურთელის აგენტი აცხადებდა, რომ მისი კლიენტი მადრიდულ გრანდთან შაბათს, სამედიცინო შემოწმების შემდეგ გააფორმებდა კონტრაქტს. თუმცა, აგენტმა განაცხადა: "გუშინ ტელეფონით მივიღე ინფორმაცია, რომ კლუბმა და ფეხბურთელმა ყველა ფორმალობა უკვე მოაგვარეს". გრავესენი მადრიდში გუშინ ჩავიდა. "როიტერის" ცნობით კი, ფეხბურთელმა მადრიდის "რეალთან" კონტრაქტი უკვე გააფორმა. კონტრაქტი 3,5 წელიწადზეა გათვლილი და სატრანსფერო თანხამ 3,5 მილიონი ევრო შეადგინა.

"ფიორენტინას" ბომბარდირი მოუნდა

ფლორენციის "ფიორენტინა" მზად არის, მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისის "ლივერპულთან" ჩეხეთის ნაკრების ფორვარდის მილან ბაროშის შეძენის თაობაზე. საინტერესოა, რომ იტალიური კლუბი ბაროშის შეძენით ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში იყო დაინტერესებული. თავის მხრივ, "ლივერპული" ფეხბურთელს იმ შემთხვევაში შეელევა, თუ მის სანაცვლოდ 8 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ფეხბურთი

მეცამეტე და უკანასკნელი?

მიხეილ აბაიშვილი

თემურ სუხიტაშვილის ფოტო

დსთ-ს თასის შარშანდელი გამარჯვებული თბილისის "დინამო" ტურნირზე წელს არ ითამაშებს.

თანამეგობრობის თასის მეცამეტე გათამაშება, რომელიც მოსკოვში დღეს აიღებს სტარტს, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს. კარგა ხანია პოსტსაბჭოური სივრცის წამყვანი კლუბები აღფრთოვანებული აღარ არიან ამ ტურნირში მონაწილეობით. მით უფრო, რომ თანამეგობრობის თასზე ჩატარებული თამაშები საკმაოდ გასხვავდება ნამდვილი ფეხბურთისგან - მატჩები ხელოვნურ საფარზე, თანაც, დახურულ მანეჟებში ეწყობა.

თანამეგობრობის თასმა რომ დრო მოჭამა, ამაზე მაყურებლისა და სპონსორთა საგრძნობლად შენელებული ინტერესიც მეტყველებს. ამ აზრს იზიარებს ტურნირის მთავარი ორგანიზატორი, რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რომელიც შეწუხებულია ტურნირის მიმართ მეცენატების ინდიფერენტულობით. ამის გამო სწორედ რუსეთის საფეხბურთო კავშირს უხდება სოლიდური საორგანიზაციო ხარჯების გაწევა. ნათელი ხდება, რომ ამ სახით ტურნირის არსებობა აღარავის სჭირდება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში "თანამეგბრობის თასი" განიხილებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთგვარი სახეცვლილება და მემკვიდრე. ამ მოსაზრებას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. პირველ წლებში მხოლოდ უკრაინული გუნდები უარობდნენ ტურნირში მონაწილეობას. სადებიუტო ტურნირში მონაწილეობა არ მიიღო უკრაინის მაშინდელმა ჩემპიონმა სიმფერპოლის "ტავრიამ", მეორე წელს კი - კიევის "დინამომ". თუმცა, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი თბილისის "დინამო", ბელორუსისა და ბალტიისპირეთის გუნდები მოსკოველი გულშემატკივრების სათანადო ყურადღებას მაინც იმსახურებდნენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ გათამაშებებში ყველაზე დიდ ინტერესს მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" დაპირისპირება იწვევდა. ამ წლებში მათი გზები ორჯერ გადაიკვეთა: ერთხელ ნახევარფინალურ, ხოლო მეორედ - ფინალურ სტადიაზე. ორჯერვე მოსკოველებმა გაიმარჯვეს. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ იმ მატჩებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოედნის საფარმა, რომელიც ახალგაზრდული "დინამოსთვის" სრულიად უცხო იყო.

"სპარტაკის" ჰეგემონია დაამხო "სპარტაკ - ალანიამ", რომელმაც 1995 წელს რუსეთის ჩემპიონატი მოიგო და, შესაბამისად, ტურნირში საკუთარი ქვეყნის წარდგენის უფლება მოიპოვა. თუმცა, ალანებს მასში გამარჯვება არ ეწერათ, რადგან, პირველად მის ისტორიაში, კიევის "დინამომ" უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანა მოსკოვში და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ტურნირის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს 1997-2000 წლები, როდესაც ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ "სპარტაკი" და კიევის "დინამო". კიეველები ამ წლებში არ თაკილობდნენ უძლიერესი შემადგენლობის ჩამოყვანას და ფინალებიც დაძაბული გამოდგა. 2000 წლის შემდეგ ტურნირის მიმართ ინტერესმა თანდათან იკლო. ჯერ კიევის "დინამომ" გადაწყვიტა დუბლშემადგენლობის გამოგზავნა. მას მხარი აუბეს რუსეთის ჩემპიონებმაც - "ლოკომოტივმა" და "ცსკამ", რამაც სპონსორთა მხრიდან დამოკიდებულების შეცვლა გამოიწვია.

ნამდვილად არ მინდა დავაკნინო თბილისის "დინამოს" შარშანდელი წარმატება. ჩვენმა ჩემპიონმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა ამ ტურნირში (თუ არ ჩავთვლით ქვეჯგუფში გამართულ ერთ მატჩს - ფრე "სკონტოსთან"), ყველა დანარჩენში დამაჯერებლად გაიმარჯვა და ტურნირის ტრიუმფატორიც გახდა. თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შარშან "ცსკამ" და კიევის "დინამომ" არათუ დუბლშემადგენლობები, სულაც ახალგაზრდული გუნდები მიავლინეს ტურნირზე, რამაც მას დიდი დაღი დაასვა. რუსები და უკრაინელები წელსაც იგივეს აპირებენ. თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ ასეთ ტურნირში მონაწილეობა ღირსების შელახვად მიიჩნია, ამიტომ მოსკოვში გამგზავრებასა და ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა. შეიცვალა ტურნირის ფორმატი, რომლის მიხედვითაც უკრაინელებსა და რუსებს მხოლოდ ნახევარფინალურ სტადიაზე, ჯგუფური ეტაპის გამოტოვებით მოუწევთ მასში ჩაბმა. გასაგებიცაა, რომ ასეთი დიფერენციაცია შეურაცხმყოფელია ისეთი გუნდისთვის, როგორიც თბილისის "დინამოა", რომელიც საერთაშორისო არენაზე ბევრად უფრო ტიტულოვანია, ვიდრე ერთად აღებული რუსეთის ყველა გუნდი. თუმცა, საქართველო დსთ-ს ამ მეცამეტე თასზე წარმომადგენლის გარეშე მაინც არ დარჩება. გუშინ მოსკოვში გაემგზავრა თბილისის "თბილისი", რომელიც ჯგუფური ტურნირიდან გაიკვლევს გზას მთავარი პრიზისკენ. თუ ცაკარიასის გუნდი ქვეჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს, ნახევარფინალში მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობასთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა, რაც ახალგაზრდული "თბილისისთვის" ურიგო სპარინგი არ იქნება.

რაც შეეხება ტურნირის სამომავლო პერსპექტივას, სიტუაცია ძალზე ბუნდოვანია. ორგანიზატორები დანამდვილებით ვერ ამბობენ, წლევანდელი ტურნირი უკანასკნელი იქნება თუ არა. ამ საკითხს მხოლოდ 23 იანვარს, ფინალის შემდეგ მოეფინება ნათელი.

ინფორმაცია

მოურინიო ის კაცია, ვისთვისაც ფეხბურთელები თამაშობენ

მადრიდის "რეალის" ინგლისელმა ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ თუ ლონდონის "ჩელსიში" მისი შესაძლო ტრანსფერი განხორციელდება, ის მოხარული იქნება, ლონდონელებს ყველაზე დიდი წარმატებების მიღწევაში დაეხმაროს. ამის შესახებ ბექჰემმა ესპანურ მედიას განუცხადა. "ესპანეთში ბედნიერი ვარ, მაგრამ მოურინიოს გუნდში თამაშის შესაძლებლობაც არანაკლებ საინტერესოა. მის გუნდში ყველა ფეხბურთელი ცდილობს, პირველიდან უკანასკნელ წუთამდე ბოლომდე დაიხარჯოს. მოურინიო ის მწვრთნელია, რომლისთვისაც ფეხბურთელებს თამაში სურთ", - განაცხადა ბექჰემმა. როგორც ცნობილია, მადრიდში ვანდერლეი ლუქსემბურგოს მისვლის შემდეგ ბექჰემისთვის "სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი აღარ მოიძებნება.

არასოდეს მითქვამს, "ინტერიდან" წასვლა მინდა-მეთქი

ევროპის 2004 წლის ჩემპიონმა, ბერძენმა ნახევარმცველმა გიორგიოს კარაგუნისმა განაცხადა, რომ არასოდეს გამოუთქვამს მილანის "ინტერიდან" წასვლის სურვილი და არც სხვა კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. იტალიის თასის მატჩის შემდეგ "ბოლონიის" წინააღმდეგ კარაგუნისმა განაცხადა, რომ სურს, კარიერა "ინტერში" გააგრძელოს. "ყველაფერი, რაც გაზეთებში ჩემს შესახებ ეწერა, თითქოს "ინტერის" დატოვება მინდა, მართალი არ არის. არასოდეს მითქვამს, რომ კლუბის დატოვებას ვაპირებ. მართალია, მინდა უფრო მეტი ვითამაშო, ვიდრე მწვრთნელი მაძლევს ამის საშუალებას, მაგრამ ეს იმით არის გამოწვეული, რომ "ინტერში" მრავალმა უმაღლესი კლასის ოსტატმა მოიყარა თავი და ისინი დროდადრო მინდორზე ერთმანეთს ენაცვლებიან. მინდა, საფეხბურთო კარიერა "ინტერში" განვაგრძო", - განაცხადა კარაგუნისმა. ცნობილია, რომ ბერძენი ფეხბურთელით ინგლისური "მიდლსბრო", პორტუგალიის "ბენფიკა" და ესპანეთის "მალიორკა" იყვნენ დაინტერესებული.

ბრაიანტმა ტრავმა მიიღო

მარჯვენა ფეხის ტრავმის გამო "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მცველი კობი ბრაიანტი კალათბურთს გაურკვეველი ვადით გამოეთიშა. ბრაიანტმა "კლივლენდთან" მატჩის პირველ მეოთხედშივე მიიღო ტრავმა. "წინასწარი შემოწმების შემდეგ ექიმებმა მითხრეს, რომ კალათბურთს რამდენიმე კვირით გამოვეთიშები. თუმცა, ტკივილი, რომელსაც ახლა ვგრძნობ, საკმაოდ ძლიერია, ამიტომ სამედიცინო შემოწმებას კიდევ გავივლი. ამის შემდეგ უფრო კონკრეტულად მეცოდინება, როდემდე არ ვითამაშებ", - მატჩის შემდეგ განაცხადა კობი ბრაიანტმა.

ფერნანდო მორიენტესი:

"რეალი" არასოდეს დამავიწყდება"



ფერნანდო მორიენტესმა ინგლისის "ლივერპულთან" 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და უკან მოიტოვა მადრიდის "რეალში" გამოსვლის რვა წელი. მორიენტესმა ინგლისში გამგზავრების წინ მადრიდში უკანასკნელი პრესკონფერენცია გამართა.

ფეხბურთელი უკანასკნელად გამოვიდა ლას-როსასის ბაზაზე მდებარე საკონფერენციო დარბაზში, რომ გულშემატკივრებს დამშვიდობებოდა, მადლობა გადაეხადა მათთვის დაუვიწყარი რვა სეზონისთვის, რომლის მანძილზეც ფეხბურთელმა ბევრი სხვადასხვა ჯილდო მოიგო. ფერნანდომ აღიარა, რომ მადრიდის "რეალი" მუდამ დარჩება მის სახლად და ამ ბედნიერ წლებს არასოდეს დაივიწყებს.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, შემოგთავაზოთ ნაწყვეტები პრესკონფერენციიდან, რომელსაც ემილიო ბუტრაგენიო და არიგო საკი ესწრებოდნენ.

"მე "ლივერპულში" მივდივარ. დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, ყველაფერი ავწონ-დავწონე და ბოლოს ეს გადაწყვეტილება მივიღე. მივდივარ ისე, როგორც მინდოდა წავსულიყავი. მე კლუბს ვუთხარი, რომ თამაში მსურდა. რამდენიმე წინადადება შემომთავაზეს. ჩემი აზრით, მათ შორის საუკეთესო "ლივერპულიდან" იყო. კმაყოფილი მივდივარ, მაგრამ გარკვეულწილად გულიც მტკივა, რადგან ძნელია, უკან მოვიტოვო ჩემი ცხოვრების რვა წელიწადი".

"მინდა, სულითა და გულით მადლობა მოვახსენო კლუბს, რომელმაც რვა წლის განმავლობაში უხვად მომცა ის ყველაფერი, რაც ჩემი სპორტული კარიერისთვის იყო საჭირო. აქ გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი და ადამიანი და კლუბის მიმართ მხოლოდ მადლიერების სიტყვების წარმოთქმა შემიძლია. გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობას მოვახსენებ და ვამაყობ იმით, რომ "რეალის" მაისურა მეცვა. მაქვს ჯილდოების მთელი არსენალი და მივდივარ იმ გრძნობით, რომ ჩემი წვლილი შევიტანე გუნდის უფრო განდიდებაში. მივდივარ, მაგრამ ყოველთვის თვალს მივადევნებ ამ კლუბის გამოსვლებს, კლუბისა, რომელიც ყოველთვის დარჩება ჩემს სახლად და მუდამ ჩემს გულში იქნება".

"ეს კლუბი მუდამ ჩემს გულში იქნება. ჩემი სახლიდან მივდივარ იმისთვის, რომ ოდესმე ისევ დავბრუნდე. ამაში დარწმუნებული ვარ. ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და ამ ეტაპზე დიდი იმედებით გადავდივარ. იქნებ უკეთესი ყოფილიყო, სეზონის დასაწყისში წავსულიყავი, მაგრამ წუთითაც არ ვნანობ, რომ აქ კიდევ ექვსი თვე გავატარე. მართალია, ეს თვეები მაინცდამაინც წარმატებული არ ყოფილა, მაგრამ ამ თვეებით სიამოვნებას განვიცდიდი. თუმცა, კმაყოფილი მივდივარ და მინდა, ისინი, ვისაც ვუყვარვარ, ჩემსავით კმაყოფილნი იყვნენ".

"ეს ექვსი თვე ჩემთვის ძალიან წარმატებული არ ყოფილა. რაკი ეს გადაწყვეტილება მივიღე, ესე იგი, რაღაც ისე არ იყო, როგორც მინდოდა. სხვა გამოსავალი არ მქონდა. კლუბისთვის ჩემი გადაწყვეტილება უნდა ამეხსნა. მადრიდის "რეა,ლს" მადლობას მოვახსენებ იმისთვის, რომ "ლივერპულში" გადასვლის საშუალება მომცა. არადა, ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო სარფიანი წინადადებებიც იყო. ჩემით ძალიან დაინტერესებული იყო "ლიონი", მაგრამ მე "ლივერპულს" სიტყვა მივეცი. ამასთან, "ლიონი" "მონაკოს" მეტოქეა. მე კი ერთი წელი სწორედ მონაკოში გავატარე. ეს გადამწყვეტი არ იყო, მაგრამ "ლიონის" წინადადება გვიან მოვიდა. თანაც, მე ინგლისისკენ უფრო მიმიწევდა გული".

"რომელი მოგონებაა ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო? ვერ გამოვარჩევ. როცა კლუბში მოვედი, ძალიან მინდოდა, რომელიმე ჯილდო მომეგო. ამიტომ მაინც ევროპის პირველ თასს ავირჩევდი. ვწუხვარ, რომ ვტოვებ ჩემს მეგობრებს, რომლებიც აქ ბევრნი არიან. თუმცა, თვითმფრინავები სასნაულებს ახდენენ და იმედი მაქვს, დროდადრო ჩემი მეგობრების ნახვის საშუალება მომეცემა. ვინ მოახდინა ამ რვა წლის განმავლობაში ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა? რა თქმა უნდა, რაულმა. მას ძალიან თბილად დავემშვიდობე".

"ხვალ "ლივერპულში" მივდივარ და ყოველ ღონეს ვიხმარ იმისთვის, რომ კლუბს კიდევ უფრო განდიდებაში დავეხმარო, თუმცა, მას ისედაც უდიდესი ისტორია აქვს. გადაწყვეტილება წასვლის შესახებ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. მე ბევრს ვიშრომებ, როგორც რიგითი მოთამაშე, რათა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო. "ლივერპულში" გადასვლით უაღრესად შთაგონებული ვარ, რადგან ამ კლუბში ბევრი ესპანელი თამაშობს და მწვრთნელიც ესპანელია. ჩემი პირველი მატჩი კი "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ შედგება. ასე რომ, უკეთესს ვერც ვინატრებ. იმედი მაქვს, განაცხადში ჩემს შეყვანას მოასწრებენ და მინდორზე რამდენიმე წუთით მაინც გამოვალ".

ემილიო ბუტრაგენიო: "მორიენტესს ბედნიერებას ვუსურვებ ცხოვრების ახალ ეტაპზე. ფერნანდო ბევრი ტიტულის მოპოვებაში დაგვეხმარა. მათ შორის სამი ჩემპიონთა ლიგის თასია".

არიგო საკი: "ძალიან მწყდება გული, რომ ფერნანდო მორიენტესი მიდის. მას დიდ წარმატებებს ვუსურვებ. დე, ყველაფერი კარგად წაუვიდეს. ჩვენ მასში უაღრესად დარწმუნებულნი ვიყავით. ფერნანდოს ვთხოვდი, დარჩენილიყო. ჩვენ მას დიდ ვატივს ვცემთ როგორც ფეხბურთელსა და როგორც ადამიანს. მან მიპასუხა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო და ჩვენ ვერ გადავარწმუნებდით".

ინფორმაცია

"ისტრმა" ბაკაიოკო შეიძინა

საფრანგეთის "ისტრმა" კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ იბრაგიმ ბაკაიოკოსთან. ადრე ეს ფეხბურთელი ესპანეთის "ოსასუნას" ღირსებას იცავდა. კონტრაქტი ხუთ თვეზე არის გათვლილი. ბაკაიოკო "ისტრს" საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩენებაში უნდა დაეხმაროს.

ბერგერი "ვილაში" გადადის?

ინგლისური პრემიერლიგის კლუბი "ასტონ ვილა" ინტერესს ავლენს "პორტსმუთის" ვეტერანი ჩეხი ნახევარმცველის პატრიკ ბერგერის მიმართ. ჩეხური პრესის ცნობით, ამის შესახებ პარასკევს ფეხბურთელის აგენტმა პაველ პასკამ განაცხადა. ბერგერი "პორტსმუთთან" მოქმედი კონტრაქტით მიმდინარე წლის ზაფხულამდე არის დაკავშირებული. "ასტონ ვილას" ვარიანტი შეიძლება ფეხბურთელის კარიერისთვის იმპულსის მიმცემი ყოფილიყო, რადგან "პორტსმუთი" ინგლისში პოპულარობით მეხუთე ადგილზეა", - განაცხადა პასკამ.

პეტროვს "ევერტონი" არ უნდა

გლაზგოს "სელტიკისა" და ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველი სტილიან პეტროვი არ დათანხმდა ინგლისის "ევერტონში" გადასვლაზე. ბულგარული პრესის ცნობით, ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა ლუჩეზარ ტანევმა განაცხადა. "პეტროვი "სელტიკში" ბედნიერია, ამიტომ მას ახლო მომავალში კლუბის შეცვლა არ სურს. პეტროვის სხვა კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით რეალური მოლაპარაკებები შეიძლება მხოლოდ 2007 წლის ივნისის შემდეგ დაიწყოს, როცა მას მოქმედი კონტრაქტი დაუმთავრდება", - განაცხადა ტანევმა. "ევერტონი" კი, თავის მხრივ, პეტროვის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს იხდიდა.

ჰენმანი ბრიტანეთისთვის არ ითამაშებს

ბრიტანელმა ჩოგბურთელმა ტიმ ჰენმანმა უარი განაცხადა, დევისის თასზე დიდი ბრიტანეთის სახელით ითამაშოს. ჩოგბურთელის თქმით, იმის გამო, რომ ბრიტანელები დევისის თასის უმაღლეს ჯგუფში არ გამოდიან, მისთვის ძნელია, სანაკრებო მატჩები ინდივიდუალურ ტურნირებს შეუხამოს.

ტაისონი ვარჯიშობს

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მაიკ ტაისონი ფლორიდის შტატის ქალაქ გიფორდში Elite Boxing-ის დარბაზში ვარჯიშს შეუდგა. ეს დარბაზი ცნობილ კრივის მწვრთნელს ბადი მაკგირტს ეკუთვნის. მაკგირტმა განაცხადა, რომ ახლა ტაისონი ფიზიკურად ემზადება. ის ცდილობს, სპორტული ფორმა დაიბრუნოს. მწვრთნელმა არ იცის, აქვს თუ არა ტაისონს გეგმაში უახლოეს თვეებში რინგზე გასვლა. თუმცა, მან გააქარწყლა ხმები იმის თაობაზე, რომ მოკრივე რინგზე შეიძლება უკვე მარტში გავიდეს. "ეს ნაკლებად სავარაუდოა", - განაცხადა მაკგირტმა. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ტაისონი მის დარბაზში კიდევ რამდენიმე თვეს გაატარებს.

"ფერარის" ახალი ბოლიდი ესპანეთში გამოვა

ფორმულა 1-ის გუნდის "ფერარის" შეფმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ ახალი ბოლიდი 2005 წლის სეზონის რბოლებში მხოლოდ მაისში, ესპანეთის გრან-პრიზე იასპარეზებს. ამის შესახებ ჟან ტოდტმა იტალიელ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე განუცხადა. "ჩვენ 2005 წლის სეზონს F2004 B ვერსიის ბოლიდით დავიწყებთ. თუმცა, მცირე ცვლილება იქნება. ახალ ბოლიდს, რომელზეც 2005 წელს "ფერარის" პილოტები იასპარეზებენ, თებერვლის ბოლოს წარმოვადგენთ.

ამდენად, ჩვენს გეგმებში არ შედის პირველ ოთხ რბოლაში ახალი ბოლიდით მონაწილეობა", - განაცხადა ტოდტმა.

სათხილამურო სპორტი

პრემიერა თოვლში

სუპერგიგანტის მონაწილე ქალებს, რომლებმაც იტალიაში, კორტინა დ`ამპეცოს დოლომიტების ფერდობებზე მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი გაითამაშეს, გუდა-ნაბადის აკვრა და მეხუთე ეტაპისთვის სხვაგან წასვლა არ მოუხდათ, იქვე დარჩნენ.
იგივე ტრასა, იგივე სახეები, იგივე დისციპლინა. რაც მთავარია, გამარჯვებულის კვარცხლბეკზეც ნაცნობი სახე.

გიგა გურასაშვილი

თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც ოთხშაბათს. ერთადერთი სხვაობა ის გახლდათ, რომ დუბლის შემსრულებელს, ავსტრიელ გიოჩლს მაშინდელმა მდევრებმა, შვედმა ანია პერსონმა და გერმანელმა მარტინა ერტლმა მხარი ვერ აუბეს. შვედი პირველი ცდისას გამოეთიშა ასპარეზობას, ხოლო გერმანელმა მეშვიდე ადგილზე დაასრულა გუშინ გათამაშებული მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპი. პერსონისა და ერტლის ადგილები ამერიკელმა ლინდსეი კილდოუმ და ავსტრიელმა სილვია ბერგერმა დაისაკუთრეს.

ერთი სიტყვით, გიოჩლმა სეზონის მეორე გამარჯვება იზეიმა, ამასთან, ორჯერვე სუპერგიგანტში. თუმცა, ავსტრიელს კორტინა დ`ამპეცოში სრიალი არასდროს უჭირდა. თუ ადრინდელ წარმატებათა ნუსხას გადავხედავთ, გიოჩლს ეს ტრასა (გუშინდელის ჩათვლით) საუკეთესო შედეგით შვიდჯერ გადაუტკეპნია - ხუთჯერ სუპერგიგანტში და ორჯერ დაშვებაში.

"ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ფორმაში შევდივარ. ვინ წარმოიდგენდა, თუ დუბლს შევასრულებდი. მე დავბრუნდი", - საკუთარი თავით კმაყოფილებას ვერ ფარავდა 29 წლის გიოჩლი.

სეზონის მეორე გამარჯვებამ ავსტრიელი სუპერგიგანტის საერთო ჩათვლაში მოწინავის პოზიციაზე გადაიყვანა, რომელიც აქამდე მის თანამემამულეს მიხაელა დორფმაისტერს ეკავა. დორფმაისტერმა კი მე-14 ადგილი დაიკავა და გიოჩლის ძლიერი და საკუთარი სუსტი ასპარეზობის წყალობით ის იმავე ჩათვლის მესამე საფეხურზე ჩამოქვეითდა.

ქალებზე ბევრად უფრო რთული გამოცდა ჰქონდათ ჩასაბარებელი ვაჟებს, რომლებიც შვეიცარიაში, ვენგენში ასპარეზობდნენ. ვაჟთა შეჯიბრება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ პირველად მსოფლიო თასის გათამაშებათა ისტორიაში ასპარეზობა გაიმართა კომბინაციაში.

რაკი კომბინაცია მსოფლიო თასისთვის ახალი ხილია, ორიოდე სიტყვით მოგიყვებით წესების შესახებ.

კომბინაცია ითვალისწინებს სლალომში ასპარეზობას და შემდეგ დაშვებას. ერთი ტექნიკურ დისციპლინათა ნაირსახეობა, მეორე კი სიჩქარეზეა აქცენტირებული. მოთხილამურეს ორივეში ოსტატობა მოეთხოვება. გაიმარჯვებს ის, ვისაც ორი სახეობის ჯამში უკეთესი შედეგი აღმოაჩნდება. ამასთან, კომბინაციაში მიღწეულ წარმატებას არავითარი კავშირი არა აქვს მსოფლიო თასის საერთო ჩათვლასთან, რომელიც ოთხი სხვადასხვა დისციპლინის ჯამში მიღწეული შედეგებით დგინდება; მოთხილამურემ, რომელიც კომბინაციაში ასპარეზობის სურვილს გამოთქვამს, ჯერ სლალომისთვის განკუთვნილი ტრასა უნდა გაიაროს, რომ დაშვებაში მონაწილეობის უფლება მიიღოს. ერთი სიტყვით, ყველაზე ტექნიკურ დისციპლინაში წარმატება ერთგვარი საშვია დაშვებაში ასპარეზობისთვის.

ეს ახალი ხილი მსოფლიო თასისთვისაა უცხო, თორემ ოლიმპიურ თამაშებში კომბინაციები ჩვეულებრივი ამბავია, ისევე როგორც მსოფლიო ჩემპიონატებისთვის. თუმცა, მცირე სხვაობა აქაცაა. ეს უჩვეულო ნაზავი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პროგრამაში უფრო გავრცობილია - კომბინაცია იწყება ერთი დაშვებით და მას მოყვება ორი სლალომი. კომბინაციებში საასპარეზო ტრასა ჩვეულებრივთან შედარებით მოკლეა.

კომბინაციაში უფრო ხშირად იმარჯვებენ სლალომისტები, რადგან ჩქაროსნული დისციპლინის ოსტატებს უჭირთ ჭიშკრებს შორის მანევრირება, რადგან ტექნიკურ დისციპლინას უფრო ძლიერი კოჭები სჭირდება.

ავსტრიელები, რომლებიც ძირითადად განაგებენ სათხილამურო ტრასებს, კომბინაციაში მოიკოჭლებენ. ნორვეგიელებს კი, შეიძლება ითქვას, კომბინაციაში ჭიპი აქვთ მოჭრილი. მოწინავეთაგან მარტო ვეტერან ჩედილ ანდრე ომოდტის ხსენება რად ღირს! ნორვეგიელს კომბინაციები მოგებული აქვს როგორც ოლიმპიურ თამაშებზე, ისე მსოფლიო ჩემპიონატებზე.

გუშინდელი შეჯიბრების ფავორიტად ამერიკელი ბოდე მილერი ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სლალომში აშკარად მოიკოჭლებს. მისი დიდი შანსის მიუხედავად, სულ სხვა შედეგი მივიღეთ. საერთო ჩათვლის ლიდერმა ბოდე მილერმა სლალომში ჭიშკარი გადათელა და შეჯიბრებიდან მოიხსნა.

"კარგად ვერ გამოვედი, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ჭიშკარს გადავუარე. ყველაფერს მაშინ მივხვდი, როდესაც ტრასა ბოლომდე გავიარე და ტაბლოზე ჩემი სახელის გასწვრივ ვარსკვლავი დავინახე", - გაკვირვებული იყო მილერი.

რაც შეეხება მსოფლიო თასისთვის სადებიუტო შეჯიბრებას, სლალომისა და დაშვების საერთო ჯამში გაიმარჯვა ტექნიკური სახეობის ოსტატმა ავსტრიელმა ბენიამინ რაიხმა. ავსტრიელი შარშან ჩქაროსნულ დისციპლინებზე აკეთებდა აქცენტს. ვენგენში სლალომში იმარჯვა, ხოლო დაშვებაში მე-11 იყო, თუმცა, ორივე დისციპლინის ჯამში მაინც საუკეთესო შედეგი ჰქონდა - 2 წუთი და 28,37 წამი. მეორე შედეგით საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა ნორვეგიელმა ლასე ჩუსმა (34 წლის გახდა). მესამე ადგილზეა მასპინძელი დიდიე დეფაგო. ჩედილ ანდრე ომოდტი მეხუთეზე გავიდა.



ყვავყვავი

ნინო ტიკარაძე

"მატჩი" დასრულდა. ახალი "მატჩი" იწყება

ცნობილი ტოპმოდელის, "ინტერისა" და იტალიის ეროვნული ნაკრების ფორვარდის კრისტიან ვიერის ამჟამად უკვე ყოფილი მეგობარი გოგონასთვის ელიზაბეტა კანალისთვის მაინცდამაინც ტრაგედია არ ყოფილა შეყვარებულთან დაშორება. ახალგაზრდა ქალმა საკუთარ თავს განუცხადა, ეს ერთი და სხვა მრავალიო და ცხოვრებაც ჩვეული ტემპით გააგრძელა, თან მარტომ კი არა, ახალ გულისწორთან ერთად. მან არჩევანი ისევ სპორტსმენზე შეაჩერა, ოღონდ ამჯერად არა ფეხბურთელზე, არამედ მორაგბეზე. იგი 27 წლის სკოტ პალმერია, რომელიც "ბენეტონსა" და იტალიის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს.

რაც შეეხება კრისტიან ვიერის, მისი ახალი შეყვარებული ბრაზილიელი ფოტომოდელი ფერნანდა ლესა გახლავთ. იტალიელმა ფეხბურთელმა იგი ახალი წლის დღეებში წარუდგინა ჟურნალისტებს და დაარწმუნა ისინი, რომ მას და კანალის შორის "მატჩი", როგორც მათ ურთიერთობას იტალიურ პრესაში უწოდებდნენ, დასრულდა, "დამატებითი დრო" კი არ იქნება.

არადა, სულ რამდენიმე ხნის წინათ, ვიერისა და კანალის ყველაზე ცნობილ იტალიურ წყვილად მოიხსენიებდნენ. მათი სიყვარულის ისტორია სამ წელიწადს ითვლის, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში წყვილი ერთმანეთს რამდენჯერმე დაშორდა და შეურიგდა.

ფეხბურთელთა შეყვარებულების უცნაური "ტურნირი"

არავის უკვირს, რომ პროფესიონალი ფეხბურთელები მოედანზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ გასაკვირი უნდა იყოს ის, რომ მათმა მეგობარმა გოგონებმაც "ასპარეზობა" გამართეს, ოღონდ არა ფეხბურთის მოედანზე, არამედ მაღაზიებში. მოკლედ, მათ ახალი გასართობი აქვთ - ვინ უფრო მეტ მაღაზიას "აიღებს" და, უკეთ კი არა, უაზროდ დახარჯავს ფულს.

მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ერთ-ერთი პირველი მერცხალი ამ "მნიშვნელოვან" საქმეში გახლავთ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდის უეინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინი, რომელიც უსარგებლო ნივთებში ფულის გადაყრითაა ცნობილი. საშობაო შვებულების დროს კოლინი საქმროს პარიზის მაღაზიიდან მაღაზიაში დაატარებდა, რითაც სერიოზულ დარტყმას აყენებდა უეინ რუნის ბიუჯეტს.

"ლივერპულის" კაპიტნის სტივენ ჟერარდის საცოლემ 21 წლის ალექს კარენმა გადაწყვიტა, ტოლი არ დაედო კოლინისთვის და საკუთარი გემოვნების დემონსტრირება მოეწყო. რამდენიმე დღის წინათ ის ეწვია კოლინის ერთ-ერთ საყვარელ მაღაზიას და მისი მსგავსი ჩექმები შეიძინა. ბუნებრივია, ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დარჩენიათ ადგილობრივ ჟურნალისტებს, რომლებმაც არ დააყოვნეს და ალექსს გემოვნება დაუწუნეს, რითაც კოლინსაც გაჰკრეს კბილი.

დევიდი და ვიქტორია კვადრატში

ინგლისში ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე კურიოზული წყვილი აპირებს გაბედნიერებას. კურიოზული იმიტომ, რომ ეს წყვილი დევიდ ბექჰემი და ვიქტორია ადამსი გახლავთ, უფრო კონკრეტულად კი, მათი ორეული. მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ ბევრი ამ კავშირის უკან სერიოზულ ბიზნესს ხედავს, ძალიან ცოტა კი - ნამდვილ სიყვარულს.

მართლაც, საკუთარი გარეგნობის წყალობით წყვილი ბევრ ფულს შოულობს. ხუმრობა ხომ არაა პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყვილის "დუბლიორობა"?!

ნერეის ჯონსმა და მატეი მიდლეტონმა რამდენიმე წლის წინათ ერთი გაზეთის ფოტოგადაღებების დროს გაიცნეს ერთმანეთი. მალე ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს და ბინაც იქირავეს. წყვილი, რომელიც ახლა უელსის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობს, ურთიერთობის გაფორმებას აპირებს კუბაში, სადაც თაფლობის თვეს გაატარებს. ცერემონია ვიწრო წრეში შედგება, მხოლოდ ნათესავები და ახლო მეგობრები დაესწრებიან.

"დევიდსა" და "ვიქტორიას" ხშირად სთავაზობენ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა შოუში.

იმ სააგენტოს წარმომადგენელმა, რომელშიც ისინი მუშაობენ, განაცხადა, რომ ეს წყვილი "ნამდვილია": "არა მგონია, ისინი სიყვარულის გარდა, რაიმე სხვა მიზეზის გამო ქორწინდებოდნენ. მათ გულწრფელად უყვართ ერთმანეთი. ძნელი საფიქრებელია, რომ ქორწინებამ მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად გაზარდოს. მაყურებლისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ორეულები დაქორწინებულები იქნებიან თუ განქორწინებულები?! მთავარია, რომ ისინი ორ ცნობილ ადამიანს ჰგვანან".

ჯერჯერობით უცნობია, როგორც აღიქვამს "დუბლიორებს" "ორიგინალი" წყვილი.

ფეხბურთელთან მეგობრობა საშიში ყოფილა

რისი გადატანა აღარ უხდებათ ფეხბურთელებთან დაახლოებულ ადამიანებს, უფრო მეტად კი მეგობარ გოგონებს. გარდა იმისა, რომ ჟურნალისტები მათ მიმართ გადაჭარბებულ ინტერესს იჩენენ, რაც ხშირად მოსაბეზრებელი და აუტანელია, ცხოვრებაც განხვავებული ტემპით მიდის, ხშირია უსიამოვნო თავგადასავლებიც, მაგალითად, ისეთი, როგორიც რამდენიმე დღის წინათ შეემთხვა "ჩელსის" ცნობილი მეკარის კარლო კუდიჩინის საცოლეს ალისია მარკუცის. 33 წლის ალისია მშობლების "BMW"-ში ხუთი წლის შვილთან და მამასთან ერთად იჯდა, როცა ოთხი უცნობი პიროვნება გაძარცვის მიზნით მათ თავს დაესხა. თავდამსხმელებმა მანქანის მინა ჩაამსხვრიეს და მამამისის 12 ათასი ფუნტის ღირებულების "Rolex"-ის ფირმის საათი წაიღეს. მათ საფულის წართმევა და კაცის ცემაც უნდოდათ, მაგრამ ალისიას კივილმა ისინი დააფრთხო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა ქალი მანქანიდან არ გადმოსულა იმის შიშით, რომ ბოროტმოქმედებს მისი შვილისთვის არაფერი დაეშავებინათ. სხვათა შორის, ბიჭის მამა "ლაციოს" ფორვარდი სიმონე ინძაგია, რომელთანაც ქორწილი ბოლო მომენტში ჩაეშალა ალისიას.

აბრამოვიჩს ფული არ ენანება

რომან აბრამოვიჩი რომ თავის კლუბს "ჩელსის" კოლოსალურ თანხებს ახარჯავს, აღარავისთვისაა უცხო და გასაკვირი, მაგრამ თუ ადრე რუსი ბიზნესმენი ფეხბურთელების შეძენით იყო დაკავებული, ახლა მან გადაწყვიტა, ფული სხვა მიმართულებით გაანაწილოს. აბრამოვიჩს ფეხბურთელთა აპარტამენტების მოწყობა ახალ საწვრთნელ ბაზაზე დახლოებით 20 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ბაზას ჯერ საბოლოო სახე არ მიუღია.

"კომპლექსი პირველი კლასის სასტუმროს დაემსგავსება. რომანს პატარა წვრილმანზეც კი არ ენანება ფული. მას სურს, ფეხბურთელებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. თითოეული ოთახი ლუი ვიტონის სტილში იქნება მოწყობილი," - განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა.

რობერტო კარლოსი დაბნეული ჩანს

მართალია, მადრიდის "რეალის" მცველი რობერტო კარლოსი დიდი მონდომებით უარყოფს ბევრ ქვეყანაში ცნობილი ტელეგადაცემის "უფროსი ძმის" ვარსკვლავთან სონია არენასთან ურთიერთობას, მაგრამ ფაქტია, რომ საშობაო დასვენების დროს ამ წყვილს ხშირად ხედავდნენ ერთად.

იტალიური ტელეგადაცემა "უფროსი ძმა ("Grande Fratello") პირველად 2001 წელს გამოვიდა ტელეეკრანებზე. მან მალე გაითქვა სახელი არა მარტო იტალიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გადაცემაში მონაწილეობის მიღებამ სონია არენასს პოპულარობა მოუტანა. მას პაპარაცებმაც დაუწყეს დევნა. ის მამაკაცებისთვის სასურველი ქალი გახდა, მაგრამ ქალს უფრო მეტი უნდოდა, ამიტომაც მან ჟურნალებისთვის საკმაოდ გამომწვევი ფოტოსურათების გადაღებას მიჰყო ხელი.

უკვე საკმაოდ პოპულარულმა სონიამ მადრიდის "რეალის" მცველის რობერტო კარლოსის ყურადღებაც მიიქცია. ფეხბურთელმა შობა ბრაზილიაში გაატარა. დასვენების დროს მას სონიასთან ერთად ხედავდნენ, თუმცა, ესპანეთში დაბრუნებულმა კარლოსმა არენასთან სასიყვარულო ურთიერთობა კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ მეგობრები არიან. შეიძლება კარლოსმა ყოფილ მეგობარ გოგონასთან რენატასთან დაშორებით გამოწვეული ტკივილი ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა, ამიტომაც ფეხბურთელი სერიოზული ურთიერთობისთვის ჯერ მზად არ არის.

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება

ეს წერილი შეიძლება ოდნავ დაგვიანებული მოგეჩვენოთ, მაგრამ საახალწლო დღესასწაულებმა, მთელი საქართველოს მსგავსად, ჩემი რუბრიკაც მუშაობის ჩვეული რიტმიდან ამოაგდო. არადა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებულ შესარჩევ კონკურსზე, რომლის მომსწრე სრულიად შემთხვევით გავხდი, ჩემი აზრის, შთაბეჭდილების გულახდილად გამოხატვა მართლაც ძალიან მინდოდა. ამიტომაც ვიფიქრე, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მით უმეტეს, რომ ჩატარებული კონკურსი ბევრი სხვადასხვა კუთხით საკმაოდ ნიშანდობლივი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უჩვეულო და შესაბამისად, ღირებული მომეჩვენა.

მე თავისუფალი დამკვირვებლის სტატუსით მხოლოდ 28 დეკემბერს ჩატარებულ ერთ გასაუბრება-გამოცდას მინისტრის ნებართვით დავესწარი. ამ კონკრეტულ დღეს საკონსულო დეპარტამენტის სხვადასხვა თანამდებობაზე შერჩევა მიმდინარეობდა. დავიწყებ იქიდან, რომ საქართველოში ამგვარი ორგანიზებული, უპროტექციო, მიუკერძოებელი, ობიექტური გამოცდების ჩატარება თუ იყო შესაძლებელი, ნამდვილად არ მეგონა. რაღა დაგიმალოთ, მაგრამ არც ის მეგონა, რომ გამოცდის მრავალსაათიანი მსვლელობის დროს საათზე დახედვა არც ერთხელ არ გამახსენდებოდა და იმ სფეროში გამოცდა, რომელშიც მე, პრაქტიკულად, არაფერი გამეგება, ასე დამაინტერესებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ძველი, ულამაზესი შენობის მეორე სართულზე, რომლის ფოიე ქართული ფრესკების გემოვნებით ჩასმული რეპროდუქციებით არის დეკორირებული, უზარმაზარ დარბაზში, მაგიდებთან, ინდივიდუალური მიკროფონებით აღჭურვილი, ელეგანტურად ჩაცმული (ზოგიერთი, "პიჟონობის" ზღვარზე, ზედმეტადაც კი), კეთილგანწყობილი, მომღიმარი, მაგრამ პრინციპული გამომცდელის ამპლუაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები და მოწვეული სპეციალისტები ისხდნენ. მაგიდაზე, წინ, აკინძული თაბახების დასტები ედოთ, რომელშიც თითოეული კონკურსანტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, მათი "სივი" იყო მოწოდებული. უნდა გამოგიტყდეთ, რომ გამოცდაზე გასულების უმეტესობის ბიოგრაფიებმაც, მათი მუშაობის გამოცდილებამაც გამაკვირვა. ზოგიერთი მათგანი თავად საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში, ზოგიერთი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში, წვრილ თუ მსხვილ, უმეტესად, იურიდიულ კომპანიებში, საქართველოში ან საზღვარგარეთ იყო ნამუშევარი. კონკურსანტის განათლება ბიოგრაფიულ მონაცემებში აუცილებლად მითითებული უნდა ყოფილიყო. აი აქ კი, არა მარტო გამიკვირდა, არამედ შევწუხდი კიდეც. წარმოდგენილ მონაცემებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი თუ იყო მითითებული, ეს, ფაქტობრივად, გამონაკლისის გარეშე, იმას ნიშნავდა, რომ კონკურსანტი, როგორც წესი, სუსტად მომზადებული, ელემენტარულ საერთო განათლებას იყო მოკლებული. თუ, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში მიღებული, უფრო სწორად კი არმიღებული ცოდნა საკუთარი ძალისხმევით შემდგომ ინდივიდუალურად არ აიმაღლა, დახვეწა, პრაქტიკული მუშაობის შედეგად არ შეიძინა. ჩატარებული გამოცდების ერთი დღის საფუძველზე ჩემი, შეიძლება ოდნავ ზედაპირული, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება ის არის, რომ უნივერსიტეტის, იმედი მაქვს მხოლოდ რამდენიმე ფაკულტეტზე, არცთუ ისეთი სახარბიელო მდგომარეობაა. ეს კი მათ კურსდამთავრებულებზე შემდგომ არცთუ ისე კარგად აისახება. ასევე თვალნათლივი და გასაკვირი იყო დიპლომატიურ სამსახურში უკვე ნამუშევართა, მეტნაკლებად გამოცდილების მქონეთა უმრავლესობის ბიუროკრატიული შეზღუდულობა, ჩაკეტილობა, აზროვნების, ხედვისა და პიროვნული სიმშრალე. გამომცდელი კომისიის მთავარი მოთხოვნა და პრინციპი კი, პროფესიონალური ცოდნის პარალელურად, სწორედ ეს ინდივიდუალური ხედვა, სხარტი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღების უნარი, ლოგიკა და, თუ გნებავთ, გამბედაობა და იუმორიც კი იყო. სწორედ ამ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების გამო ყოფილი დეპუტატის გივი შუღაროვის თავისთავად საკმაოდ თამამმა, არცთუ ისე ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად გამოცდაზე გასვლამ, მისმა პასუხებმა, ზოგადმა ერუდიციამ და პიროვნულმა თვისებებმა კომისიის წევრებში ისეთი აღფრთოვანება გამოინვია, რომ... მიუხედავად იმისა, რომ სწორედ შუღაროვის გასაუბრებას არ დავსწრებივარ, ფაქტობრივად, კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე საკუთარ შთაბეჭდილებას მიზიარებდა. და იმ სიამოვნებას არც და ვერც ფარავდა, რომელიც მათ განათლებული, ნიჭიერი კაცის პასუხებით მიიღეს. ერთი ახალგაზრდა გოგონას (სამწუხაროდ, გვარი ვერ დავიმახსოვრე) გასაუბრება, ერუდიცია, მომხიბვლელობა და ყველაფერ ამისგან მიღებული სიამოვნება კი არასდროს დამავიწყდება. ერთი-ორ ასეთ, გივი შუღაროვისა და ამ გოგონას მსგავს კანდიდატურებთან შეხვედრა სრულიად საკმარისია, რომ თუნდაც ერთი სამინისტროს მომავალს ოპტიმისტურად შეხედო. ოპტიმიზმთან დაკავშირებით არ შემიძლია, აქვე არ აღვნიშნო ის შთაბეჭდილებაც, რომელიც ჩემზე თვითონ კომისიის რამდენიმე წევრმა მოახდინა. საქართველოს ისრაელში უკვე დანიშნული ელჩის, ჩემთვის იმ დღემდე სრულიად უცნობი ვინმე ლაშა ჟვანიას კითხვებმა, მისმა ინტელექტმა, იუმორმა, პრინციპულობამ, მაგრამ ამავე დროს საოცარმა კეთილგანწყობამ იმაში ღრმად დამარწმუნა, რომ ისრაელში ჩემს ქვეყანას ნამდვილად ღირსეული ელჩი ეყოლება. ლაშა ჟვანიას მსგავსად, კომისიის შემადგენლობაში მყოფი კახა სიხარულიძის უფრო სხარტ აზროვნებაზე, ლოგიკაზე და ზოგად განათლებაზე ორიენტირებულმა შეკითხვებმა ჩემში ელემენტარული ინტერესი, ინფორმაციული ცნობისმოყვარეობაც კი გამოიწვია და ერთი-ორჯერ, როდესაც გამოსაცდელმა ვერ უპასუხა, პასუხი თვითონ კახასთან დავაზუსტე. რა ვქნა, ძალიან მინდოდა გაგება! საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოცდების ერთადერთ დღეზე დასწრებიდან, დიპლომატიის ისტორიიდან, პოლიტოლოგიიდან და, თუ გნებავთ, ხელოვნებიდანაც კი, ჩემთვის უამრავი ახალი საინტერესო ინფორმაცია მივიღე. ჭკვიანურ, აზრიან შეკითხვებზე პასუხის გაცემა, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი გაგაჩნია, ასევე სასიამოვნო, საინტერესო და კონკურსანტისთვის მომგებიანია. ჩემნაირი რიგითი დამკვირვებლისთვის კი, უბრალოდ, იმედის მომცემი.

ვინ თქვა, რომ საქართველოში კადრების დეფიციტია? ვინ მოიგონა, რომ საქართველოში კარგი სამსახურის შოვნა შეუძლებელია? საიდან მოვიტანეთ, რომ სამსახურში მხოლოდ ძალიან ახალგაზრდებს ღებულობენ? ვინ დაგვაკომპლექსა და დაგვარწმუნა იმაში, რომ საქართველოში ყველაფერი მხოლოდ ნაცნობობითა და პროტექციით კეთდება?

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ერთი ჩატარებული კონკურსით ყველა ამ შეკითხვაზე, მე პირადად, ამომწურავი, იმედის მომცემი პასუხი გამცა. და თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა სამინისტროები, უწყებები, სამსახურებიც მიბაძავენ, მისგან მაგალითს აიღებენ და კადრების დასაკომპლექტებლად ასეთივე ობიექტურ კონკურსებს ჩაატარებენ, მერწმუნეთ, მათი და შესაბამისად ჩვენი საქმეც ბევრად უკეთ წავა. სამინისტროები გიგანტურ ბიუროკრატიულ ჭაობებად კი აღარ იქნება საზოგადოებაში აღქმული, არამედ ახალი, ენერგიული, მცოდნე და, რაც მთავარია, ობიექტურად შერჩეული ხალხით დაკომპლექტებული. განათლებული, გახსნილი, მოაზროვნე და მომხიბვლელი ძალით, რომელიც საქართველოში საკმარისად გაგვაჩნია. უბრალოდ, მოძებნა არ ვიცით, დანახვა გვიჭირს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი შეძლო!

განდიდების მანია ქართულ ესტრადაში

მე, რატომღაც, სრულიად გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ქართული ესტრადის ერთადერთი და მთავარი პრობლემა შემოქმედებითი-გემოვნებითი კატასტროფული კრიზისია. ამ დროს კი, თურმე, საფრთხე სულ სხვა მხრიდანაც შემოგვპარვია. უკონტროლო, ამბიციური განდიდების მანიის პირველი, მაგრამ სახიფათო ნიშნები სრულიად აშკარაა იქ, სადაც წლების განმავლობაში ირაკლი ჩარკვიანად ცნობილმა მომღერალმა თავის თავს "მეფე" უწოდა (ქეთათომ რა დააშავა? ეტყობა, მისი "დედოფლობა" "მეფესაც" კი ზედმეტად მოეჩვენა). კახუჩელა - კახაბერად მოგვევლინა (არა ჭიაბერაშვილ-ფროიდისტული, არამედ პირდაპირი გაგებით. ნეტავი ხმალი თუ აქვს?), ლელა წურწუმიამ კი "ჩოხა ფართიზე", მართალია კოსტიუმიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც საკმაოდ ხმამაღლა და თამამად განაცხადა - "მე თამარ მეფე ვარ!". წურწუმიას საკუთარი თავის ოდნავი კრიტიკისადმი სრულიად იუმორმოკლებული, აგრესიული დამოკიდებულება რახან უკვე კარგად ვიცი, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, ოღონდ არ გამიჯავრდეს და აქვე დავამატებ, რომ სამაიას კოსტიუმში ძალიან ლამაზად, შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მაგრამ თამარ მეფე მაინც არაფრით მომაგონა.

როგორც ტელევიზიიდან გავიგე, საქართველოს პრეზიდენტს თურმე აჩი მეფარიძის შემოქმედება მოსწონს და საჯაროდ აღიარებს (ამას კი ჩემი პრეზიდენტისგან აღარ ველოდი!). ამიტომ სრულებით არ უნდა გაგვიკვირდეს, აჩის ამბიციებმა, ნერვულმა სისტემამ, ფსიქიკამ ამხელა პატივს ველარ გაუძლოს და ერთ მშვენიერ დღეს უცხოპლანეტელის ნაცვლად დავით აღმაშენებლად მოგვევლინოს.

აი მაშინ კი, მერწმუნეთ, ძალიან საინტერესო იქნება ამ თავმდაბალი მომღერლების მონაწილეობით შემდგარი კონცერტის წამყვანის მოსმენა:

"თქვენ წინაშეა მეფე!", "თამარ მეფეს "სულელი წვიმა!", "უხმლო კახაბერის განდაგანა!", "საქართველოს პრეზიდენტის საყვარელი მომღერალი - დავით აღმაშენებელი!"

ტაში, მეგობრებო, ტაში!

P.S. მე, თქვენს ადგილას, ასეთ კონცერტზე არ წავიდოდი.

"ჩოხა ფართი"

ქართული ნაციონალური კოსტიუმი მსოფლიოს მასშტაბით რომ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, დახვეწილი, მოსახდენი ეროვნული სამოსია, ამაში, შეიძლება სუბიექტურად, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. თბილისის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს უბანში, რამდენიმე თვის წინ გახსნილ რესტორან "მეიდანში" შობაზე მოწყობილ "ჩოხა ფართიზე" კი ამაში კიდევ ერთხელ ობიექტურად დავრწმუნდი. საღამოზე დასწრების აუცილებელი პირობა ნაციონალური კოსტიუმი იყო. საგანგებოდ მოწვეულმა სტუმრებმაც საქართველოს არადამახასიათებელი წესიერებით პირობა შეასრულეს, საღამოსთვის საგულდაგულოდ მოემზადნენ, ნაციონალური სამოსები შეიკერეს, შეიძინეს ან, უბრალოდ, სხვადასხვა თეატრსა თუ ანსამბლში ითხოვეს და "მეიდანში" ქართული ნაციონალური კოსტიუმის ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს. სტუმრების დიდ ნაწილს ისეთი ხალხი წარმოადგენდა, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მხოლოდ ცნობილი დიზაინერების ტანსაცმელი აცვიათ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ჩოხებში და ჩიხტიკოპებში მაინც ბევრად უფრო მომხიბვლელად, ელეგანტურად და ეფექტურად გამოიყურებოდნენ. ჩემ ერთ ბავშვობის მეგობარს, რომელიც მთელი ცხოვრება მეტწილად არმანის ანიჭებს უპირატესობას, ვუთხარი კიდეც, რომ მისი წვრილწელიანი, ქამარ-ხანჯლიანი შავი ჩოხა და ზედ მოგდებული ქათქათა თეთრი ყაბალახი ნებისმიერ არმანიზე უფრო უხდებოდა. არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ მე ნამდვილად გულწრფელი ვიყავი. ისე ერთი "პიჟონი" ბიჭი იყო. ისე კი ნამდვილ ჯიგიტს ჰგავდა. ქალების უმრავლესობას ეფექტური აჭარული ან ხევსურული კაბები ეცვათ. ქართველი მამაკაცების დიდ ნაწილს, არასტანდარტული გაბარიტების გამო, ჩოხების შოვნა მომღერლებში მოუწიათ. საღამოს GWS-ის ღვინო მასპინძლობდა, ნიკოლეკიშვილი კი თამადობდა.

ამ იშვიათად სასიამოვნო საღამოზე სინანული ჩემში მხოლოდ ორმა რამემ გამოიწვია. პირველი - ქართული ხალხური მუსიკის ნაკლებობა იყო. მე მგონი, ცოტა გაუგებარია "ჩოხა ფართი" ლეკურის, ოსურის ან აჭარულის გარეშე. ვფიქრობ, რომ ჩოხებში და ხევსურულ კაბებში გამოწყობილ სტუმრებს ერთი კარგი დოლი და ზურნა-დუდუკი უფრო ესიამოვნებოდათ, ვიდრე თუნდაც ყველასათვის საყვარელი "ვაგონი მიქრის".

მეორე, რამაც გამაკვირვა, ახალშექმნილი თეატრი "ნაბადის" კოსტიუმების უგემოვნებობაა. ეს ჯერ კიდევ თავისუფლების მოედანზე, ახალი წლის ღამეს მოწყობილ კონცერტზე მომხვდა თვალში. "ჩოხა ფართის" საერთო სილამაზიდან კი "ნაბადიდან" გამოტანილი კოსტიუმების ამოვარდნა, ქართული ნაციონალური სამოსის დახვეწილობაში დისონანსის შეტანა არა მხოლოდ ჩემ მიერ იყო აღნიშნული. "ნაბადის" მხატვრის მიერ მოგონილი, კომბინირებული, ფსევდოეთნიკური კიტჩი, ჩემი აზრით, ქართულ კოსტიუმს, სულიკო ვირსალაძის ესთეტიკას და ელემენტარული გემოვნების კრიტერიუმებსაც კი შეურაცხყოფს.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ საქართველოს ელჩების ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობის ახალი ტენდენცია არ მესმის, ღიმილს იწვევს და, რატომღაც, უნებლიეთ, ედი მერფის მონაწილეობით კინოფილმ "ამერიკაში გამგზავრებას" მაგონებს, სადაც რომელიღაც აფრიკული ტომის მეფე-მამა ვეფხვის და ლეოპარდის ტყავებით, ბუმბულებითა და ოქროს ზოდებით მოკაზმული, შესაბამის ამალასთან ერთად შვილის საძებნელად ამერიკაში ჩადის. ჩემი ამ ინდივიდუალური ასოციაციის მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდობის ნაციონალური ცეკვით, არამიშველაძისეული ჭეშმარიტი ეროვნულობით სულ უფრო და უფრო გატაცება და "ჩოხა ფართის", თავისთავად შესანიშნავი, პატრიოტული იდეის ასეთი ენთუზიაზმით ატაცება; ყოველგვარი კომპლექსების გარეშე, სრულიად სხვადასხვა ტიპის ადამიანების ნაციონალურ ტანსაცმელში მონდომებით გამოწყობა იმდენად მომეწონა, რომ მგონი ელჩების კოსტიუმირების შესახებაც აზრი ნელ-ნელა მეცვლება. ერთადერთი იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამგვარი ეთნოსაღამოები ტრადიციად იქცევა, დაიხვეწება და კიდევ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო გახდება.

ფოტოგალერეა



მეგობრის პორტრეტი.

ავტორი: იური ლობოდინი

TV პროგრამა

15 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ბასკერვილების ძაღლი" (გ) **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **18.50** მხ. ფილმი "ტვინი" (გ) (ჟან-პოლ ბელმონდო) **22.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ქალების საქმე". რეჟ. კლოდ ჰაბროლი. **01.20** მხ. ფილმი "პირველი გამოშვება" (18)

პირველი არხი

08.00 "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" **08.45** საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **10.00** სპექტაკლი **11.30** "ტაქსი" **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "საშიშროება ვეფხვის სამოთხეში" **13.20** მხ. ფილმი "დანაშაულის ადგილი" **15.00** მუსიკა **16.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "მეათე სამეფო" **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - ჟაკ ლასელი **18.00, 20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **18.10** "არქივი" **19.00** დოკ. ფილმი "ათენი" **20.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და კრიმინალი" **21.30** "რაციო" **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -ფიდელ კასტრო **23.30** "ჩვენ" **00.45** მხ. ფილმი "საჭირო ხალხი" **02.00** საინფ. გამოშვება

მზე

09.00 მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბავშო სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** მულტფილმი "ვინი პუხი" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "სამეფო ქორწილი" **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** ფარული კამერა **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ტელეჟურნალი "სცენა" **22.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. **00.00** მხ. ფილმი "ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო". (გ) (მარლონ ბრანდო)

მეორე არხი

19.00 ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **19.25** ტელეზლაპარი **19.40** "წლები გასულა" **20.40** სპექტაკლი "ეზოში ავი ძაღლია"

იმედი

09.00 ანიმ. ფილმი "გულივერის მოგზაურობა" **10.00, 03.10** იმედის მელოდიები **10.20** ანიმ. მხ. ფილმი "ლეგენდა დიდ თათზე" 1-ლი ს. **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** დილის ფოსტა **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **13.15** მიუზიკლი "ფიროსმანი" **15.15** "უცნობი საქართველო" **15.45** "წუთისოფელში" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "80 დღე დედამინის გარშემო" (გ) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "რეჯინა" - "ინტერი" **00.20** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 მუსიკა **09.20** სათავ. ფილმი "ჰანსელი და გრეტელი" **10.50** მუსიკა **11.00** კომედია "მისტერ ბინი" **12.30** ფანტასტიკა "დინოკროკი" **14.00** მუსიკა **14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** ბოევიკი "რონინი" **16.45** მულტფილმი **17.45** მხ. ფილმი "სიმონა" **20.00** მუსიკა **21.00** ბოევიკი "საწვრთნელი დღე" **23.00** მუსიკა **23.30** მხ. ფილმი "გუვერნანტი"

კავკასია

11.00 მხ. ფილმი "პარიზი" (გ) **12.30** მხ. ფილმი "გაუგებრობა" (გ) **14.00** ტუნ-ემ **16.30** "ვახტანგ გორგასალი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუნ-ემ **19.20** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **19.40** "საწინდარი" **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **21.00** მხ. ფილმი "გუვერნანტი ქალი" (გ) **22.30** მხ. ფილმი "ალქაჯები" (გ) **00.30** ტუნ-ემ

ОРТ

Канал "ОРТ-Тбилиси" транслирует программу передач на 1 час позже основного первого канала. 06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости **06.10** Мультсериал "Кошки-мышки". **06.30** Элина Быстрицкая в фильме **"НЕОКОНЧЕННАЯ ПОВЕСТЬ" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.40** "Кумиры". Аида Ведищева. **11.10** Спецрасследование. "Дикое золото Магадана". 1-я с. **12.10** История с географией. "Потерянные сокровища Тибета". **13.10** Умницы и умники. **13.50** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **14.40** Сергей Юрский в комедии **"ЗОЛОТОЙ ТЕЛЕНОК". 17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Сергей Жигунов в мелодраме **"УБИТЬ ВЕЧЕР". 20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** Николь Кидман в фильме **"МУЛЕН РУЖ". 23.40** Премьера. "Мулен Руж". Что осталось за кадром". **00.00** Киану Ривз в комедии **"ДУБЛЕРЫ". 02.10** Рауль Хулиас в фильме **"ФЛОРИДСКИЕ ПРОЛИВЫ". 03.50** Билли Зейн в триллере **"ЗАПАДНЯ"**.

НТВ

06.05 Мультфильм "Лебеди Непрядвы". **06.30** Рой Шайдер в боевике **"КРАСНЫЙ ЗМЕЙ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Наш друг Пишичитай". **08.25** Комедийный сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.15** Людмила Артемьева в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! Звериное чутье. **13.55** Дмитрий Щербина в детективе **"ТРИ ДНЯ ВНЕ ЗАКОНА" 16.15** "Женский взгляд". Евгений Евтушенко **16.55** "Своя игра". **17.55** "Четвертая мировая война. Шахиды". Фильм Василия Пичула. **19.40** Профессия - репортер. **20.10** Вадим Карев в сериале **"МАНГУСТ-2: ПАПИНА ДОЧКА". 21.20** Энтони Хопкинс в фильме **"МАСКА ЗОРРО". 00.00** Мерил Стрип в фильме **"ЖЕНЩИНА ФРАНЦУЗСКОГО ЛЕЙТЕНАНТА". 02.25** Футбол в разрезе. **03.10** Сериал **"КЛАН СОПРАНО". 04.15** Джо Мантенья в фильме **"ЧРЕЗВЫЧАЙНОЕ ПОЛОЖЕНИЕ"**.

სკანვორდი



შეკვეთა სპილბერგს

სპილბერგმა წელიწადნახევარში უკრაინაში მომხდარი მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ფილმი უნდა გადაიღოს.

სახელოვანი რეჟისორის ახალი ნამუშევარი მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომის შესახებ; უფრო კონკრეტულად კი, იმ მასობრივი დასჯის ადგილის შესახებ, სადაც 1941 წლის შემოდგომაზე ფაშისტებმა 30 ათასზე მეტი ებრაელი დახვრიტეს, საერთო ჯამში კი, 1943 წლამდე იქ 150 ათასზე მეტი ადამიანია დასჯილი.

ფილმის ფინანსურ უზრუნველყოფას საკუთარ თავზე იღებს უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი, ამასთან ერთად, ყოფილი პრეზიდენტის სიძე **ვიქტორ პინჩუკი**. როგორც ამბობენ, დეპუტატი ისტორიულ მოვლენებსაც დაურთავს კადრს მიღმა კომენტარს და ფილმის თანაპროდიუსერიც იგი იქნება. ფილმი წელიწადნახევარში უნდა იყოს მზად.

ფილმი რეი ჩარლზზე

კრიტიკოსებმა დადებითი შეფასება მისცეს ბიოგრაფიულ ფილმს რეი ჩარლზის შესახებ, რომელშიც მთავარი როლი ჯეიმი ფოკსმა უნდა შეასრულოს. ფილმი "რეი" ციფრული ვიდეოს ფორმატში 1 თებერვალს გამოიცემა. ფილმის პრეზენტაცია "ოსკარების" პრეტენდენტთა სახელების გამოცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ გაიმართება. მანამდე ფილმი ბედს სცდის 17 იანვარს "ოქროს გლობუსის" დაჯილდოების ცერემონიალზე, სადაც "რეი" მუსიკალური ფილმის სექტორში ორ ნომინაციაზეა წარდგენილი - "საუკეთესო ფილმი" და "საუკეთესო მსახიობი".

ციფრულ ვიდეოზე გამოცემული ფილმის ვერსია შეიცავს აქამდე გამოუქვეყნებელ მასალებს, ასევე, დამატებით (ე.წ. ბონუს) ნომრებსა და უცნობ, აქამდე კინოში გამოუყენებელ სასცენო ეპიზოდებს.

გააკეთეთ არჩევანი

22 იანვარს ჟიური ბიბისის მესამე საერთონაციონალური არხის მიერ გამოვლენილ საუკეთესო მუსიკოსებს დაასახელებს world music-ის კატეგორიაში. ყველა მსურველს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შესაძლებლობა აქვს, კატეგორიაში "პუბლიკის რჩეული" ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატს. წლევანდელ პრეტენდენტებს შორის არიან ყაზახი, ტუველი და არგენტინელი მუსიკოსები.

გამარჯვებულს 5 მარტს, პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე დაასახელებენ. ცერემონიალი ჩრდილოეთ ინგლისშია დაგეგმილი. რაც შეეხება ხმის მიცემის წესს, ამისთვის უნდა შეხვიდეთ "ბიბისის" ოფიციალურ ვებგვერდზე.

ქველმოქმედება აერთიანებს

ორი ავსტრალიური ჯგუფი - Midnight Oil და Silverchair საქველმოქმედო კონცერტში - Wave-Aid მონაწილეობის მისაღებად გაერთიანდება. ღონისძიება ცუნამით დაზარალებულთა დასახმარებლად 28 იანვარს გაიმართება.

ჯგუფმა Midnight Oil თავისი 26-წლიანი მოღვაწეობა 2002 წლის დეკემბერში დაასრულა. თუმცა, როგორც ჯგუფის ყოფილმა ფრონტმენმა პიტერ გერეტმა თქვა, მუსიკოსებს არ ჰქონდათ მორალური უფლება, გვერდი აექციათ ამ უდიდესი ტრაგედიისთვის.

რაც შეეხება Silverchair-ს, ის ოფიციალურად არ დაშლილა, მაგრამ 2003 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაასრულა ტურნე Neon Ballroom, არც ერთი კონცერტი არ გაუმართავს.

ზემოთ აღნიშნული ჯგუფების მონაწილეობით დაგეგმილ კონცერტზე მაყურებელი სხვა ცნობილ სახეებსაც იხილავს. მათ შორის: ნიკ ქეივს, Powderfinger-სა და ჯონი ბატლერის ტროს.

დაფუძნდა "ქართული თეატრის გილდია"

გუშინ გორის გიორგი ერისთავის სახელობის აკადემიურ თეატრში შემოქმედებითი კავშირის "ქართული თეატრის გილდიის" პრეზენტაცია გაიმართა.

კავშირი "თეატრალური გილდია" ჩვიდმეტმა ხელოვანმა დააფუძნა. მათ შორის არიან: რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი, კომპოზიტორო ნიკა მემანიშვილი, რეჟისორი დავით დოიაშვილი და სხვები.

პრეზენტაციაზე გორის თეატრს, მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, ჯილდო "ოქროს აფიშა" გადასცეს, ხოლო შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს - "ქართული თეატრის მეცენატის" პრემია.

საქართველოს მუზეუმებში აღწერა დაიწყება

ახლად შექმნილი ეროვნული მუზეუმი მუშაობას 17 იანვრიდან შეუდგება, ერთ კვირაში კი მისი პრეზენტაცია გაიმართება. გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე პრეზენტაციაზე საზოგადოებას მუზეუმის სამომავლო გეგმებს გააცნობს. ამ დღეებში ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი კახა ტრაპაიძე დაინიშნა. მას ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციული მართვა ევალება.

პირველ რიგში, მუზეუმის ადმინისტრაცია საქართველოში არსებული ყველა კოლექციის და გამოფენის აღრიცხვას დაიწყებს, რათა დადგინდეს, რა ქონება გააჩნია ახლად შექმნილ ეროვნულ მუზეუმს.

ცნობისთვის: ეროვნულ მუზეუმში გაერთიანდა სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული და ვანის მუზეუმები.

ახალი ეროვნული მუზეუმის მთავარი ოფისი ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსდება.

ეძღვნება "ვარდების რევოლუციას"

ქართული ნაციონალურ-ქორეოგრაფიული ბალეტი "მეტეხი" 21 იანვარს გასტროლებზე იტალიაში მიემგზავრება.

როგორც ქორეოგრაფიული ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა განაცხადა, იტალიაში "ვარდების რევოლუციისადმი" მიძღვნილ სპექტაკლებს - "უკვდავნი" და "გასეირნება ძველ თბილისში" წარმოადგენენ.

"იტალიაში ჩვენ გასტროლებს აფინანსებს ნირო კორდ მორი, რომელმაც ლუჩანო პავაროტისა და პლასიდო დომინგოს კონცერტები დააფინანსა. გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ ვგეგმავთ საფრანგეთში, ინგლისსა და ემირატში გამგზავრებას", - განაცხადა გელოდი ფოცხიშვილმა. მისივე თქმით, ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილ სპექტაკლში მოფარიკავეები ხმლების მაგივრად ვარდებს დაიკავებენ.

"მეტეხი" კონცერტებს რომში, ნეაპოლში, ფლორენციაში, ვენეციაში და სიცილიაში გამართავს. ტურნე 24 დღე გაგრძელდება. 2005 წელს ქორეოგრაფიულ ბალეტს 25 წლის იუბილე უსრულდება.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.